

236.

အနေ့. ၆. ၁၅၃၀

ပတ်ကျေစီမံချက် ဒေသရုံး  
ပဒေ၏ ပုဂ္ဂနိုင်ခြား

လေဆိပ်နယ်



ଶିରେବାନୀ

პროც. 6. დ 1 6 0 3 0 5

# ათონისტური ფილოსოფია კველ საბერძნეთში

30958

(დემოკრიტი)

მექონი გამოცემა



ტ ა რ გ ა მ გ ა მ ა 0 1933 პართგანული ფილოსოფია

ტექნიკური განვითარების  
კომისიის ა. ჯალალანია  
გადაეცა წარმოებას 25-V-33  
ხელმოწერილი დასტურდად 7-VII-33

სტ. ქ. 72 X 105. ს. 5. ყ. 47. 500  
მთავლიტის რწმ. № 1 — 826  
ტირაჟი 1500. შეკვ. 289.

## წინასიტყვაობა

პირველ გამოცემასთან შედარებით წინამდებარე ნაშრომის მეორე გამოცემაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1. რამდენადაც ხელმისა-წვდომი იყა ჩვენთვის. მიღებულია მხედველობაში ის გამოკულევები, რომლებიც დაიბეჭდა ორმისტურ ფილოსოფიაზე ამ წიგნის დაწერის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით გადიდებულია ლიტერატურულ წყაროებზე მითი-თებათა რიცხვი. 2. შეკვეცილია ან სრულიად ამოღებულია ის ადგრლები, რომლებიც მსჯელობის ლოგიკურ ხასს ჩრდილავდენ და წიგნის ად-ვილსა და სწორს გაგებას აბრკოლებდენ. 3. გამახვილებულია ყურადღება იმ პრობლემათა ირგვლივ დემოკრიტეს თეორიაში, რომლებიც ჩვენს სა-ზოგადოებაში არსებულს აქტუალურ ფილოსოფიურ ინტერესებს უკავშირ-დებან. ყოველგან, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, ხაზი აქვს გასცეული ატომისტური ფილოსოფიის იმ დებულებებს, რომლებიც აქცევენ მას მექა-ნისტური მატერიალიზმის ტიპიურ გამოსახულებად. 4. წიგნის ბოლოში დართულია დედნიდან გადმოთარგმნილი ნაწყვეტები ლუქრეციუსის პოე-მიდან „De rerum natura“.

ავტორი.

1932.წ. 5 აპრილი.

## ელეათიზმი და ატომიზმი

ვინც ფილოსოფიის ისტორიას კარგად დაჰკვირვებსა, ის უპევლად შემჩნევდა, რომ საკაცობრიო აზროვნების ვითარება სოციალურად განსაზღვრულს კამათს ან დიალოგს წარმოადგენს.. ორი უდიდესი მოქამათე, ამ საისტორიო პროცესში არიან მატერიალიზმი და იდეალიზმი, რომელიც ერთმანეთთან შეჯაბებაში ვითარდებიან. ეს გარემოება არა ერთხელ აღუნიშვნავთ და არა ერთხელ უფრისათ მის მიზეზზე, სანამ ჰეგელი „აგებდა მასზე მთელი თავისი მსოფლმხედველობის ძირითადს პრინციპს, რომელსაც „ცნების ვითარების დიალექტიკური კანონი“ ეწოდება. ამ კანონის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი თეორია ანტრიური კაცობრიობისა, ატომიზმი.

ატომიზმი იდეალისტურ მოძღვრებასთან კამათში შეიქმნა. ეს მოძღვრება იყო ელეათიზმი, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი პარმენიდე ქრ. წ. ნეხუთე საუკუნეში ქალაქს ელეაში (აპენინის ნახევარკუნძულზე) ცხოვრობდა. მისი შეხედულებათა შინაარსი შეიძლება მოკლედ ასე დავახსიათოთ:

ეს ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და რომელიც მრავალ საგანთა ჯამს წარმოადგენს, ნამდვილად არ არსებობს. არ არის არც მშე და არც თვარე, არც მთა და არც ბარი, არც მუხა და არც ფიჭვი, არც ირემის და არც დათვი. ყველაფერი ეს მოჩვენებაა. რატომ? იმიტომ, რომ არ არი სიცალიერე ან ის, რაც არარაობაა, — ამბობდა პარმენიდე.

მართლაც, დავაკვირდეთ ამ უცნაურ აზრს, რომლისაგან მოდის თანამედროვე იდეალიზმიც. მუხა განა იმიტომ არ მიგვაჩნია ჩვენ მუხად, რომ ის განცალკევებულად ან გამოყოფილად არსებობს ფიჭვისაგან? ფიჭვიც იმიტომ არ არის განა ფიჭვი, რომ ის გამოყოფილად არსებობს ნაძვისაგან? რომ მუხასა, ფიჭვსა და ნაძვს შორის არ იყოს საზღვარი, რომელიც ერთს მეორისაგან გამოჰყოფს, ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებდა ერთი მეორისაგან განცალკევებულად. ე. ი. არ იქნებოდა არც ფიჭვი, არც ნაძვი, არც მუხა, როგორც ასეთები. მაგრამ საზღვარი ხომ იმას ეწოდება, რაც არ არის საგანი, რომელსაც ის საზღვრავს. თუ საგანი არის რაღაც ან არსებული, საზღვარი უნდა იყოს ის, რაც ეს „რაღაც“ (ან არსებული) უკვე არ არის, ე. ი. რაც არარაობაა. არარაობის გარეშე საგნთა შორის საზღვარი შეუძლებელია. მაშასადამე, შეუძლებელია ისიც, რომ საგნები ერთიმეორისაც განცალკევებულად არსებობდენ ან შეუძლებელია მრავალი საგნის არსებობა, თუ არ არის არარაობა. ვინც ფიჭრობს, რომ მრავალი საგანი

არსებობს, ვისაც ეს ქვეყანა, რომელიც მრავალ საგნის ჯამს წარმოადგენს, სინამდევილედ მიაჩინია, ის უეჭველად იმასაც ჰყიჭრობს, რომ არარაობა არსებობს. მას წარმოადგენილი აქვს, რომ ეს არარაობა შეიჭრება იმის გულში, რასაც „რაღაც“ ან არსებული (თუ ეს) უნდა ეწოდოს, და განკვეთს მას მრავალ საგნად. მაგრამ განკ შესაძლებელია (აყენებს ასეთს საკითხს პარმენიდე) სამა აზროვნებამ შეიწყნაროს, რომ არარაობა არსებობს და მას ძალა აქვს რამე მოიქმედოს, — მაგალითად, საგანთა მრავლობა. შეკვეთას? არა, ეს შეუძლებელია, ამტკიცებს პარმენიდე. არარაობას იმის ტომ ეწოდება არარაობა (ისბენ), რომ ის არ არსებობს. მაშასადამე, არაფრის შემოქმედება არარაობას არ შეუძლია. მას არ შეუძლია შეიჭრეს იმაში, რაც ნაძვილად არსებობს, რაღაც თვითონ არარაობა ნამდვილად არ არსებობს.

თუ არარაობა არ არსებობს, მაშინ არც საზღვარი არსებობს, რადგან საზღვარი არის არარაობა. მაგრამ თუ საზღვარი არ არსებობს, მაშინ არ არსებობს არც მხე და არც მოვარე, არც მუხა და არც ფეხი, არც ტკუ და არც ველი — ვინაიდან კველაფერი ეს ჰგულისხმობს საზღვარს, რომელიც გამოჰყოფს მათ ერთიმეტორისაგან და ცალკე საგნებად აქცევს. სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანა პარმენიდემაც, იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელმა: ეს ქვეყანა, რომელსაც ჩენ სინამდვილედ ვთვლით, არ არის ნამდვილი, რადგან არ არსებობენ საგნები, რომლებისაგანც ის უნდა შედგებოდეს. თუ, მიუხედავად ამისა, ამ ხილულ ქვეყნიერებას ნამდვილად არსებულად ვთვლით, ჩენ მოჩვენების მსხვერპლი ვყოფილვართ. დიახ, პარმენიდეს აზრით, ეს ქვეყანა მოჩვენებითია და არა ქეშმარიტი, ვინაიდან ის ყალბს წინამდლიანზე. ეყრდნობა, თითქოს არარაობა რაღაც ან არსებული იყოს.

კარგი, ცოქვათ, რომ ეს ქვეყანა, შემდგარი ნაირ-ნაირ საგნებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლებიან და მოძრაობაში იმყოფებიან, მხოლოდ მოჩვენებაა; მაში, რა არსებობს ნამდვილად? ნამდვილად არსებობს ის, რაც არ არის არც მრავალი, და არც ფერადი, არც მოძრავი და არც ცვალებადი. იმას, რაც მრავალი არ არის, ვეძახით ერთს. მაშასადამე, არსებობს მხოლოდ „ერთი“ რაღაც, რასაც არ აქვს ფერი, გემო, სუნი, რაც არ ჩადება, არ ისპობა და უკუნითი უკუნისამდე უცვლელია. ამას იქნება ცდა ამ ერთის შეცნობისა გრძნობების საშუალებით, მას ადამიანი სწორება მხოლოდ აზროვნებით. ბევრი მანიულაცია არ არის საჭირო, რათა ეს პარმენიდეს „ერთი“ ღმერთად იქცეს; მართლაც, ის ღმერთის ცნებიდან გადმოაკეთა პარმენიდემ.

როგორც ჩანს, პარმენიდეს თეორიის მთავარი აზრი ქვეყნის არსებობის უარყოფაში, მის მოჩვენებად გამოცხადებაში მდგომარეობს. ეს იდეალისტური თვალსაზრისითა თავისი შინაარსით და, შეიძლება ითქვას, პრაქტიკული ცხოვრებისათვის უშესლოდ უსარგებლო. მართლაც, რა პრაქტიკული შედეგი შეეძლო მოეცა უშუალოდ იმ აზრს, რომ ქვეყანა არ არსებობს, რომ ის მოჩვენებაა? არავითარი, გარდა ამ მოჩვენებითს სამყაროში მოქმედებაზე ხელის აღებისა. თუ მთელი ქვეყნიერება არ არსებობს ნამ-

დღილად, მაშინ არც ჩეენ, აღამიანები, გარსებობთ, ჩეენც მოჩენება ყუთ-  
ფილვართ და მაშინ რა აზრი აქვს ჩეენს დაუსრულებელ შრომას და ბრძო-  
ლას? ყველაფერი ის, რითაც ჩეელებრივი აღამიანი ცხოვრობს, რაც  
აშენებს მას და ფერს აძლევს მის ყოფას, ფუჭი იცნება ყოფილა. ძნელია  
ასეთი შეხედულების პატრინისათვის ცხოვრების მძიმე ტვირთის ატანა.

მაგრამ მარტო პრაქტიკული საქმიანობა კი არა, თვით მეცნიერული:  
კვლევა-ძიებაც ძნელდებოდა იმისათვის, ვინც პარმენიდეს მოძღვრებას.  
გულწრფელად გაიზიარებდა. თუ საგნები არ არსებობენ, რა აზრი აქვს  
მათ გამოკვლევას? ყველაფერი, რაც აღამიანს შეუძლია საგანზე სთქვას,  
გარდა იმ-დებულებისა, რომ საგანი ნამდვილად არ არსებობს, იქნება.  
შეცდომა. მაშ, რა გასამართლებელი საბუთი აქვს ფიზიკურ გამოკვლევას,  
რომელიც იძიებს საგნის მოძრაობას, სისქეს, სითბოს, თუ არცასითბო,  
არც სისქე, არც მოძრაობა საგანში არ არის? რა აზრი აქვს საგნის ქი-  
მიურს ან ფიზიოლოგიურს გამოკვლევას, თუ არც ქიმიური, არც ფიზიო-  
ლოგიური თეისებანი სინამდვილეში არ არსებობენ? ცხადია, რომ პარმენი-  
დეს თვალისაზრისი ზღუდავდა მეცნიერული კვლევა-ძიების შესაძლებლო-  
ბას. პარმენიდეს თეორიას შეეძლო ბრძოლა წინააღმდეგ შეხედულებასთან  
(როგორც იქცევოდა, მაგალითად, პარმენიდეს მოწაფე ძენონი), მაგრამ  
ახალი ფიზიკური თეორიისათვის პარმენიდე სამუდამოდ ჰყეტავდა  
კარს<sup>1)</sup>.

მაგრამ კაცობრიობის აზროვნება უფრო თავისუფალია ფაქტიურად,  
მასში მეტი შესაძლებლობა დაფარული, ვიღრე ეს საჭირო იყო პარმე-  
ნიდეს ფილოსოფიის უკანასკნელ ჭრშმარიტებად ცნობისათვის. პარმენი-  
დეს იდეალიზმა ვერ შევქრა ფილოსოფიური კვლევა-ძიება: მის საფუ-  
ძველზე წარმოსდგა ატომიზმი, უდიდესი ფილოსოფიური თეორია, რომელ-  
მაც იშვიათი სამსახური გაუწია კაცობრიობას ბუნებრივ მოვლენათა გა-  
მოკვლევის მოწადებაში და ამ გამოკვლევის საშუალებით ბუნების დამო-  
რჩილებაში.

## 2.

### დემოკრიტეს პირველგადა

ენი იყო ის ბრწყინვალე გენიოსი, რომელმაც ასეთი  
ლეგენდებს სა- ამაგი დასდო მთელს კაცობრიობას ატომისტური ფილო-  
კიოთი სოფიის შექმნით? ამ კითხვაზე პასუხად ისტორია ასა-  
ხელებს ორს პიროვნებას: ლევკიპქეს და დემოკრიტეს, იმ დიდებული ჰელ-  
ლადის შვილებს, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე მსოფლიო  
ტულტურას.

ამ ორში პირველის (ლევკიპქეს) არსებობა არ არის საქმაოდ დადა-  
სტურებული. არამც თუ ჩეენ, რომელნიც 24 საუკუნის მანძილით ვართ  
დაშორებული ატომიზმის გაჩენის ეპოქისაგან, არამედ თვით ატომიზმის-

1) მართალი იყო ამიტომ არისტოტელი, როგორც ელგატებს უწოდა „არაფიზი-  
კოსები“ (άρφασις). H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker, 18 A 26.

შიმდევარს ეპიკურესაც, ოომელიც ცხოვრობდა ქრ.წ. მეოთხე საუკუნეში და, მაშასადამე, გაცილებით უფრო დახლოვებული იყო ქრონოლოგიურად ამ ეპოქასთან, უჭირდა ზემოხსენებული ფატრის შემოწმება და ამის გამო მან შესაძლებლად დაინახა უარეყო ლევკიპპეს ნამდვილი არსებობა<sup>1)</sup>. თანა- მედროვე მეცნიერთა შორის ამ საკითხის გადაწყვეტაში აზრთა სხვადა- სხვობაა: ზოგი (Rohde)<sup>2)</sup> ემხრობა ეპიკურეს, სხვები კი ამტკიცებენ ამის წინააღმდეგ, რომ ლევკიპპე ნამდვილად არსებობდა და რომ ის იყო სწო- რედ ისტორიული დამარსებელი ატომისტური ფილოსოფიისა, ოომელიც კერძო ხასიათის მეცნიერული გამოკვლევების საშუალებით მხოლოდ შე- ავსო მისმა მოწაფემ დემოკრიტემა (Diels<sup>3)</sup>). სამწუხაოოდ, უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი მხარე, ოომელიც მონაწილეობას იღებს ამ დავაში, ვერ ამტკიცებს საკმაოდ თავის შეხედულებას და ვერ აბათილებს მოწინააღმ- დევების მოსაზრებას: ასევა თუ ისე, საკითხს, არსებობდა თუ არა ნამდვილად ლევკიპპე (თუმცა ეს ფრიად საყურადღებო პრობლემაა) იმისათვის, ვისაც აინტერესებს კაცობრიობის აზროვნების გმირები) დიდი მნიშვნელობა ჩვენი მკითხველისათვის მაინც და მაინც არ აქვს<sup>4)</sup>, ვინაიდან ლევკიპპეს პიროვ- ნება იმდენად დაჩრდილული იქნა დემოკრიტეს მიერ შთამომავლობის მეხსიერებაში, რომ იგი თითქმის სრულიად არ ჩანს. დღეს შეუძლებელია- იმის აღდგენა, პირადად ლევკიპპემ ატომისტური ფილოსოფიის სალაროში- რა შეიტანა, აღდგან თუ ამ კაცს რამე დაუწერია, კველაფერი ეს უკვი ძეველად დემოკრიტეს თხზულებათა კრებულში შევიდა და დემოკრიტეს ავტორობით იყო ცნობილი ფართო საზოგადოებრივ წრეებისათვის. აი ამ მიზეზის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება ატომისტური ფილოსოფიის მთლიან შინაარსში გამოვიცნოთ, რა ეკუთვნის ლევკიპპეს და რა—დემოკრიტეს<sup>5)</sup>: ლევკიპპე ისტორიული პიროვნებაც რომ ყოფილიყო, აზროვნების თანამე- დროვე ისტორიისათვის, სამწუხაოოდ, ის თითქმის ცარიელი აღგილია.

სულ სხვა უნდა ითქვას დემოკრიტეს შესახებ, რო- ანალიგაზრდობა მელსაც მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარი მარქსი, საკაცობრიო აზროვნების განვითარებაში იმდენს მნიშ- ვნელობას ანიჭებდა, რომ მან, ამ დიდებულს პელლინს განსაკუთრებული გამოკვლევაც კი უძღვნა<sup>6)</sup>:

1) Diog. X, 13.

2) Kleine Schriften, 1901.

3) Vortrag vord. 35 Philolog. Sammlung.

4) ასე ფრერობს აგრეთვე Bäumker, Das Problem der Materie, 79.

5) გერმანელი მეცნიერი Diross, Demokritstudien, 1899, S. 109, ცდილობს დამყარების განსხვაება ლევკიპპესა და დემოკრიტეს მოძღვრებათა შორის. ამ გზით მიდის ვინდელბანდიც თავის წიგნში ანტიკურ ფილოსოფიის შესახებ. მაგრამ ცდამ ლევკიპპეს მოძღვრების გამოყოფისა დემოკრიტეს მოძღვრებისაგან მტკვეთ შედგები ვერ მოგვია.

6) K. Marx, Differenz der demokritischen und epikureischen Naturphilosophie. რუს. თარგმანი მოცემულია გამოცემაში Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. I, ГИЗ, 1928.

დემოკრიტეს ცხოვრება უფრო ცნობილია, რაღაც მასზე მრავალი შოწმობა მოგვეპოვება.

დემოკრიტე, რომელსაც ძევლი საბერძნეთი ფრიდრიხის ლასსალის გმირის „მტირალი ფილოსოფოსისგან“ (პერაკლიტესაგან) გასაჩინევად მეტ-სახელად „მოცინარე ფილოსოფოსს“ უწოდებდა, დაიბადა ჸალაქ აბდერაში. მისი დაბადების წელი, დაახლოვებით უნდა ითქვას, იყო 470 წ. წ. შეძლებული ოჯახის შეილი დემოკრიტე, ბავშვობიდანვე დიდი სიყარეულს იჩინდა სწავლისადმი და კარგი განათლებაც მიიღო. მრავალ მოთხრობიდან, რომელიც აგებულია ამ ფაქტზე, მოყიყანთ ერთს. გადმოგვცემენ, რომ სპარსეთის მეფე ქსერქსი, ურიცხვის ლაშქარით საბერძნეთის დასაპყრობად წამოსული, შეჩერდა აბდერაში და დემოკრიტეს მამის სახლში დაბინავდა. უკანასკნელი თურმე ისე კარგად გაუმასპინძლდა მეფეს, რომ ამან ქმაყოფილების ნიშანად დაუტოვა მასპინძელს მისი ნიჭიერი შვილის მასწავლებლად რამდენიმე შოგი, რომლებიც ქსერქს ლაშქრობის დროს თან ახლდენ. აი ამ მოვებისაგან უნდა თურმე შესწავლოს ახალგაზრდა-დემოკრიტეს საიდუმლო მეცნიერებანი: ლვთისმეტყველება და ვარსკვლავ-თა-მკითხაობა (ასტროლოგია).

რა თქმა უნდა, დამარტინებელი საბუთები ამ მოთხრობას აკლია.

მეტი ნდობის ღირსია ის კრობები, რომლების მიხედვითაც დემოკრიტეს საბერძნეთის გამოჩენილ მთაზროვნეთა შეხედულებანი შეუსწავლია. უსცველია, დემოკრიტე თითქმის ყველა დიდ ფილოსოფოსის მოქლეობას. იცნობდა; სხვათა შორის კი იცნობდა ელეატების, ემედოველებს და ანაქ-საგორის მოძღვრებებსაც. უკანასკნელს, რომელთანაც, შესაძლებელია, მას პირადი ურთიერთობაც კი ჰქონებოდა. თვითონ დემოკრიტე ახალგნებს<sup>1)</sup>.

დემოკრიტეს მო- თანამემამულეთა ფილოსოფიური თეორიების შესწავე-  
გზაურობა ლამ დემოკრიტე ვერ დააქმაყოფილა, არამედ ცოდნის.

წყურვილი უფრო გაუძლიერი. ამ გარემოებამ აიძულა ის თავისი ცოდნის გასაფაროობებლად უცხო ქვეყანაში გმიგზავრებულიყო. მოგზაურობა, რომელსაც დემოკრიტემ მამისაგან დარჩენილი დიდი ქონება-მთანდომა, გრძელდებოდა ხუთიოდე წელს. ამბობენ, დემოკრიტე ინდოეთ-შიც იყოო, შაგრამ ეს საუკვია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მან გვარიანი ხანი გაატარო ევგიპტეში, სადაც დაუხლოვდა ეგვაპტური-ცოდნის იმზროინდელ წარმომადგენლებს: თავის თხნულების ერთს ნა-წყვეტში, რომელმაც ჩრენამდისაც მოაღწია, დემოკრიტე თვითონ აღნიშ-ნავს ამ ფაქტს<sup>2)</sup>. მაგრამ ამ ნაწყვეტიდან ისიც ჩანს, რომ ბევრი ახალი ცოდნის გმოტანა, მთინც და მაინც, ეგვიპტელებისაგან დემოკრიტეს არ შეეძლო, ვინაიდან თვითონ მას თურმე მეტი ცოდნა ჰქონებია. იგივე უნდა-

1) Dio 5., IX, 41.

2) DU, 55, B, 299. თუმცა დილს ეს ნაწყვეტი მოთავსებული აქეს „unechte Fragmente“-ს რუბრიკაში, მაგრამ სხვა მკვლევარები (მაგ. ცელლერი) სანდაც სცვლიან მას-

თქვენს წინააშის — ქვეყნებში მოგზაურობის შედეგის შესახებაც (დემოკრიტეს ამ ქვეყნებშიც უმგზავრია).

მართალია, კაცობრიობის სწავლა-განათლების აკანი აღმოსავლეთი აღმოსავლეთში იდგა: იქიდან ამოღის ცივილიზაციის და შეცნიერება სხივ-მფენელი მხე. მაგრამ პატრიარქალურ წესწყობილების არტახებში შეკრული აღმოსავლეთი, სადაც პიროვნება გათელილი იყო საზოგადოებრივობით, გონიერივ განვითარების პირველ საფეხურებზე შეჩერდა. აღმოსავლეთში გაჩნდა შერა-ეკითხვა; აქ გაჩნდა პირველად არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია<sup>1)</sup>. მაგრამ ეს მეცნიერებანი, რომელნიც პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად აღმოცენდენ, აუმოსავლეთში მხოლოდ იმდენად განვითარდენ, რამდენადაც ეს ამ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით საჭირო იყო. გეომეტრია, მაგალითად, საჭირო. იყო მიწის სწორ გასანაწილებლად თემებს შორის და აგრეთვე ტაძრების, მეფეთა სასახლების და აკლდამების ასაგებად; არითმეტიკა საჭირო იყო, ანგარიშების საწარმოებლად—მაგალითად, ვაჭრობის დროს; ასტრონომია საჭირო იყო სამუშაო დროს სწორ განსაზღვრისათვის: როდის თავდება: ზამთარი, როდის იწყება გაზაფხულის თბილი დღეები, რამდენ ხანს გრძელდება ზაფხული ან შემოდგომა — ყველა ამის ცოდნა შალიან საჭიროა, მაგალითად, მიწის მუშისათვის. გასაგებია ამიტომ, თუ რა დიდი უპირატესობა უნდა ჰქონებოდა იმ საზოგადოებრივ წრეს, რომლის მონაცოლიასაც ასეთი ცოდნა შეადგენდა, ე. ი. ქურუმებს. რომ ცოდნა კარგია თავის თავად, მიუხედავად პრაქტიკული სარგებლობისა, რომელიც მას უშუალოდ მოაქვს, ამ აზრამდის აღმოსავლეთი არ ამაღლებულა და ვერც ამაღლდებოდა თავისი საზოგადოებრივი წესწყობილების გამო.

შეცნიერების მხოლოდ საპერძნეოში, სადაც აღმიანი უფრო თავანვითარების ვისუფლად სუნთქავდა, სადაც პიროვნებას უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდა წინ გაშლილი, ცოდნა პირველად დაფასდა, როგორც თავისთავად კარგი რამ. უკვე შეექვს საუკუნის ბერძნებსაც შეგნებული ჰქონდათ, რომ ცოდნა იმიტომ: კი არ არის პატივსაცემი, რომ ის ქონებას შესქენს ან სხვა სარგებლობას მოუტანს თავის პატრიონს. არა, ცოდნა კარგია მიუხედავად ამ უშუალო პრაქტიკული შედეგებისა. ცოდნის ასეთმა კეთილშობლურმა დაფასებამ აამაღლა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და იგი აღამიანის უმაღლეს. მიზნებ გახადა, რაც უცხო იყო აღმოსავლეთის ერებისათვის. შეექვს საუკუნიდან დაწყებული საპერძნეოში ჩნდება უანგარო ცოდნის კულტი, რომელმაც მაღლე ფართო ხასიათი მიიღო. ამ გარემოებამ, რომელსაც უემველია თავისი ეკონომიური საფუძველი ჰქონდა, შეჯემნა ფრიად ხელსაყრელი პირობები გონიერივი განვითარებისათვის საპერძნეოში. ბერძნებმა გადმოიღეს თავის აღმოსავლურ მეზობლებისაგან მათი მეცნიერული ცოდნა, მაგრამ იგი იმდენად განვითარეს, რომ დემოკრიტეს დროს (მეხუთე საუ-

<sup>1)</sup> შდრ. E. Frank, Plato und die sogenannten Pythagoreer, Halle, 1923, 79 ff.

ჭუნე) თავის სამშობლოში აღზრდილი განათლებული, ბერძენი თითქმის კერაფერს შეიძენდა მეცნიერების თვალსაზრისით აღმოსავლეთის ქურუ-მებისაგან, თუმცა ერთი საუკუნის წინ ბერძნები ბალები იყვნენ აღმო-სავლეთის ერგბთან შედარებით<sup>1)</sup>.

უცხო ქეყუნებში მოგზაურობა, რომლის დროს დე-დეპოტითე და მოქრიტეს საშუალება ჰქონდა უკველად ბევრს, მეცნი-ჰიპოკრატი ერულის თვალსაზრისით საუკუნადლებო მოვლენას დაკვირ-ვებოდა, მრავალი ერთს ზენ-ჩეულებებს გასწორდა, მათი ავი და კარგი შეესწავლა—გვარიანი ხანი გაგრძელდა. სამშობლოში დაბრუნებული დე-მოკრიტე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას: სისტემაში მოწყველი მოგ-ზაურობის დროს შეკროვებული მასალა და ახალ დაკვირვებებს აწირ-მოებდა. შესაძლებელია, ომმ ჩვენი მოაზროვნის როგორინალურს პიროვნე-ბას, მის ყოფა-ცხოვრებას, რომელიც ასე განირჩევოდა ჩვეულებრივისაგან, განცვიფრებაში მოყვავდა აბდერის ფილისტერები. „ეს რა კაცია“, ფიქრო-ბდენ ალბათ აბდერელები: „მამა-პაპეული უსაზღვრო ქონება სადღაც უცხოეთში მიფლანგ-მოლანგა. ეხლა სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ საქმეს მოჰყიდოს ხელი და გამოასწოროს ახალგა-ზრდობის შეცდომები, ყურსაც არ სბერტყავს და თავის ფოლიანტებს ჩა-ჰა-ჰკირკიტებს. უკველია, სრული ჭიუის არ უნდა იყოს“. იფიქრეს და, რო-გორც ვადმოგეცემნ, გადასწყვიტეს საგანგებოდ მოწყვიათ დემოკრიტეს ჯანმრთელობის შესამოწმებლად მთელს საბერძნეთში გამოჩენილი ექიმი ჰიპოკრატი. უკანასკნელი თურმე ჩამოვიდა აბდერაში, გაეცნო დემოკრი-ტეს, რომელმაც ის მიიღო დიდი კადრის ჭვეშ სხვადასხვა მეცნიერული პრეარატებით გარშემორტყმულმა, გაიცნო მისი მეცნიერული ნაჟუშევა-რიც და დარწმუნდა, რომ საქმე გენიალურ ადამიანთან ჰქონდა. ამ დროიდან იწყება ამ თრი დიდი ისტორიულ პიროვნების დახმოუკება:

თავის ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, რომე-დეპოტითეს ლიც შეწყდა ალბათ 380 წელს, დემოკრიტეს მრავალი თხზულებაზე თხზულება დაუწერია (ამ თხზულებებისაგან ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ განცალკევებულმა ნაშეცეტებმა). არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იმ დროინდელი მეცნიერებისა, რო-მელსაც ეს დიდი მოაზროვნე არ შეპხებია თავისი ბასრი მსჯელობით. ასტრონომია, ფიზიკა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანთროპოლოგია, ამ სიტ-ყვის ფართო მნიშვნელობით, ესთეტიკა, ეთიკა—ყველა ამ დარგში დემო-კრიტებ შესანიშავი და მშვენიერი სტილით დაწერილი გამოკვლევები დაუწოვა კაცობრიობას. მაგრამ ატომიზმის წარუვალი მნიშვნელობა მხო-ლოდ ამ კერძო ხასიათის გამოკვლევებში როდი იყო, არამედ (და ისიც უმთავრესად) იმ ფილოსოფიურ საფუძვლებში, რომლებიც სარჩულად ეჭვა შემოჩამოთვლილ მეცნიერულ გამოკვლევებს.

<sup>1)</sup> Herod., II, 142.

## ს ი ც ა ს ი ა რ ა

ა ტომიშ მის მი-

გავეცნოთ მოკლედ ა ტომიშ მის ფილოსოფიურ სა-

**ზანი** ფუქსელებს. მათი გაგება გაგეიადვილდება, უკერუ გვე-  
წება სახეში, რომ ა ტომიშ მის შექმნილი იყო ელეატური იდეალიზმის მიერ  
შეზღუდულ ფიზიკალური კვლევა-ძიებისათვის იდეალისტურ ფრჩხილების  
მოსახსრებიდ. მთელი ა ტომისტური ფილოსოფიის დედა-აზრი სწორედ  
იმაში მდგომარეობს, რომ დაასაბუთოს ბუნების ფიზიკალური გამოკვლევა  
და შეპქმნას სწორი პრინციპები მის შესაცნობად. აქედან ცხადია, თუ რა;  
უფსკრული არსებობს, არა მატო ელეატებსა და დემოკრიტეს შორის,  
არამედ დემოკრიტესა და სოფისტებს შორისაც, რომელებიც ბუნების  
შესწავლის წინააღმდეგ ილაშქრებდენ (გორგია). დემოკრიტე არ იყო სო-  
ფისტი, როგორც ერთი გერმანელი მეცნიერი (რიტტერი<sup>1</sup>) ფიქრობდა.  
მაგრამ არც ელეატი იყო იგი.

**ზუნება ნამდვი-** თუ ელეატი პარმენიდე თავის მასწავლებლის, ქსენო-  
ლად არსებობს ფანეს, კვალად ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყნიერება ან  
ბუნება არ არსებობს, რომ ის მხოლოდ მოჩენებაა, დე-  
მოკრიტე გამოდის წინააღმდეგი დებულებიდან, რომელიც მას უდავო ჭე-  
შმარიტებად მიაჩნია. მისი აზრით ბუნება ნამდვილად ან ჭეშმარიტად  
არსებობს; ეს ქვეყნიერება სინამდვილეა და არა სიზმრის მზგავი მოჩენება.  
სინამდვილეა, მაშასადამე, ამ ქვეყნიერების შემაღენელი ნაწილებიც: მხე-  
და მთვარე, ტყე და ველი, ე. ი. ყველაფერი ის, რის ნამდვილ არსებობასაც.  
იდეალისტი პარმენიდე უარყოფდა.

აქედან ცხადია, რომ დემოკრიტეს უცნია მრავლობისა და მოძრა-  
ობის არსებობაც: თუ ბუნება ნამდვილად არსებობს, ნამდვილი უნდა იყოს.  
საგნებიც, რომლებისაგან ის შედგება; მაშასადამე, მოძრაობა და მრავ-  
ლობა, რის გარეშეც საგნები წარმოუდგენელია, სინამდვილეა და არა სიზ-  
მარი. ამაშია ის დედა-აზრი, რომელმაც წარმოშეა ა ტომიზმი და მისცა  
მას მიმართულება.

ერთი რამ ცხადია: ეინც მოძრაობასა და მრავლობას სინამდვილედ  
სკრინბდა, მას მათი შესაძლებლობის პირობების სინამდვილეც უნდა მიეღო.  
მართლაც, თუ მოძრაობის პირობა ნამდვილად არ არსებობს, მაშინ ვერც  
მოძრაობა იარსებებს. თუ კი მოძრაობა არსებობს ნამდვილად, მაშინ არ-  
სებობს მისი შესაძლებლობის პირობაც.

რა არის ეს პირობა, რის გარეშე შეუძლებელია მოძრაობა? და

უკვე პარმენიდემ გასცა ამ კითხვას გადაწყვეტილი: პასუხი<sup>2</sup>).

<sup>1)</sup> H. Ritter, Gesch. d. Philos., I, 589.

<sup>2)</sup> დემოკრიტეს დამოკიდებულება ამ შეხლში პარმენიდესთან უფრო დაწვრილე-  
ბით გადმოცემულია ჩემს წერილში „К проблеме науки у Демокрита“, რომელიც და-  
ბეჭდილია კრებულში „Вопросы философи и социологии марксизма“, Тифлис, 1931.

ნამდევილად მოძრაობა და მრავლობა შესაძლებელია მხოლოდ სიცალიერის (არარაობის) პირობით. მოძრაობა არის მხოლოდ იქ, სადაც არის სიცალიერე; იქ კი, სადაც მთელი სივრცე დაკავებულია ნივთიერებით და ცალიერი ადგილი არ არის, მოძრაობაც შეუძლებელია, ვინაიდან სხეულს არ აქვს თავისუფალი ადგილი, სადაც მას შეუძლია ძევლი. ადგილიდან გადასვლა. აგრეთვე მრავლობაც არ არის იქ, სადაც არ არის სიცალიერე: თუ მრავალი საგანი ისეა მჭიდროდ გადაბმული ერთი მეორეზე, რომ ცალიერი ადგილი შეუაში არ რჩება, მაშინ არ ყოფილა საზღვარი, რომელიც ერთს საგანს გამოჰყოფს მეორისაგან, ე. ი. მრავალი საგანი კი არა, მხოლოდ ერთი საგანი ყოფილა ამ პირობით. მაში, მოძრაობა და მრავლობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის ცალიერი სივრცე.

ეს უკანასკნელი დებულება ატომიზმაც მიიღო უკასიცაურე, რომ მათოდ: მისი თვალსაზრისითაც, მოძრაობა და მრავლობაც ბუნების ბა ცალიერ სივრცეს ჰგულისხმობენ.

**პირობა:** რომ მოძრაობა და მრავლობა სინამდვილეა, ეს ატომიზმისათვის, როგორც ითქვა, აქვთიმატური ხასიათის გამოსავალი დებულება იყო. ახლა, რაკი აღმოჩნდა, რომ მოძრაობისა და მრავლობის პირობა ცალიერი სივრცეა, ცნადია, დემოკრიტეს ცალიერი სივრცე სინამდვილედ უნდა გამოეცხადებია. პარმენიდე ცალიერ სივრცეს არარაობას ეძახდა და უარყოფდა მის არსებობას; აქედან კი აუცილებელი იყო მისთვის ბუნების არსებობის უარყოფაც. დემოკრიტე, პირუკუ, ქვეყნიერების არსებობას აქსიომატურ ჭეშმარიტებად სთვლილა და ამიტომაც მისთვის აუცილებელი გახდა ცალიერი სივრცის არსებობის ცნობა: ცალიერი სივრცე არსებობს, ამბობს დემოკრიტე.

რომ უფრო ნათლად წარმოგვიდგეს ის გადატრიალება, რომელიც დემოკრიტემ აზროვნების ისტორიაში მოახდინა, მისი დამოკიდებულება პარმენიდესთან შემდეგის. სილლოგიზმებით შევეძიძლია გავათვალსაჩინოთ<sup>1)</sup>.

**პარმენიდე:** თუ არ არის არარაობა (ცალიერი სივრცე), არც მოძრაობა და მრავლობა (ბუნება) არის. არარაობა არ არის (ვინაიდან ეს გამომდინარეობს არარაობის ცნების ლოგიკურ ანალიზიდან). მაშასადამე, მოძრაობა და მრავლობაც (ბუნება) არ არიან.

**დემოკრიტე:** ცალიერი სივრცე (არარაობა) არის, თუ არის ბუნება (მოძრაობა და მრავლობა). ბუნება არის (ვინაიდან ამას ამტკიცებს ჩვენი გამოყდილება). მაშასადამე, ცალიერი სივრცე (არარაობა) არის.

როგორც ეხედავთ, ამ ორი სილლოგიზმის მთავარი წინნამდვრები ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ; ოღონდ ის, რაც პარმენიდესთვის უმცროს წინნამდვარს წარმოადგენდა, დემოკრიტეს პრედიკატის შეცვლილი ნიშნით დასკვნაში აქვს მოყვანილი, და პირუკუ, რაც დემოკრიტესათვის წინნამდვარი შეიქმნა, ის პარმენიდესთვის (ეგრეთვე შეცვლილი ნიშნით) დასკვნა იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ პარმენიდე გამოდიოდა განყენებული ცნე-

<sup>1)</sup> შრდ. Aristoteles, De gener et corrupt., I, 8.

ბილან (არარაობის ცნებიდან) და ამ ცნების შინაარსს, აღმოჩენილს აბჯ სტრაქტული ანალიზის საშუალებით, დაუქვემდებარა მან ცდის საშუალებით მრღვებული ცოდნა (მრავლობის და მოძრაობის წარმოდგენები ხომ ცდისგან მოგდის): მრავლობა და მოძრაობა, არ არსებობენ, რადგან არ არსებობს არარაობათ. დემოკრიტემ კი, წინააღმდეგ ამისა, ცდის საშუალებით მიღებულს დებულებას დაუქვემდებარა განყენებული ცნების პოედიკატის არარაობა არსებობს, რადგან არსებობენ მრავლობა და მოძრაობათ.

ფრიად საინტერესოა ეს განსხვავება პა-მენიდესა ატომიზმი და ემ- და დემოკრიტეს შორის და მასზე ლირს დაფიქტება.

პირია

აქ ნათლად მოჩანს პრინციპული დამოკიდებულება რდეალიზმა და მატერიალიზმს შორის. იდეალისტი პარმენიდე ეყრდნობა საცუთარი აზროვნების სალაროდან აძლებულ ცნებას, რომლის გენეზისი არ არის ახსნილი და რომლის მნიშვნელობა არ არის შემოწმებული. საიდან მიიღო მან არარაობის ცნება? ან აქვს თუ არა ამ ცნებას ობიექტურო მნიშვნელობა? არც ერთს ამ საკითხზე პარმენიდე პასუხს არ იძლევა. აღვილად შესაძლებელია, რომ ეს ცნება კი არა, უსაბუთოდ შედგენილი წარმოდგენაა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკა მოითხოვს არარაობის არსებობის უარყოფას, მაინც დებულება „არარაობა არ არსებობს“ კეშმარიტება არ იქნება. მარტო ლოგიკა არ არის საქმარისი გარანტია კეშმარიტებისა: ჩენ შეგვიძლია ლოგიკურად ვიმსჯელოთ, მაგრამ თუ ამ მსჯელობის გამოსავალი წარმოდგენები ყალბია, დასკვნაც ყალბი იქნება. ამიტომ მარტო ლოგიკის საშუალებით კეშმარიტება მიუღწეველია: უპირველეს ყოვლისა საჭიროა შემოწმება წინასწარ, მიღებული წარმოდგენებისა, რაც ლოგიკის ფარგლებს სცილდება.

პარმენიდე ამ საჭიროებას არ სცნობდა: „მე მაქვს არარაობის ცნება... მაშ, არარაობა არ არის და მაშასადამე, არ არის მთელი ბუნებაც“— აი პარმენიდეს თეორიის ლერძი, რომლის მიხედვით შემცნობი ადამიანის გონება გვევლინება ობიექტური სინამდვილის კანონმდებლად: „სინამდვილე ისეთია, როგორც მოითხოვს ამას ჩემი გონება ან, უკეთ, ჩემი თეორია“. ბევრს ლაპათ ეს შეხედულება მოაგონებს ჰეგელს, რომელიც ასტრონომიის ამოცანებს მის მიერ შეთხული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საშუალებით სწყვეტდა<sup>1)</sup> და, როდესაც მას ეტყოდენ, რომ ეს გადაწყვეტილება სინამდვილის ფაქტებს არ ეთანხმება, სუვერენულად უბასუხებდა ხოლო: მით უარესი ფაქტებისათვის! შეიძლება გონება მართლაც იყოს სინამდვილის კანონმდებელი, მაგრამ გონება და არა თეორია, ვინაიდან რამდენია უგუნური თეორია, ვინ ჩამოსთვლის.

მაშ, ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ შეხედულებებში გონება არის და მხოლოდ შემდეგ შესაძლებელია კიდევ პრეტენზიების განცხადება სინამდვილის კანონმდებელის ტიტულზე. მაგრამ როგორ შეიძლება დამტკიცდეს

1) შტრ. К. Фишер, Гегель, его жизнъ и сочиненія, перев. Н. О. Лоссеко-го, стр. 235. сл.

თეორიის გონიერობა, თუ სინამდვილის ფაქტებს ზურგი ვაქციეთ? ამაზე პარმენიდე პასუხს არ გაგვცემდა.

დიამეტრულად წინააღმდეგის გზით მიიმართება დემოკრიტეს ფილოსოფია. მართალია, პარმენიდესთან ერთად დემოკრიტეც სცნობს იმის აუცილებლობას, რომ აღამინის გონებასა (თეორიის) და სინამდვილეს შორის უნდა სუფევდეს თანხმობა. მაგრამ ამ თანხმობას ის იმ საშუალებით კი არ აღწევს, რომ ფაქტიური სინამდვილე უარპყოს, არამედ იმით, რომ საკუთარი გონება (თეორია) ფაქტიურ სინამდვილეს დაუმორჩილა; აზრების სისტემა (თეორია) უნდა მოვწყოს ისე, რომ ის სინამდვილის ფაქტებს არ ეწინააღმდეგებოდეს. მარიგად, ცნება, ან უფრო სწორედ, წარმოდგენა კი არ გამოდის ცდაში მოუცული სინამდვილის მბრძანებელზე როგორც ეს პარმენიდეს და შემდეგ ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში იყო, არამედ თვითონ ის ეწყობა ფაქტიური სინამდვილის კარნაზით. ასეთია დემოკრიტეს ფილოსოფიის დაფარული პრინციპი, რომელშიდაც შემდეგ ემპირიზმის მამათმთავარმა ბეკონ ვერულამელმა შონათესავე მოვლენა სცნოსამართლიანად.

უკეთუ პარმენიდე ბუნების კანონებს იმის მიხედვით საზღრულოდა, თუ რა ესაჭიროებოდა მის მეტაფიზიკას, — დემოკრიტე, პირიქიო, თვით მეტაფიზიკას იმისდა მიხედვით აშენებს, თუ რა პირობებია საჭირო ბუნების გამოკვლევისათვის. ისე როგორც პარმენიდე, არც დემოკრიტე უარპყოფდა მეტაფიზიკას. მაგრამ პარმენიდესაგან განსხვავებით დემოკრიტეს საჭიროდ მიაჩნია ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მეტაფიზიკისა და, საზოგადოდ, ყოველი თეორიის, დანიშნულება ის კი არაა, რომ განცდილი მოვლენის არსებობა უარპყოს, არამედ ის, რომ ეს მოვლენა ახსნას, ცდის მიერ წამოყენებული ამოცანები გადასწყვიტოს, ცდის საშუალებით მიღებული წარმოდგენების გაუგებრობა და წინააღმდეგობა მოსპონ უფრო ღრმა ანალიზით მიღწეულ ცნებების დახმარებით და ხელი შეუწყოს მთლიანი, წინააღმდეგობისაგან თავისიუფალი მსოფლმხედველობის შესწნას. პარმენიდეს მეტაფიზიკა არღვევდა ამ მოთხოვნილებას: ის არამც თუ არ სპონდა თავისი ღრისის აღამიანის აზრების წინააღმდეგობას, არამედ სამუდამოდ აპობდა შეაზე მის შეგნებას, როდესაც ამტკიცებდა, რომ არ არსებობს მოძრაობა. და მრავლობა, ე. ი. ის, როს არსებობს გრძნობები იმდენად გვარწუნებენ, რომ მისი უარყოფა ჩეცულებრივს აღამიანს ფსიქოლოგიურად ვერ ძალუსაჩა, ცუდია ის მეტაფიზიკა, რომელიც იმის მაგივრად, რომ ახსნას განცდილი, უარპყოფს მის არსებობას, ვინაიდან ყოველი თეორია, კერძოდ მეტაფიზიკაც, მხოლოდ იმისათვის არის, რომ ხელი შეუწყოს ცდის მიერწამოყენებულ ამოცანების გადასწყვეტას. თეორია, რომელიც წაცვლად ამოცას, უარპყოფს თვით ამოცანას, თავის დანიშნულებას სცილდება და ნამდვილ უაზრობად იქცევა. დავიმახსოვროთ ეს დებულება, რომელიც ჩართულია დემოკრიტეს არგუმენტაციაში, რადგან ის გამოგვადება შემდეგით ატომისტური მეტაფიზიკის შესაფასებლად.

## ნიმუშის არაგლება

ზევით ჩვენ მოვნახეთ ერთი წინნამძღვარი ატომისტური ფილოსოფიისა, რომელიც უკანასკნელს დადებითად ახასიათებს, როგორც ვიშრო იდეალიზმის მეტოქეს. ეს დებულებაა: არარაობა ან ცალიერი სიცრცე არ-სებობს ნამდვილად. საჭიროა მოვნახოთ მეორე წინნამძღვარიც და მთელი ატომიზმის სქემა თვალწინ წარმოდგება. ეს წინნამძღვარია დებულება: „არსებობენ ატომები“. რომ საფეხით გავიგოთ ამ დებულების აზრი, საჭიროა მის ისტორიას თვალი გადავაკლოთ.

ეს ისტორია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მი-

იონიური თოლლოგიის გავლენისაგან განთავისუფლებულმა აზროვ-

ფიზიკა ნებამ პირველად დააყენა საკითხი: რა არის ყველაფერი?

რა არის საგანთა ბუნება? რა არის საგანთა ძრი? ყველა ეს კითხვა ერთი და იმავე კითხის სხვადასხვა გამოთქმაა. თალესმა, რომელსაც პირველად ბერძრა ეს საკითხი, შემდეგი პასუხი გასცა მას: ყველაფერი წყალია (a). წყალია მიწა (a<sub>1</sub>), ჰაერი (a<sub>2</sub>), ცეცხლი (a<sub>3</sub>), პირუტყვი (a<sub>4</sub>), ადამიანი (a<sub>5</sub>)—ერთი სიტყვით, ყველაფერი, რადგან ყველაფერში არის წყალი, რა-დგან ყველაფერი წყლისაგან შედგება. ვინც ამას იტყოდა, იმისათვის აუ-ცილებლად იბადებოდა მეორე საკითხი. ვთქვათ, ყველაფერი წყალია; მა-გრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მიწა (a<sub>1</sub>), მაგალითად, არის უბრა-ლოდ წყალი (a) და მეტი არაფერი: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მიწა უდრის წყალს (a<sub>1</sub>=a)? ცხადია, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა. გაეცათ: რომ ერთი კერძო საგანი (მაგალითად, მიწა) უბრალოდ წყალი ყოფილიყო, მაშინ მეორე კერძო საგანიც, მესამეც, მეოთხეც წყალი უნდა ყოფილიყო უბრალოდ, ე. ი. ჰაერიც (a<sub>2</sub>), ცეცხლიც (a<sub>3</sub>), პირუტყვიც (a<sub>4</sub>), ადამიანიც (a<sub>5</sub>). მხოლოდ წყალი იქნებოდენ ამ პირობის ძალით. მაშასა-დამე, არაერთარი განსხვავება მათ შორის არ დარჩებოდა: თუ a<sub>1</sub>=a, a<sub>2</sub>=a, a<sub>3</sub>=a, a<sub>4</sub>=a, a<sub>5</sub>=a, მაშინ a<sub>1</sub>=a<sub>2</sub>=a<sub>3</sub>=a<sub>4</sub>=a<sub>5</sub>. ეს კი იმას ნიშანავს, რომ არ იქნებოდა არც მიწა, არც ჰაერი, არც ცეცხლი, არც პირუტყვი და არც ადამიანი. მაშ, კერძო საგანი (a<sub>1</sub>) უნდა იყოს მეტი, ვიდრე საგან-თა საყოველთაო. ძირი (a). ალენიშნოთ ეს „მეტი“ B<sub>1</sub> ასოთი. გამოდის, რომ კერძო საგანი a<sub>1</sub> არის უბრალოდ ა კი არა, არამედ a+b, ან a<sub>1</sub>=a+b. ანაირადვე მეორე საგანიც (a<sub>2</sub>) არის მხოლოდ ა კი არა, არამედ უკანას-კნელზე მეტი; ოლონდ ეს „მეტი“ არ შეიძლება იყოს b<sub>1</sub>, ვინაიდან მაშინ a<sub>2</sub> იგივე იქნებოდა, რაც a<sub>1</sub> ამიტომ a<sub>2</sub>-ს „მეტი“ უნდა აღინიშნოს, როგორც b<sub>2</sub>, ე. ი. a<sub>2</sub>=a+b<sub>2</sub>. ამისდაგვარად a<sub>3</sub>=a+b<sub>3</sub>; a<sub>4</sub>=a+b<sub>4</sub>; a<sub>5</sub>=a+b<sub>5</sub> და ასე სხვ. თითოეული კერძო საგანი შეიცავს საყოველთაო ძირს და კიდევ რაღაც მეტს.

რა არის ეს „მეტი“? ის არის b, მაგრამ სხვადასხვა საგნებში არა ერთი და იგივე, არამედ სხვადასხვა b: a<sub>1</sub>-ში b<sub>1</sub>, a<sub>2</sub>-ში b<sub>2</sub>, a<sub>3</sub>-ში b<sub>3</sub> და ასე ქვევით. როგორია ამ „მეტის“ (b) დამკიდებულება საგნების სა-

ზოგადო ძირთან (a)? როგორც თალესი, ისე მისი. მოწაფე ანაქსიმანდრეც. ხედავდენ, რომ „მეტი“ არ შეიძლება იყოს უბრალო ძირი, ხომ არ შეიძლება. იყოს უბრალო a. რომ b უბრალოდ a ყოფილიყო მაშინ a, იგივე იქნებოდა რაც a<sub>1</sub>, a<sub>2</sub>, a<sub>3</sub>, a<sub>4</sub>, ე. ი. არ იქნებოდა მათ შორის არაეითარი განსხვავება: კერძო საგნები ვერ იარსებოდენ. მაგრამ თუ „მეტი“ არ არის უბრალოდ საყოველთაო ძირი, რა უნდა იყოს ის? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა არის ის, რაც საზოგადო ძირს ემატება და მის სპეციფიკისა ჰქმნის, რასაც შედეგად მოაქვს მრავალი ერთი მეორისაგან განსხვავებული საგნის, არსებობა?

**ანაქსიმენი** უაბლოები პასუხი ამ კითხვაზე გასცა ანაქსიმენია: „მეტი,

(b) არის ძირის მდგომარეობა, ე. ი. „გასქელება“ და „გა-

თხელება“. კერძო საგანი, მაგალითად მიწა (a), არის ძირი (ასეთ ძირად ანაქსიმენია წყალის ნაცვლად ჰაერი გამოაცხადა), რომელსაც მიემატა „გა-

სქელება“: მიწა უძრის გასქელებულ ჰაერს, a<sub>1</sub> = a + b<sub>1</sub>. მეორე კერძო სა-

განიც, ცეცხლი (a<sub>2</sub>), არის იგივე ძირი (a), რომელსაც მიემატა მდგომა-

რეობა – „გათხელება“: a<sub>2</sub> = a + b<sub>2</sub>. როგორც ჩანს, თვითონ ძირი ყოველი

მდგომარეობის (გასქელება-გათხელების) გარეშე განაზრებული: ის არც სქელია, არც თხელი. ის ყოველთვის ერთგვარია და უცვლელად შედის

მდგომარეობა-დამატებულ საგნებში ან ერთ და იგივე ჰაერის სხვადა-

სხვა მდგომარეობაში. მაგრამ რა უნდა იყოს ეს? ეს, არეს ჰაერის ნაწი-

**დაკები:** - როდესაც ისინი უაბლოვდებიან ერთმანეთს, ჩვენ ვიტყვით, რომ

ჰაერი იყენება, სქელდება; როდესაც კი ერთმანეთს შორდებიან, ჩვენ ვი-

ტყვით, რომ ჰაერი იფანტება, თხელდება.

ამრიგად, ნამდვილ ძირად ანაქსიმენისათვის ჰაერის ნაწილაკები იქცენ: რეინა არის გასქელებული ჰაერი, ე. ი. ისეთი რამ, საღაც ჰაერის ნაწილაკები მცირდოდ არიან, რაც ბევრს ჰაერის ნაწილაკს შეიცავს; ცე-  
ცხელი კი არის გათხელებული ჰაერი, ე. ი. ისეთი რამ, რაც ცორა ჰაერის ნაწილაკს შეიცავს. „ბევრი“ და „ცოტა“ — აი რა არჩევს რეინას ცეცხლი-  
საგან: რეინაც იგივეა, რაც ცეცხლი (ორივე ხომ ჰაერის ნაწილაკების შეერთება), ოღონდ რეინაში ეს „იგივე“ ბევრად არის. ცეცხლში კი  
ცოტად.

დიდი ბუნდოვანობაა, უეჭველია, ამ თეორიაში: რა არის „ცოტა“ ან „ბევრი“? მაგალითად, რეინას ერთი კუბიკური მილლიმეტრიც ჰაერის უფრო ბევრს ნაწილაკს შეიცავს, ვიდრე ცეცხლის ასი მილლიონი კუბი-  
კური კილომეტრი? — თუ არა, მაშინ საჭიროა ისე განისაზღვროს წამოყე-  
ნებული ცნებები ახალი ცნებების დამატების საშუალებით, რომ ბუნდო-  
ვანობისათვის ადგილი არ დარჩეს.

შეორეს მხრით, თუ ჰაერის ნაწილიკებია საგნების საყოველთაო ძირი, მაშინ ყოველ საგანში არის ჰაერის ნაწილაკები. მაშასადმე, ყოველ საგანს უნდა ჰქონდეს ჰაერის თვისებები და არც ერთს საგანში არ უნდა იყოს ისეთი თვისება, რომელიც ეწინააღმდეგება ჰაერის თვისებას. მაგრამ ყველა ამჩნევს, რომ ეს ასე არ არის. ძალიან მოხერხებულად აირჩია ანაქსიმენია

„մորավ“ ուսետո նոյտոյերեծա, հռմելլսապ ხելլովնշրիս ապէրամբրութիւն Շեյսայ հազբեցելու օճամիանու Շըմեցնեծուսատցու տուժքիս առաջուտարու տցուսկեծ առ այքս: առու գյորո, առու շեմո, առու սյոնո, առու սմագհր. այս հռմ զերու տցալու, զերու պյուրու, զերու լըզորու, զերու յանու մուս առշեծոնած յացու զեր օշմնոնձս<sup>1)</sup>. մացհրամ մանց Շըմելլցի սուահալլուցաւ Ֆայրի ուսետու տցուսեծու յամոնաեցա, հռմելլսապ յ՛նոնալմդցեցի միւ ու մի զերմու սացնու, տցուսեծու յացալուտագ, Ֆայրու մեսծյոյա. Ֆայրուս, նաֆոլակյեծու մեսյու յունդա ոյուս. մեսծյոյա նաֆոլակյեծու Շըմերուցի մեսծյոյա սացանո յոնդա մեցցոյս. յոնամթիւ ամուսա, հյոնա մեմիցա. հյոնուս տցուսեծու, մաժասաձամյ, յ՛նոնալմդցեցի Ֆայրուս նաֆոլակյուս տցուսեծուս, յուրու Շեյտավյուցելուս մեռնհուտան. յս կո Շեյսամոնձսա: ու Ֆայրուս նաֆոլակյեծու սացնեծու մորո, յուզցու սացանշու յոնդա ոյուս Ֆայրուս տցուսեծու յա առու յուրուտ սացանշու յոնդա մորու յ՛նոնալմդցեցի Ֆայրուս տցուսեծուս.

**Անայիսացորու** նամթմցունու յունդա մեռենուլուս անոցնեծուս յանցուտարուցի մեսծյուրուցի սացանշու. որու յետու մուեծու յու լու: յուրու յետու առիս անայիսացորումա, մեռու յումոյրումբ. անայիսացորումա ու նաֆոլակյեծու, հռմունցուսացան յոնդա Մեմթցարուոյցեն սացնեծու մեռլունց Ֆայրուս նաֆոլակյեծու յու առու, առամցու սեցալասիցա նոյտոյերեծատա նաֆոլակյեծու յամուպեալու. սացնեծու մորունց Ֆայրուս նաֆոլակյեծու հռուու. ամատ յարու առուս նաֆոլակյեծու ոյրուս, յերուելուս, յուլուս, բյուլուս, նուլուս, մուլուս, եռուրուս, տմուս, ու մռացալու սեցա նոյտոյերեծուս, յ. օ. համթենու յուրուցցարու սեցուլուս յուրուցցարու սեցուլուս յու անայիսացորու ուսետ սեցուլուս յմաեծու, հռմունու մեյքանու յուրու յանցուուլուցի առ սպալուս, մտուլուս տցուսեծուս: եռուրու հռմ լազցութու, մանց եռուրու լազցորիիցի, սուսելուս յումպուրուս յմյանույշու, նաֆուու մանց սուսելուս<sup>2)</sup>, — մունցու սեցալասիցա տցուսեմքիուցու յուլուլու նաֆոլակյեծու առսեծոնձս. յուլուս նաֆոլակյեծու յումտացրուսալ սուցուուս տցուսեծուս արարուցի; յոնուլուս նադ յուլուակյեծու յումտացրուսալ սուցուուս տցուսեծուս արարուցի; բյուլուս նաֆոլակյեծու յումտացրուսալ սուտեսու տցուսեծուս արարուցի; հյոնուս նաֆոլակյեծու յումտացրուսալ սուտեսու տցուսեծուս արարուցի; յոնամթիւ սուսելուս տցուսեծուս արարուցի. այս սեցուեծուս յայտ տացուսու յանսայուրուցի սպյուլու սկյուույշու տցուսեծու: ան սոմմումյ, ան սոմսյույշու, ան սոնատուլյ; ան սոննյուլյ, ան սրտեց, ան սույյե, ան սուցեց, ան սուցուց. վույզատ, հռմելութիւ սացան, մացալուտագ, յուլուլու, տծոլուս, մեմիցա ու մացարուս. մաժ, յու սեցուլու յելցեցի յելցուրուս նոյտոյերեծու նաֆոլակյեծուսացան. յուտեաչյ, հաճ առուս սացան տծոլու — անայիսացորու տցալլսաշրուուստ յեմելլցեծու մեռլունց ասետո Ֆայրուս յացումա: սացան տծոլու. մեմիցա, հռմ ու տծոլու նաֆոլակյեծուսացան յելցեցի. հաճ առուս տցուտ յու նաֆոլակյեծու տծոլու? — յու այս ոյու լասաձամուրան, յումասյութեծս անայիսացորու, յ. օ. սայուտես յաձայնութիւնաց սրույցիս առսեծուտագ.

1) յութցուլուս, հռմ տալլսու բյուլուս նագլուլցանիմք մուպան, անայիսումյուն դացու յշամթիւն,

2) Burnet, Die Anfänge der griechischen Philosophie. 1913, s. 242 ff.

არ შეიძლება აქ არ მოგავონდეთ მოლიტვის კრმელის განთქმული გმინი, რომელიც შეკითხავზე, თუ რისთვის აძინებს ხაშხაში, იოლად უპასუხებდა ხოლმე: იმიტომ აძინებს, რომ მას აქვს დამაძინებელი ძალა (vis dormitiva). ვინც ისწავლა ასეთი ოსტატური ხერხი საკითხების გადაწყვეტისა, მისთვის თავსამტკრევი ამოცანები უკვე მოისპო. რად ათრობს ლეინო? იმიტომ, რომ ღვინოს აქვს მათრობელი ძალა. რად გვამხიარულებს მუსიკა? იმიტომ, რომ მუსიკას აქვს გამამხიარულებელი ძალა. ეს ხომ სიტყვიერი ასწავლა და არა ნამდგილი. აი ასეთი პასუხების პარალელს წარმოადგენნენ ანაქსაგორის ფილოსოფიის ნიადაგზე შესაძლებელი პასუხებიც: ასდ გათბა ოთახი? იმიტომ, რომ მასში შევიდენ თბილი ნივთიერების ნაწილაკები. რად ამწვანდა მინდორი? იმიტომ, რომ მასში გაჩნდა მწვანე ნაწილაკები, — და ასე დაუსარულებლად. არც ერთი საკითხი გამოკვლევას და დაფიქტურასაც კი არ მოითხოვს, რადგან ერთის მხრით მწერავსი მხოლოდ მწგავსისაგან ჩნდება, მეორეს მხრით კი ელემენტურ თვისებათა მატარებელ ნაწილაკების სახეები განსაზღვრული არ არის<sup>1</sup>), და ყველას შეუძლია თვისი ნაწილაკები შემოგვაჩენს. მოკლედ რომ ვთქვათ, ანაქსაგორის მოძლევება თუმცა ხსნის ანაქსიმენის თეორიის შინაგან წინააღმდეგობას, მაგრამ ეს მოხსნა ერთობ ძეირად უჯდება: ის სრულიად სპობს შეცნიერებას<sup>2</sup>), როგორც საყოველთაოდ სავალდებულო დებულებათა სისტემას, და მეცნიერული ასწავლის დაგილზე მხოლოდ სიტყვიერ ასწავლა აყენებს. ამ მხრით ანაქსაგორის ჰომოიომეტრები (ნაწილაკები) სრულიად ემზავსებიან საშუალო საუკუნოების ობსკურანტების მიერ გამოვნებულ სუბსტანტიალ ფორმებს<sup>3</sup>), რომლების თეორიასაც დასტინოდა შოლიერი ზემოხსენებულ კომედიაში.

თუ ანაქსაგორის გზამ ჩიხში შეგვიყვანა, დემოკრიტემ დემოკრიტეს გზა ისეთი გზა აირჩია, რომელიც დღესაც, მას შემდევ რაც მეცნიერთა საუკეთესო ნაწილმა ოცდაოთხი საუკუნის განმავლობაში იარა ამ გზით, ბოლომდის გავლილი არ არის, პრინციპული და თუ ვიმსჯელეთ. ანაქსიმენის თეორიის შინაგან წინააღმდეგობას ის იმით კი არ ასწორებს, რომ საგანთა „ძირებს“, ერთობ აღებულთ, ანაქსაგორის მზგავსად მიაწეროს ყველა ის თვისება, რომელიც კონკრეტულ საგნებს აქვს. არა, ის ირჩევს ლიამეტრული წინააღმდეგ გზას<sup>4</sup>): საგანთა „ძირებს“ ან

<sup>1)</sup> შდრ. Дюгем, Физика качеств (Фотоаппаратура კრებულში Новые идеи в философии, წიგნი მეორე. გვ. 184).

<sup>2)</sup> თ. გომერიცის თქმით, Griechische Denker, I, 186. ანაქსაგორმა, „das Kind mit dem Bade ausgoss“. ერთსტ მანი დუჭმის წიგნის გერმანულ გამოცემისაფურის დაწერილს წინასიტყვაობაში შემოიხავა: „„პირველად თვისებების რიცხვი არ შეიძლება თვითნებურად იქნეს გამრავლებული, ვინაიდნ წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერებას ბოლო ედება“. დიუგем, Физическая теория, 1910, 4.

<sup>3)</sup> შდრ. Windelband, Einleitung in die Philosophie, 1920, §6.

<sup>4)</sup> ასე ესწყვეტი ჩენე ატომიზმის გენეზისის საკითხს. ერთნაირად ცდებიან ცნონი, გრძნებულობას, რომ ატომიზმი მხოლოდ პარმენიდესაგან წარმოდგა (Zeller), და ისინიც, ვინც ფიქრობს, რომ ატომიზმი მხოლოდ ანაქსაგორისაგან წარმოდგა (Burnet). ნამ-

ნაწილაკებს ის იმ თვისებასაც კი აცილებს, რომლებსაც ატარებს ჰაერი, როგორც კონკრეტული ნივთიერება. ნაწილაკები, რომლებისაგანაც შედგება საგნები, არ არიან ჰაერის ნაწილაკები. მათ არ აქვთ ჰაერის კერძო ნიშნები, ისე როგორც არ აქვთ მათ არც ერთი გრძნობათა. მიერ შეცნობილ ნივთიერების კერძო ნიშნები<sup>1</sup>). აი ასეთს ნაწილაკებს ეწოდება ატომები.

შეღრეს მხრით, ეს ნაწილაკები ან ატომები არც სრულიად მოქლებული არიან ყოველგვარ თვისებას. ასე რომ ყოფილიყო, რა განსხვავება იქნებოდა ატომსა და არარაობას შორის? არავითარი. მაგრამ არარაობა ხომ ვერ ახსნიდა არსებულ ბუნებას. ამიტომაც დემოკრიტემ საჭიროდ სცნო მიეწერა ატომებისათვის თვისებები. ამ თვისებების გარკვევაშია უმთავრესად ატომიზმის ახალი საბიჯი, რომელმაც მოსპონ ანაქსიმენის თეორიის ზემოაღნიშული ბუნდოვანობა და განსაზღვრა საგანთა შემაღენელ ნაწილაკების ბჭენება. ამ განსაზღვრას დემოკრიტე იმდენ მიმდებარებას აძლევდა და იმდენი ენერგია დაახარჯა მას, რომ ზომასაც გადააჭარბა: ზედმეტი პასტულატებით დაამშიმა თავისი თეორია, როგორც ამას ქვევით დავინახავთ,

## 5.

### ათოვების თვისებები

**განუყოფელობა** უკვე თვით სახელი ატომისა გვიჩვენებს ერთს მის მთავარ თვისებას. ბერძნული სიტყვა პარმოს წარმოსდგენდა თემუა ზმინიდან. თემუა კი ითარგმნება ქართულად სატყვით „ვევეთავ“, ან „ვერი“, „ვაპოძე“. პრეფიქსი „ა“ უარყოფას აღნიშნავს. ამრიგად მთელი სიტყვა პარმის უდრის ქართულს „განუკვეთელი“, „განუჭრელი“ ან კი-დევ „განუპოძელი“, „განუყოფელი“. როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, ატომი ყოფილა ისეთი რამ, რისი განკვეთა, გაყოფა ან განაწილება შეუძლებელია. ეს ისეთი ნაწილაკია, რომელსაც თვითონ არავითარი ნაწილი არ აქვს.

რამ აძლელა დემოკრიტე მიეღო დებულება, რომ ატომი განუყოფელია? საჭმელ შემდეგში იყო: უკეთს დემოკრიტე მიიღებდა, რომ ატომს ნაწილები აქვს, მაშინ მას უნდა მიეღო, რომ ამ ნაწილებსაც აქვს ახალი ნაწილები, ამ უკანასკნელებსაც — თავისი ნაწილები, და ასე დაუსრულებლად. მაგრამ უკვე პარმენიდეს მოწაფები ქენონია დამტკიცა, რომ ის, ვინც სხეულის დაუსრულებელი გაყოფის შესაძლებლობას იღებს, მთელს სხეულს არარაობად აქცევს. ძეგნინის არგუმენტულია იმ ზომამდე დასაბუთებული იყო, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი გახდა.

დფილად ატომიზმი წარმოდგა ორივესაგან (შდრ. Bäumker, D. Problem d. Mater, 82). ორივე (პარმენიდე და ანაკსიანი) ზღუდავნ მეცნიერულ კლევის შესაძლებლობას. ამიტომ ორივეს უსწორდება ატომიზმი, და ამ გაომრებებაშია მისი გრძელისიც საძირებელი.

<sup>1)</sup> სექსტ ემპირიკოსის განსაზღვრით (Mathem., VIII, 6) პრ. მი სასი არა უზრუნველყო მას მართვა მეტყველებას და მას განვითარებას.

დემოკრიტემაც გაუწია ამას ანგარიში და ოლიარა, რომ საგნების „ძირები“ არიან ატომები, რომლების გაყოფა არ შეიძლება, რომლებსაც, გაშასადამე, ნაწილები არ აქვთ.

**შავსეობა** მაგრამ რატომ არ აქვს ატომს ნაწილები? რატომ არ სავსეობა.

შეიძლება ატომის გაყოფა? შეიძლება იმიტომ, რომ ის განუფენელია, ე. ი. მას არ აქვს არც სიგრძე; არც განი, არც სიშეხო? არა, ატომი განუფენილია. მართალია, ატომი ძლიერ პატარა მოცულობის სხეულია, მაგრამ მას მაინც უჭირავს აღგილი სივრცეში, როგორც საზოგადოდ ყოველს განფენილ ასესებას, ყოველ სხეულს. ატომები რომ განუდენელი იყოს, მათგან განფენილი საგნები ვერ წარმოდგებოდა — იმეორებს დემოკრიტე იმავე ძენინის აზრს. მაშ, თუ ატომი განფენილი სხეულია, რატომ არ შეიძლება მისი გაყოფა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დემოკრიტე ისარგებლა ელეატების აზრით: გაყოფა შეიძლება მხოლოდ იმში, რაზიც სიცალიერე არის, რადგანაც მხოლოდ ცალიერ სივრცეს შეუძლია გაანაწილოს საგანი. მაგრამ ატომი. არის ისეთი რამ, რაშიც სიცალიერე არ არის. ატომი სრულიად სავსეა ნივთიერებით. ამიტომაც არის ის განუყოფელი. — ესეც ახალი თვისება ატომისა: ის სრულიად საკსეა ნივთიერებით.

**შეუფალობა** ამიტომ არ შეიძლება ატომის შეკუმშვაც. მთელი

ქვეყნიერების სიმძიმე რომ დააჭვეს ერთს ატომს, ის მაინც არ შეკუმშვება. ის სრულიად მაგარია. არც სხვა საგნის მიღება შეუძლია ატომი: აფოში სრულიად შეუფალია. ის აღგილი, რომელიც ატომა უჭირავს, უჭირავს მხოლოდ მას: მეორე ატომს არ შეუძლია დაიჭიროს სულ ოდნავი ნიშილიც. კი ამ აღგილისა, ე. ი. არ შეუძლია შეიჭრას პირველ ატომში. მართალია, ატომს შეუძლია გამოაგდოს მეორე ატომი მის მიერ დაჭერილ აღგილიდან და ამის შემდეგ დაიჭიროს განთავისუფლებული ალაგი; მაგრამ, სანამ ატომს რომელიმე აღგრძლი უჭირავს, ის სრულიად ავსებს მას და სხვისათვის თავისუფალი აღგილი იქ არ აჩება. ამ თვისებას<sup>1)</sup> თანამედროვე ტერმინით შეძლება ეწოდოს გარემოდარება: ატომები აბსოლუტურად გარემოდებარე არსებანი არიან ერთობირისათვის.

**მარადიულობა** არ შეიძლება, რომ ატომის არსებობა შეწყდეს; არ შეიძლება ატომი მოისპონ. მართლაც, როგორც უნდა.

მოისპონ ატომი? გახდენ მას არ შეუძლია, როგორც იხრწნება, მაგალითად, ლეში, ეინიდან ატომს არ აქვს ნაწილები. თუ ატომი შესწყვეტს არსებობას, ის უცბად უნდა არარაობად იქცეს, ე. ი. მოუმზადებლად არარაობას, ის უცბად უნდა არარაობად იქცეს, ე. ი. მოუმზადებლად არაგაქრეს. დემოკრიტეს აზრით, ეს შეუწყნარებელია: ის, რაც არის, არაგაქრეს. დემოკრიტეს აზრით, ეს შეუწყნარებელია: ის, რაც არის, არაგაქრეს. არარაობად იქცეს ან არსებული არ შეიძლება გაჭრეს. ამიტომ ატომის არსებობას ბოლო არ აქვს;

1) არისტოტელი უწოდებდა მას ორთოპია-ს.

ამასთან ერთად ატომის არსებობას არც დასაწყისი აქვს: ატომი ვერ გაჩნდებოდა ისე, როგორც ჩნდება საგანი თავის შემაღენელ ნაწილები-საგან (მაგალითად, სახლი აგურებისაგან), რაღაც ატომს ნაწილები არ აქვს. ატომი ვერ გაჩნდებოდა ვერც მეორე ატომსასგან, ე. ი. ვერ დაიბა-დებოდა მისგან, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამჩენელ ატომს თავისი ნაწილი უნდა გაეტანებია გაჩენილისათვის, ისე როგორც მშობელი ატანს ნაშობს. მაგრამ ატომს ნაწილი არ აქვს. მაშასადამე, თუ ატომი გაჩნდებოდა, ის უნდა გაჩენილიყო უცბად არარაობისაგან. მაგრამ ესეც დემოკრიტეს აქსიო-მატური დებულების ძალით შეუძლებელია: როგორც არსებული არარაო-ბად არ იქცევა, ისე არარაობაც არსებულად არ იქცევა, ან არსებული არარაობისაგან არ ჩნდება.

ის, რაც არ ჩნდება და არ ისპობა, მარადიულია. ასეთია სწორედ ატომიც, რომელიც მარად არსებობს, მუდამ უცვლელი, მუდამ ერთი და იგივე. თუ ასეა, ატომების რაოდენობაც მსოფლიოში ერთი და იგივე უნდა იყოს: ახალი ატომები მსოფლიოს არ ემატება და ძველიც არ აკლდება.

უცვლელი ატომი ახალს არაფერს ჰქმნის. მას არ შეუძლია წარმო-შვას თვის არსებილი მოძრაობა; ან მოსპოს მოძრაობა, რომელიც მას ერთხელ გარეშე მიზეზმა დაკაბრია. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ატომი გა-ჩერებულია, ის ვერ ამოძრავდება თავისით და, თუ ის მოძრაობს, ვერც თავისით გაჩერება: ატომი ინერტულია.

**აბსტრაქტობა** არც გემო, არც ფერი, არც სუნი, ე. ი. ყველაფერი, რასაც ლოკების შემდეგ მეორეხარისხოვან თვისებებს უწოდებენ, ატომს არ აქვს. მას აქვს როგორც ყოველს განფენილს არსე-ბას სიდიდე, მაგრამ ისეთი მცირე, რომ მისი დანახვა შეუძლებელია. ამი-ტომ ატომი გრძნობების საშუალებით არ შეიცნობა.

ზემოხამოთვლილი თვისებანი ყველა ატომისათვის საზოგადოა, ამ თვისებათა განსაზღვრაუში დემოკრიტემ ისარგებლა პარმენიოს მეტაფიზი-კური ცნებით, რომელსაც უკანასკნელი აღნიშნავდა სიტყვებით „ერთი“ (ეს), „არსი“ (თუ ესი), და ამ ცნების პრედიკატები გადმოიტანა. თავის ატომებზე.

**ატომების ურთი-ერთი განსხვა-ვება** მაგრამ ატომებს მთლილ საზოგადო თვისებანი როდი-აქვთ. ისინი განირჩევიან ერთი-მეორისაგან. უპირველეს ყოველისა განირჩევიან ნუმერულად: ერთი ატომი არ აის მეორე ატომი. ასეთი ერთი მეორისაგან განსხვავე-ბულ ატომების რიცხვი უსაზღვროა: ცადია, რომ ცალიერი სივრცეც, რომელშიც ატომები იმყოფებიან, უსაზღვრო უნდა იყოს.. ამ ნუმერულ განსხვავებასთან არეს დაკავშირებული ისიც, რომ ატომები განირჩევიან ურთიერთ შორის იმ ადგილით, რომელიც თითოეულს უჭირავს დროის ერთს და იმავე მომენტში.

ამასზე მეტს მნიშვნელობას აძლევს დემოკრიტე ატომების განსხვავი-ბას მოყვანილობით (ჭავაძ) და სიდიდით (მარტივ). თუმცა ატომებს ძლი-

ერ მცირე მოცულობა აქვთ, მაგრამ ამ მოცულობის ფარგლებშიც არსეა ბობს განსხვავება უფრო დიდსა და უფრო პატარა ატომებს შორის. ეს კი დამოკიდებულია იმისაგან, რომ მოყვანილობითაც განირჩევიან ატომები: არის ატომი სამეუთიანი, ოთხუთხიანი, მრავალუთხიანი, მრავალი, მოგრძობა, ამობურცული, ამოლრმავებული, წვეტიანი და სხვა<sup>1)</sup>. ასეთი ფორმების რიცხვი უსაზღვროა. მოყვანილობით ან ფორმით განსხვავებას დემოკრეტე ისეთს მნიშვნელობას აძლევდა, რომ ის ხშირად ატომებს უბრალოდ „ფორმებს“ (მარტინ) უწოდებდა.

ატომები, რო- ზემოაღწერილი ატომები წარმოადგენენ საგნების გორც საგნების „ძირებს“: მათგან შედგება ყველაფერი, რაც არის. საგნები განირჩევიან ურთიერთ შორის იმ ატომებისა გა- „ძირები“ მო, რომლებისაგანაც ისინი შედგებიან. ატომები, რომლებიც ერთს საგანში იმყოფებიან, განირჩევიან იმ ატომებისაგან, რომლებიც მეორე საგანში არიან ან თავისი მოყვანილობით (ხუჭატ), ან თავისი მდგომარეობით (ტიპი), ან თავისი წყობით (მიამზე), ან თავისი სიდიდით (მეტეზი). ამის მიხედვით განირჩევიან საგნებიც.

ბუნება შეიძლება შევადაროთ წიგნს. ამ წიგნის სიტყვები იგბევა, რაც საგნები ბუნებისა. სიტყვები შედგება ასოებისაგნ; საგნებიც ატომებისაგან შედგება. ატომები საგნებისათვის იგივეა, რაც ასოები (ითარება) არის სიტყვებისათვის. იმის მიხედვით, თუ როგორი მოყვანილობის ასოებია სიტყვაში და აგრეთვე როგორია მათი წყობა, იცვლება თვით სიტყვაც. ასოები დ, ა, თ, ა მოგვცემენ ხან სიტყვას „დათა“, ხან სიტყვას „თადა“, ხან სულ სხვა სიტყვას „ადათ“, იმის მიხედვით, თუ როგორი არიან ეს ასოები დაწყობილი ან როგორია მათი წყობა (ებლა გავიგეთ რას ნიშნავს „წყობა“). მეორეს მხრით, არც ერთ ზემოყვანილ სიტყვებს არ მოგვცემს ასოები ი, ო, ს, ე, როგორც გინდათ ისე დააწყვეთ ისინი. რატომ? იმიტომ, რომ ეს ასოები განირჩევა თავისი მოყვანილობით (და, მაშასადამ, მნიშვნელობითაც) იმ ასოებისაგან, რომლებისაგან შედგება ზემოყვანილი სიტყვები (ებლა უკეთ გავიგეთ, რას ნიშნავს „მოყვანილობა“). ასეთია ატომების და საგნების დამოკიდებულებაც, იმ: განსხვავებით ოლონდ, რომ: 1. ატომთა სხვადასხვა მოყვანილობის რიცხვი უსაზღვროა<sup>2)</sup>, ასოების მოყვანილობის რიცხვი კი მცირეა: იმდენი მოყვანილობა არის ხოვ ასოებში, რამდენიც ასოებია ანგანში; 2. ასოს ყოველთვის ერთი და იგივე მდგომარეობა აქვს (მაგალითად, ის არ შეიძლება გადაბრუნებულად ან შექცეულად დაიწეროს: „ო“-ს მაგივრად არ შეიძლება დაიწეროს „ა“ ან „ე“). ატომს კი შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა მდგომარეობა ჰქონდეს; გადაბრუნებული, წაქცეული, დახრილი, და სხვა ათასი (ესეც გავიგეთ, რას ეძახოდა დემოკრიტე ატომის „მდგომარეობას“). ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საგანთა განსხვავების შესაძლებელ

<sup>1)</sup> οἰκτλην, ἀγκιστρῶν, κοῖλα, κυρτός. Theophr. De sensu, 65 (DV 55 A 134).

<sup>2)</sup> Σύρ. Arist., De gener. et corrupt. 314 a 21.

რაოდენობას კიდევ უფრო ამრავლებს. ოოგორც ვხედავთ, დემოკრიტი ძალიან მონაბეჭული ყოფილა დაემტეციცებია, რომ უსაზღვრო რაოდენობა ერთიმერისაგან განსხვავებული საგნებისა, რომლებიც ბუნებაში იმყოფება, შეიძლება ახსნილი იქნას უცვლელ ატომების შეერთებით, რომ სხვა დასხვა შეერთების შესაძლებლობა არ არის ბუნებაში არსებულ განსხვავებულ საგნებზე ნაკლები თავისი რაოდენობით<sup>1)</sup>; იმდენად ყოფილა მონაბეჭული, რომ დღეს მისი ცდა ღიმილსაც იწვევს: გან მხოლოდ ატომის ორი ფორმა (ათონი) საყვაო არ იქნებოდა მთელი ბუნების საგნების ასახსნელად? არამც თუ არი, ერთი ფორმაც ჰკმაროდა იმ პირობებში, რომელიც დემოკრიტეს მიღებული ჰქონდა. დემოკრიტემ კი ერთის ნაცვლად ატომების ფორმების (მოყვანილობის) რაოდენობა უსაზღვროდ აღიარა, და ზედ დაურთო კიდევ ატომების განსხვავება სიდიდით, მდგომარეობით და წყობით<sup>2)</sup>, რადგან მას კარგად არ ჰქონდა შეენებული რიცხვის მნიშვნელობა ბუნებაში, არ ესროდა მათებატიკის ადგილი ბუნებისმეტყველებაში: პითაგორ რელებმა ყველაზე ნაკლები გავლენა მოახდინეს დემოკრიტეზე<sup>3)</sup>.

**ელემენტები** ატომებს რომაელი მწერლები (ლუკრეციუსი) ელემენტებს უწოდებდენ (*elementa*<sup>4)</sup>). ეხლა გვესმის, რატომ ლათინური სიტყვის *elementum*-ის ძირი შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: el, et, en. ესენი კი ლათინური სახელებია ასოების I, m, n, რომლებიც საზოგადოდ მთელი ანბანის აღსანიშნავად იხმარებოდნ. ატომები არის *elementa* ან ანბანი<sup>5)</sup>, რომლითაც. დაწერილია ბუნების დიადი წიგნი<sup>6)</sup>.

სიტყვა ჩნდება, როდესაც ასოები დაახლოებებული იქნებიან. აგრეთვე საგანიც ჩნდება, როდესაც მისი შემადგენელი ატომები უკავშირდებიან ერთმანეთს. საგნები ისპობა, როდესაც მისი ატომები შორივებიან ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს აბსოლუტური გაჩენა და მოსპობა (ე. ი. გაჩენა არარაობისაგან და არარაობად გადაქცევა) არ ხდება; ხდება მხოლოდ მარად არსებულ ატომების. შეერთება და დაშლა, რაც ჩვენ გვევლინება,

<sup>1)</sup> ამაირ განმარტებას აძლევენ ამ მულს არისტოტელიც (*De gener. et corr.* I., 315, b 9) და სიმპლიკოსიც (*Phys.* 25, 28, 21).

<sup>2)</sup> უნდა აღინიშნოს მანქც, რომ უკანასკრეული ცნებით დემოკრიტემ გაუსწრო წინ-თანამედროვე ორგანიული ქიმიის იმპერიის კანონს, რომლის ძალით ერთიდაიგივე ატომები, ერთიდაიმავე პროპორციით აღებული, სხვადასხვა საგნებს იძლევინ იმის გამო, რომ მათი წყობა სხვადასხვაა.

<sup>3)</sup> ამის საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონდათ დემოკრიტეშე კოჰენს (*Platons Idealismus und die Mathematik*, 1878, s. 4) და ნატორას (*Forschungen*, 178). მაგრამ ე. ფანკვა-თავისი წიგნით Plato u. d. so gen. Pythagoreer დოკუმენტალურად დამტკიცა ეხლაზან, რომ დემოკრიტე კი არ იყო პითაგორელებისაგან დამოკიდებული, არამედ, პირუკუ, პითაგორელთა რიცხვის მეტაფიზიკა შეიქმნა ატომისტიკის ზეგავლენით.

<sup>4)</sup> Lucretius, *De rerum natura*, I, 198.

<sup>5)</sup> ატომების შედარება ასოებთან სასტრონიულად მოდის. არისტოტელიდან. D V 54. A 9. მაგრამ არისტოტელი ემარტობოდა უცველად თვითონ დემოკრიტეს. შდრ. E. Frank, *Plato und d. sogenannten Pythagoreer*, 81.

<sup>6)</sup> დიონის სიტყვა *elementa* გამოჰყავს *elephantum* სიტყვიდან. Diels, *Elementum* S. 2. მაგრამ მის მისამარტინს სხვები, არ ეთანხმებიან. შდრ. Windelband, Einl., 51.

როგორც საგნების გაჩენა და მოსპობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის მხოლოდ შედარებითი (რელატივური) გაჩენა და მოსპობა.

**თვისებათა ამრიგად, ფერადი, გემრიელი, სურნელოვანი და სხვა. კლასიფიკაცია ამდაგვარი თვისების შემცველი საგნები წარმოდგებიან უფერო, უგვერ, უსუნო ატომებისაგან. თუ საგანი ატომების ჯამია და მეტი არაფერი, ცხადია, რომ მისი ფერი, გვმლ და სუნინამდვილად (ჭრა) არ არსებობენ, რადგან ატომებს ეს თვისებანი არ აქვთ. მაშ, რა არის ეს თვისებები, თუ ისინი ნამდვილად არ არსებობენ? ისინი მოჩვენებაა. მათ პირობითი (წყო) არსებობა აქვთ: ისინი არსებობენ. მხოლოდ იმისთვის, ვინც მათ განიცდის. თუ არის ვინმე, ფერის განმცდელი, არც ფერი არის, რადგან ფერი ნამდვილად ან დამოუკიდებლად გამცდელისაგან, თავისთავად, ე. ი. თვით ატომებში, არ არსებობს.**

მაშ, რა თვისებანი არსებობენ საგანში ნამდვილად? ის თვისებანი, რომელიც ატომებშიც არიან: განვენილობა, სიდიდე, სიმაგრე,— ასე დაუდვა ატომიზმა სათავე თვისებების კლასიფიკაციას, რომელიც აბალდროს გალილეისა და დეკარტის გავლენით კვლავ აღსდგა და ლოკის მიერ გაპოპულარიზებულ იქნა.

**ატომიზმის მე- ასეთია დემოკრიტეს მეტაფიზიკის მთავარი დებულე- ბანი. აქედან გამომდინარეობს ატომიზმის მეთოდოლო- თოდოლოგია გიაც, ე. ი. წარმოდგენა იმაზე, თუ რა წესით უნდა წარმოებდეს ბუნების გამოკვლევა. რას ნიშანეს საგნის ახსნა, მისი მეც- ნიერული შეცნობა? საგნის ახსნა ნიშანეს ზრდის გამოკვლევას, თუ რა მო- ყვანილობისა და სიდიდის ატომებისაგან არის ის შემდგარი, როგორია ამ ატომების წყობა და როგორია თითოეულის მდგომარეობა. როგორის არის დასრულებული საგნის მეცნიერული შესწავლა? როდესაც აღმოჩენილია საგნის ატომების მოყვანილობა, სიდიდე, წყობა და მდგომარეობა. მაშ, ვინც საგნის შეცნობის საქმეში ჩერდება იმაზე, რასაც მას გრძნობა უწევ- ნებს, ე. ი. ქმაყოფილდება, მაგალითად, თაფლის შესწავლის საქმეში იმით, რომ შეიცნო მისი გემო, ფერი, სუნი, — ის მეცნიერულ ცოდნას ვერ აღ- წევს; მისი წარმოდგენა საგანზე ბნელია (ჯორუ). ქეშმარიტება უფრო ღრმად არის (ეს მატერიალი): ის დაფარულია ურმობების ჩენების ქვეშ. ქეშმარიტება ჩენენა მაგალითში თაფლის შემადგენელ ატომების შეცნობა- შია, რაიც აზროვნების<sup>1)</sup> გარეშე არ შეიძლება განხორციელდეს. აზროვ- ნების საშუალებით მიღწეული ცოდნაა მხოლოდ ნამდვილი ცოდნა (ყოფილი). როგოც ვხედავთ, მატერიალისტი დემოკრიტე აზროვნებას ქეშმარიტების შესაცნობად დიდ მიშენლობას მიაწერს.**

მეცნიერული შემეცნების-სფეროდან დემოკრიტე სდეგნის არა მხო- ლოდ გარეგნულ გრძნობას, არამედ შინაგანსაც: სიყვარულ, სიძულვაზე,

1) აბერ ან განვითარებული სექტორის მოწმობით.

თავმოყვარეობას და სხვა პირადი ხასიათის ზრახვებს შეცნიერულს შემცნებაში წილი არ უნდა ჰქონდეს. ამასთან ერთად არავითარი საიდუმლოებისათვის ან სასწაულისათვის მსოფლიოში ადგილი არ ჩერება: ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, ყველაფერში ატომების კომბინაცია და ცალიერი სივრცეა, მეტი არაფერი. დემოკრიტეს ფილოსოფიით ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი მსჯელობა, მაგლითად: „მე მინდი, რომ ა იყოს ხ. მაშასადამე, ა არის ხ“. შეიძლება, მე მინდა, რომ ა იყოს ხ, მაგრამ ა არ შეიძლება იყოს ხ საკუთარი მიზეზის გარეშე, და ეს მიზეზიც მასში უნდა ვეძიოთ. და არა ჩვენს სურვილებში.

ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. ატომების შეერთება-  
ატომების მოძრა- ბასა და დაშლასაც უნდა ჰქონდეს მიზეზი:  
ობის მიზეზი რა არის ეს მიზეზი?

დემოკრიტეს აზრით, ატომების შეერთებისა და დაშლის უახლოესი მიზეზი არის ატომების მოძრაობა. თუ ატომები, გაბრეული უსაზღვრო სივრცეში, არ მოძრაობენ, ისინი ერთმნისეთს ვერ შეზღდებიან და, მაშასა დამე, კონკრეტულ საგნების წარმოსაშობად ვერ შეერთდებიან. მეორეს მხრით, თუ ატომები არ მოძრაობენ, ის ატომები, რომლებიც შეერთდებული არიან რომელსამე კონკრეტულ საგანში (ვთქვათ, იმ ფიჭვში, რომელიც ჩემი ოთახის წინ დგას), მუდამ ერთად იქნებიან, და ეს საგანიც მარად იქნება. მაგრამ მარადიული კონკრეტული საგანი არ არსებობს — ამაში დარწმუნებულია დემოკრიტე. ჩემი ფიჭვიც სხვა საგნებისავით წარმავალია. ეს კი იმიტომაა, რომ ატომებს, რომლებიც მასში არიან თავმოყრილი, შეუძლიათ ამოძრავდენ. და დაიშალონ.

თავმოყრილი ატომებს? უზიოველეს ყოვლისა, უნდა გავითანხოთ, რომ გაჩერებული ატომი თავისთავად ვერ ამოძრავდება და ამოძრავებული ვერ გაჩერდება: ატომი ვერ ჰქმნის თავის არსებილან მოძრაობას. ჩვენებურის ენით იმას, რაც თავისით ჰქმნის მოძრაობას, ვეძახით ცოცხალს. ატომი არ არის ცოცხალი არსება. ატომი სიცოცხლეს მოკლებულია. ან მკვდარია?<sup>1)</sup>

მოძრაობის და- მაშ, საიდან განდა მოძრაობა ატომებისა? არსაიდან. მოძრაობა არ არის განენილი, ისე როგორც არ არის გაჩენილი ატომიც. მოძრაობა მუდამ იყო. და მუდამ, იქნება: მოძრაობა ატომებისა მსოფლიოში, ისე როგორც თვით ატომები, მარადიულია. შეიძლება მოძრაობის გადაცემა ერთი ატომისაგან მეორე ატომზე, მაგრამ მოძრაობის გადაცემი ატომი ჰყარგავს თვითონ მოძრაობის იმ რაოდენობას, რომელსაც იძენს მისგან. მოძრაობის მიმღები ატომი.

<sup>1)</sup> შემცდარია თ. გომპერცი, რომელიც მიამზგავს ატომისტებს, ერთის მხრით, პანტისტებს (ჯორდან ბრუნოს და ლეიბნიცს), მეორეს მხრით კი საბერძნების პილოძოსტებს, რომლებიც ფიქრობდენ, რომ ყოველი ნივთიერება სიცოცხლით არის ალტურ ვილი. Gomperz, Griechische Denker, I. 227.

თუ ასეა, მაშინ, ცხადია, მოძრაობის რაოდენობა მსოფლიოში, როგორც ატომების რაოდენობაც, მარა და უცვლელი ყოფილი. ათასი წლის წინად მსოფლიოში იმდენი მოძრაობა იყო, რამდენიც ათასი წლის შემდეგი იქნება, ოღონდ განაშილება ამ მოძრაობისა სხვადასხვა იქნება: ატომ ატომებს გადასცენ და თვითონ უძრავი შეიქნება; ან წინად უძრავია ატომები შეიძლება სხვა ატომებისაგან მოძრაობა მიიღონ და ამძრავდენ. ეს გადაცემა მოძრაობისა მხოლოდ დაჯახების ან შეხების საშუალებით ხდება. ატომს არ შეუძლია გაჩერებული ატომი აამოძრაოს შორიდან, თუ არ შეხეო მას: ან თვითონ უშუალოდ ან შუაში მყოფ ატომების საშუალებით ამით უარყოფილია ის, რასაც შემდეგ ეძახდენ *actio in distans*, და წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ ყოველი მოძრაობა მექანიკური მიზეზით იქნეს ახსნილი. მაშ ასე: იცვლება მხოლოდ განაშილება, მოძრაობისა და არა მისი ჯამი მსოფლიოში.

**უმართებულობა** დემოკრიტეს ხშირად უსაყვედურებდენ, რომ მან შესაყვედური ცდომა ჩაიდინა, როდესაც უარჲყო საჭიროება მსოფლიო მოძრაობის გაჩენის მიზეზი დაესახელებია. ასეთი საყვედურით მიმართა მას უკვე დიდმა არისტოტელმა<sup>1)</sup>, ომელიც ფიქრობდა, რომ დემოკრიტეს ეს „ზერელობის“ გამო მოუვადა, რადგან მნელი იყო მოძრაობის პირველი მიზეზის ჩვენებაო. სხვა მწერლები<sup>2)</sup> არისტოტელს მისდევენ, ისინი უსაყვედურებენ დემოკრიტეს, რომ მან მსოფლიოში თავისი მოძლოვებით შემთხვევა (τὸ γῆ) გაამეფთაო.

ეს საყვედურები სრულიად უსაბუთოა. დემოკრიტე, პირიქით, იმას ამტკიცებდა დაუღალევად, რომ შემთხვევით ან უმიზეზოდ (μάτην) მსოფლიოში არაფერი ხდება, რომ ცყველაფერი დასაბუთებულია თავისი მიზეზით. „არც ერთი საგანი არ ჩნდება უმიზეზოდ, არამედ ყოველივე ჩნდება განსაზღვრული საფუძვლისა გამო და აუცილებლობის გავლენით“, ამბობს ატომისტური თხზულების ერთი ნაწყვეტი<sup>3)</sup>. ის, რასაც ჩვენ შემთხვევითს ვეძახით, ნამდვილად შემთხვევისი კი, არა, აუცილებელია (*κατ' θανάτ' κην*).

ერთი ძეელი მწერლის (სიმპლიკისის<sup>4)</sup>) მაგალითი ვინაროთ და ვთქვათ, ვინმე ქაჩალი სხვებთან ერთად ბალში სეირნობს. სიცხესაგან შეწუხებულმა ქაჩალმა მოიხადა ქუდი<sup>5)</sup>. სწორედ ამ დროს ჰაერში მიმტრინავ არწივს გაუვარდდ კლინქებიდან კუ, რომელიც მას სადღაც დაჭრია, და კუ ქაჩალს ბელატ ადგილზე ეკემა. გაგველიმება და ვიტყვით: შემთხვევა.

<sup>1)</sup> Aristot., Metaph., 1,4 ბოლოში.

<sup>2)</sup> მაგალითად, ციცერონი, ომელიც, De nat. deorum, I. 24, 66, გადმოგვცემს. ატომისტებზე: ex his (sc. corpusculis) effectum esse coelum atque terram, ulla cogente natura sed concursu quodam fortuito.

<sup>3)</sup> Diels, Vorsokratiker, 54, B, 2

<sup>4)</sup> Phys. 330,14

<sup>5)</sup> ამას მაგალითიათვის კ. მ.ბობოტ, რადგან ნამდვილად ბერძნები თავის ტალაჭა ქუდ არ ატარებდენ და თავზე იხურავდნ მხოლოდ უცხოეთში გამგზავრებისას.

რატომ მაინც და მაინც იმ დროს მიფრინავდა ორწივი ბალის ზევით, რო-  
დესაც იქ ჩვენი ქაჩალი სეირნობდა? რატომ მაინც და მაინც ქაჩალს მო-  
ხვდა გავარდნილი კუ? რატომ მაინც და მაინც თავში მოხვდა? რატომ  
მაინც და მაინც იქ მოხვდა, სადაც თმა არ ებადა? ასეთი „რატომ“ გამო-  
ულეველია: ყველას ვინ ჩამოსთვლის? დემოკრიტეს თვალსაზრისით, ყველა  
ამ „რატომ“-ს აქვს თავისი შესაფერისი „იმიტომ“, რომელიც შეიძლებო-  
და მონახულიყო, რომ ჩვენი ცოდნა უფრო ფართო იყოს: კუ აუცილებ-  
ლიად უნდა ქაჩალს სწორედ თავში მოხვედროდა. ეს დასაბუთებული იყო,  
მთელი მსოფლიოს არსებობით. ამრიგად, თუ შემთხვევას უმიზეზო მოვლე-  
ნას ვეძახით, ასეთი რამ დემოკრიტეს შეუძლებლად მიაჩნია.

მაგრამ შემთხვევას ვეძახით ჩვენ ისეთ მოვლენასაც, რომელიც თა-  
ვისი მიზეზით თუმცა დასაბუთებულია, მაგრამ გონების მიერ გამოწვეული  
არ არის, რომელიც განხრახულად არ მომხდარა. არასტოტელის მაგალი-  
თი რომ ვიხმაროთ<sup>1)</sup>, ვთქვათ, ვინმე მიღის თავის საქმისათვის ქალაქის  
მოედანზე და ხედება იქ ნაცნობს, რომელთან შეხვედრა მას განხრახული-  
არ ჰქონდა. ასეთ შეხვედრაზედაც ვიტყვით, რომ ის შემთხვევითი იყო,  
თუმცა ვიცით, რომ უმიზეზოდ ის არ მომხდარა და ვარჩევთ მას იმ შე-  
ხვედრისაგან, რომელიც წინასწარ განხრახული იყო. თუ შემთხვევა მხო-  
ლოდ ეს არის, მაშინ, მართალია, დემოკრიტესათვეს მოძრაობა ატომებისა-  
შემთხვევითია: ატომი მოძრაობს მხოლოდ მეორე უჯნური ატომის დაჯა-  
ხების გამო. არავითარი გონიერი არსება არ მიმართავს თავის სურვილის  
თანახმად ატომების მოძრაობას. არავითარ გონიერ არსებას არ შეუქმინა  
ატომების მოძრაობა, როგორც პიფიქრობდა, მაგალითად, ანაქსაგორი.  
მოძრაობა მსოფლიოში ისეთივე დაუსაბამოა, როგორც დაუსაბამოა ატო-  
მების არავის არ შეეძლო მისი შექმნა, ვინაიდნ ეს იქნებოდა არსებულის  
არაფრისაგან გაჩენა, რაც დემოკრიტეს ფილოსოფიით მიულებელია. ატო-  
მებთან და სიცალისერესთან ერთად მოძრაობა წარმოზღვებს თავდაპირვე-  
ლად მოცუმულ ფაქტს, რომლის საშუალებითაც უნდა აიხსნას ყველაფერი-  
და რომელიც თვითონ ახსნას არ საჭიროებს.

ფორმალურად<sup>2)</sup> ჰქონდა თუ არა დემოკრიტეს უფლება მსოფლიო  
მოძრაობის მიზეზის აღნიშვნაზე უარი განცხადებია? კი ჰქონდა: ყოველი-  
ახსნა ჩერდება, ბოლოს და ბოლოს, ისეთ რამეზე, რაც თვითონ აუსწევლი  
რჩება; ყოველი დედუქტია აქსიომატური დებულებით იწყება. მსოფლიო  
მოძრაობის არსებობაც დემოკრიტესათვის აქვთომა იყო. ეს იმას არ ნი-  
შნავს, რომ დემოკრიტესათვის მოძრაობა იყო ატომის შინაგანი და-  
მოუცილებელი თვითონ: მან კირგად იცოდა, რომ მოძრაობა ატომს მექა-  
ნიკურის გზით გარედან მოსდის. ოლონდ დემოკრიტე აცხადებდა, რომ  
არ არსებული ისეთი მომენტი, როდესაც მსოფლიოში არ იყო მოძრაობა:  
სიცალისერის და ატომების გვერდით მოძრაობა იყო მესამე ძირითადი,

<sup>1)</sup> Arist., Phys. 195 b 36.

<sup>2)</sup> მატერიალურად კი დემოკრიტე მაშინ იქნებოდა მართალი, თუ ის შესძლებ-  
და თავის პრინციპით მსოფლიოს ყველა მოვლენები აეჩსნა.

დაუშლელი პრინციპი, რომელზედაც დემოკრიტემ თავისი მსოფლმხედველობა ააგო.

6.

### არამართური კოსმოგონია

გვევცნოთ ებლა, როგორ გამოიყენა დემოკრიტემ ზემოაღნიშნული პრინციპები. როგორ ისარგებლა მან თავისი მეტაფიზიკით მსოფლიოს ასახსნელად?

დემოკრიტე დიდი ერუდიციის პატრონი იყო. მან შექმნა პირველი მატერიალისტური სისტემა ფილოსოფიისა, სადაც იმ დროის მთელმა ცოდნამ, განურჩევლად დარგისა, იპოვა აღვილი. ჩვენ აქ შეგვხებით მშობლოდ დამახასიათებელ ნაწილებს იმ ვეებერთელა შენობისა, რომელიც დემოკრიტემ თავის მატერიალისტურ მეტაფიზიკაზე ააგო: განვიხილავთ დემოკრიტეს კოსმოგონიას, ანთორპოლოგიას და ეთიკას.

**კოსმოგონია და კოსმოსი** როგორ გაჩნდა კოსმოსი, ე. ი. ქვეყნიერება. უნდა ვიცოდეთ, რომ დემოკრიტე არჩევს კოსმოსს მსოფლხისა—

გან. მსოფლიო არ არის კოსმოსი. ის უფრო შეიძლება ქაოსს შევადაროთ: უსაზღვრო სივრცე, სადაც ურიცხვი ატომები უწესოდ მოძრაობენ — რა არის ეს თუ არა ქაოსი? ამისგან გარჩევით კოსმოსი ეწოდება მწყობრს ქვეყნიერებას. თუ მსოფლიოს არ აქვა არც დასაბამი, არც ბოლო, კოსმოსის შესახებ ეს არ ითქმის: ის ჩნდება დროში და დროშივე ისაბობა.

კოსმოსი შედგება ატომებისაგან. მაშ, ის ატომებისაგან-ლა შეიძლება გაჩნდეს. სანამ კოსმოსის შემადგენელი ატომები შეერთდებოდენ, ისინი ერთი მეორისაგან განცალკევებულად მოძრაობდენ: სწორედ ამ მოძრაობის გამო შეეხენ ატომები ერთმანეთს და შეერთდენ თავისი წვეტებით.

**არეკისმიური** როგორია მოძრაობა ატომებისა მსოფლიოში, ვიდე მოძრაობა ის მათი ნაწილი კოსმოსად იქცევა? უეკველი მოწმობა იმის შესახებ, თუ რას ჰფიქტობდა დემოკრიტე ამ საკითხზე, არ მოგვეპოვება არც მის თხზულებათაგან დარჩენილს ნაწევრებში, არც სხვა ძეველი მწერლის ჩვენებებში. სამაგიეროდ ვკუთ, რომ ლემოკრიტეს მიმდევარი ებიექტე ფიქრობდა, თითქო პრეკოსმიური მოძრაობა ატომებისა არის მოძრაობა ზევიდან ქვევით, ე. ი. დაცუმა: ატომები ეცემიან, ვინაიდან ყოველი ატომი მძიმეა.

ეპიკურეს მიხედვით ზოგი თანამედროვე მეცნიერი (ცელლერი) ამტკიცებს, რამ დემოკრიტესაც პრეკოსმიური მოძრაობა ატომებისა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ძირს დაცემა სიმძიმის გამო, მაგრამ, როგორც ითქვა, დამარწმუნებელი საბუთი ასეთი გაგებისათვის არ მოაპოვება, და ამიტომაც ჩვენ უნდა მიღებართოთ დემოკრიტეს ფილოსოფიის საზოგადო გეგმას და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

დაცუმა გულგასხმობს „ზევით“-ის და „ქვევით“. ის არებობას. სადაც არ არის არც „ზევით“, არც „ქვევით“, იქ, დაცუმაც არ. შეიძლება, ისე

როგორც არ შეიძლება სიმძიმეც. „ზევით“ და „ქვევით“ არის ჩვენს ქვეყნისაში, კოსმოსში: „ზევით“ არის ცა, რომლისაკენ მიმართულია ჩვენითავი; „ქვევით“ არის მიწა, რომელზედაც ფეხებით დავდიგართ. მაგრამ წარმოვიდგინოთ უსახლერო მსოფლიო, სადაც არც ცა არის, არც მიწა. სად იქნება აქ „ზევით“ ან „ქვევით“? არსალ. მსოფლიოს არც ცენტრი აქვს, რომ შეიძლებოდეს იმის თქმა, თითქო ცენტრისაკენ მიმართული არის „ქვევით“, მის წინააღმდევ მიმართული კი არის „ზევით“. მაშასადამე, შეუსაბამობა იქნებოდა, დემოკრიტეს რომ განეცხადებია, თითქო ატომების მოძრაობა ცალიერ სივრცეში (ვიდრე კოსმისი გაჩნდებოდა) არის ძირს დაცემა სიმძიმის გამო<sup>1)</sup>.

ზოგი ფიქრობს, რომ ბუნებრივი ან თავტაპირელი მოძრაობა ატომებისა, სანამ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდენ, არის ბრუნვა. მაგრამ არც ეს აზრია დასაბუთებული და სჭრია. რად უნდა მიეღო დემოკრიტეს, რომ ბუნებრივი მოძრაობა ატომებისა მაინც და მაინც ბრუნვა იყო<sup>2)</sup> რის გარშემო უნდა ებრუნათ მათ? სად არის უსახლერო მსოფლიოში ცენტრი, რომლის გარშემო შესაძლებელია ატომების ბრუნვა?

ატომისტური ფილოსოფიის სტრუქტურას ის აზრი უფრო შეეფერება, რომ კოსმისის ატომები, სანამ ისინი შეერთლებოდენ, ქაოტიურად ან უწესრიგოდ მოძრაობდენ სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა ჩვენს ხელი არ არის დემოკრიტეს მოქმედი, რომელიც explicite აღასტურებს ამ შეხედულებას, მაგრამ სხვაგვარი მოძრაობა გამორიცხულია მისი ფილოსოფიის გვგმით. და თუ დემოკრიტემ გამოსთვევა თავისი შეხედულება ატომების თავდაპირელ მოძრაობაზე<sup>3)</sup>, ცხადია, რომ ის განსაზღვრავდა მას ისე, როგორც ეს მის ფილოსოფიურ შენობას შეეფერებოდა.

**კოსმოსის ჩასახვა** ურიცხვი ატომის მოძრაობას უსახლერო სივრცეში უსაზღვრო დროის განმავლობაში აუცილებლად უნდა მოყოლოდა ატომების შეჯახება, რის გამო ისინი იხლართებიან ერთმანეთში და ჩნდება ბრუნვითი მოძრაობა. ვინაიდნ თანდათან მატულობს ბრუნვაში მოყოლილი ატომების რიცხვი, ბრუნვის წრე და მისი სიჩქარე იზრდება. ბრუნვა ვეებერთელა გრიგალად. იქცევა უფრო-

1) თუ ცელლერი მაინც აწერს დემოკრიტეს ასეთს წინააღმდევობას (Zeller, I, 1082), ობიექტური მნიშვნელობის საბუთები თავის შექედულების გასამართლებლად მას ვერ მოჰყავთ. საკუთრისა გავიდასქმოთ მთლილ, ის, რომ არის სტრუქტულის სიტყვით დემოკრიტეს ნაკლულევანება ის იყო, რომ მან ვერ უჩვენა მიზეზი ატომების მოძრაობის გაჩნისა, და ჩვენების ნათელი გახდება, რომ სიმძიმის ძალა, როგორც მიზეზი ატომების თავდაპირელი მოძრაობასა მოსოფლითი სივრცეში, დემოკრიტეს არ წამოუყენებია. და თუმცა არის სტრუქტული ამობას, რომ დემოკრიტეს აზრით ატომებს ჰქონდათ „წონა“, მაგრამ ეს „წონა“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინერცია.

2) რომ დემოკრიტე ერთხელ მაინც უნდა შეხებოდა ამ საცურადლებო პრობლემას, ეს უფრო მისაღებია, ვითრე გომპერცის მოსაზრება, თითქო დემოკრიტეს არც კი დაუყენებია საკითხი ატომის თავდაპირელ მოძრაობის სასიათოს შესახებ. Gomperz, Griechische Denker, 1, 275. გომპერცი აქ ემზაბობა არის სტრუქტულის მოძრაობის. იმ ინტერაპეტაციისა რომელსაც აძლევა ცელლერი. Philos. der Griechen, 1<sup>5</sup>, 884 f.

დიდი ატომები იყრიან თავს გრიგალის ცენტრში, ალბათ იმიტომ, რომ მათში მეტია ინერციის ძალა, რომელიც შინააღმდევებას უწევს გრიგალს. უფრო პატარა ატომები კი გროვდებიან პერიფერიაზე<sup>1)</sup>.

ცენტრში შეგროვებული ატომები შეადგენენ დედამიწას, რომელსაც, მაშასადამე, შუა ადგილი უჭირავს კოსმოსში; პატარა ატომებისაგან კი, რომელიც პერიფერიისაკენ იქნენ განლევნილი, ჩნდება კა და მნათობები. უკანასკნელების ატომები იგივეა, რაც ცეცხლის ატომები, ე. ი. პატარა, მრგვალი, სრიალა. კა დემოკრიტეს წარმოდგენილი ცენტრია, როგორც კედელი, რომელიც გარს აკრავს კოსმოსს. მიწისა და ცის შუა იმყოფება. ჰაერი, რომლის ატომები მიწის ატომებზე უფრო პატარაა, ხოლო ცეცხლის ატომებზე უფრო დიდი. ამგვარად, ბრუნვა იწვევს ატომების განაწილებას: მზგავი ატომები მზგავს ატომებთან იყრიან თავს: მიწის ატომები — მიწის ატომებთან, ჰაერის ატომები — ჰაერის ატომებთან, ცეცხლის ატომები — წყლის ატომებთან, ე. ი. ჩნდება სტიქიონები (მიწა, ცეცხლი, ჰაერი, წყალი). ემცელოკლე სტიქიონებს გაჩინას სიყვარულის და სიძულვილის მოქმედებით ხსნიდა; დემოკრიტემ კი, რომელიც ატომებში რამე გრძნობის არსებობას არსუნობს, იგივე გარემოება მოძრაობის შალით ან მექანისტურიდ ახსნა<sup>2)</sup>.

კოსმოსის ერთხელ გაჩენილი კოსმოსი, რომლის შენობა დემოდანგრევა კრიტეს დეტალურად ცენტრია აღწერილი (ამ დეტალებს ჩვენ აქ ვერ შევვებით), კვლევ დაიშლება თავის შემაღენელ ატომებად, რომლებიც ისევ გაიბნევიან უსაზღვრო მსოფლიო სივრცეში: დაინგრევა (კა, რომლის წრი კედელსავით გარს აკრავს კოსმოსს; დაიშლება მზე, მთვარე და ვარსკვლავები და მათთან ერთად დაიღუპება. დედამიწაც და ყველაფერი, რაც მასზე არსებობს (ადამიანიც, რა თქმაუნდა). რომაელი მიმდევარი ატომისტური ფილოსოფიისა, ლუკრეციუსი, ამ გრანდიოზულ კატასტროფას ამაღლევებელ ფერებით გვისურათებს<sup>3)</sup>).

ლუკრეციუსი დიდი მგლანი იყო: მის სიტყვებში მელანქოლიისა და პესსიმიზმის ჰანგები მოისმის. უცველია, ასეთი პესსიმიზმი დემოკრიტესათვის უცხო იყო. ან რას უნდა დაელონებია ის? კოსმოსი დაინგრევა? რა, უშავს მერე? მის ნაცელად ახალი კოსმოსი გაჩნდება: ატომები, რომლების-

1) გამჭვრცი ფიქრობს, რომ ატომისტებმა ამ მუხლში შეცდომა ჩაიდინეს. მისცაზრით, ბრუნვის ცენტროფელგალურმა ძალამ უფრო მასიური ატომები უფრო ზორს უნდა გასტყორცოს, ვიზურ ნაკლები მასსის ატომები (Griech. Denker 1, 272). მაგრამ გომპერცი მხედველობიდან უშვებს, რომ გრიგალი მთლიანი და შეუვალი სხეული როდია. ყოველი ატომის ტენდენცია იქნება, ამ გრიგალში ინერციის გამო ისეთი ადგილ დაიპიროს, რომელიც მას ნაკლებ მოძრაობას აკისრებს, ე. ი. ცენტრს დაუახლოვდეს. ამას დიდი ატომები, რომლებშიც ინერციას მეტი ძალაა, პატარა ატომებზე უკეთ მოახტოვდებენ: ისინი იქრენ გრიგალის ცენტრს და პატარა ატომებს იქიდან პერიფერიისაკენ. სდევნიან.

2) შდრ. Leisegang, Griechische Philosophie, 1922, 1 B., 78.

3) Lucretius, De rerum natura, I, 1094—1103.

განაც კოსმოსი შედგება, ხომ არ იღუპებიან კოსმოსის დანგრევით.— ვისმე, შეეძლო ეკითხა: „ჩვენთვის რა მოგებაა, რომ ჩვენი ქვეყნის ნანგრევებზე ახალი ქვეყანა აშენდება? ჩვენ ხომ იმ ქვეყანაში არ ვიქნებით. თუ კი იქ ჩვენი არსების შემადგენელი ატომები მოხვდებიან (ვინ იცის, რა კომბინაციაში? ეგეგ ჰომიროსის ტვინის ატომბა ნაგავში ამოპყოს თავი), ეს ჩვენ-თვის განა სულ ერთი არ არის?“ — „დიახ, სულ ერთია“, უპასუხებდა ალბათ ამ კითხვაზე დემოკრიტე: „შეიძლება ჩვენი ქვეყნის დანგრევა ბევრი-სათვის სამწუხაროც არის; მაგრამ მე ვიკვლევ სინამდვილეს მიუხედავად პირადი გძნობისა. ბოლოს და ბოლოს მშიშართა დასამშვიდებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნიერების დანგრევამ და ჩვენი არსების დაშლამ ან სიკვდილმა მაინც და მაინც არ უნდა შეგვაწუხოს, ვინაიდან რა დამოკიდებულება აქვს ჩვენთან სიკვდილს? არავითარი: სანამ ჩვენ ვარსებობთ, სიკვდილი არ არის; როცა კი სიკვდილი მოვა, ჩვენ თვითონ არ ვიქნებით. იქმარებთ ამ ნუგეშს თუ არა, ეს თქვენი კერძო საქმეა. სინამდვილე კი თავის თავად აჩება, და ჩვენს ქვეყნიერებას აუცილებელი მოსპობა მოელის“.

მაგრამ აი საკითხი: რამ უნდა მოსპოს ჩვენი ქვეყნი-კოსმოსის და-ერება? თავის თავად ის არ მოისპობა. მაშ. ის გარეშე შლის მიზეზი ძალამ უნდა მოსპოს. და, მართლაც, ასე ჰფიქტობდენ ატომისტები 1), ვინაიდან უსაზღვრო მსოფლიოში ატომების რიცხვი უსაზღვროა, არაფერი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა კოსმოსი ჩნდება.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნიერების გარდა, მისი გვერდით, ცისა და მნათობების გაღმა, არსებობს უთვალავი რიცხვი სხვა კოსმოსებისა, რომლებიც სწორედ ისე გაჩნდენ ატომების ბრუნვისაგან, როგორც გაჩნდა ჩვენი კოსმოსიც, და რომელებსაც ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვს, რაღაც ჩვენს ქვეყნიერებასა და მათ შორის ცალიერი სივრცეა. მაგრამ ეს მანძილი კოსმოსებს შორის სამუდამოდ უცვლელი არ არის: ის ხან მატულობს და ხან კლებულობს ზოგი ქვეყნიერება ჩვენსას შორდება თანდათან, ზოგი კი უახლოვდება მას (რა თემა უნდა, ერთი ან საყოველობრივი წესის გარეშე). ამიტომ დგება ისეთი მომენტი, როდესაც ერთი ქვეყნიერების სისტემა ან ერთი კოსმოსის დაჯახება მეორეს, ჩასაც, თუ ორივე კოსმოსის არა, ერთერთის დანგრევა (დამატება) ან დამოუკიდებლობის დაკარგვა მაინც უნდა მოპყეოს 2). იგანე სტობელი ამბობდა, რომ, დემოკრიტეს აზრით, ამ დაჯახების გამო ყოველთვის უფრო პატარა ქვეყნიერება ინგრევა და მისი ნაწილები შედიან უდიდეს ქვეყნიერების სისტემაშით. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ დემოკრიტეს უნდა მიეღო, რომ თანდათან ხდება მსოფლიოს

†) ბრეგერი ამტკიცებდა, რომ ქვეყნიერების უცარი დანგრევა: (ფრანგ.) მხოლოდ ლევეიაპეს ჰერინი მიღებული; რაც შეებარ დემოკრიტეს, ის ასწავლიდა, რომ ყოველი კოსმოსი ნელ-ნელ ჰერება (ფრანგ.), რადგან ატომები ცოტ-ცოტად აკლდებან მას. მაგ-Phil. d. Griech., I, 891.

†) Stob. Ekl. I, 418.

კონცენტრაცია, ისე, მაგალითად, როგორც მარქსის თეორიით კაპიტალის-ტურ წილმოებაზე აგებულ საზოგადოებაში კაპიტალის კონცენტრაცია ხდება: აქაც ხომ დიდი კაპიტალი ანგრევს პატარას და ჰყლაპავს მას. მაგრამ ეს შეხედულება არ ეგუება უსაზღვრო მსოფლიოს ცნებას, რომლისათვის უცხოა განეითარება<sup>1</sup>), რადგან მას არ აქვს არც დასაწყისი, არც ბოლო, ე. ი. ის, რაც აქვს ყოველს საზოგადოებრივ წესწყობილებას, სხვათ შორის კაპიტალისტურსაც. ატომიზმის სტრუქტურას ის აზრი უფრო შეეფრება, რომ კოსმოსების დაჯახების გამო ხან უფრო დიდი კოსმოსი დაინგრევა, ხან უფრო პატარა: ეს გააჩნია დაჯახების ინდივიდუალურ პირობებს. ან ასედაც შეეძლო დემოკრიტეს გადაეწყვიტა ეს საკითხი: ყოველთვის უფრო დიდი, უფრო ხნიერი კოსმოსი ინგრევა დაჯახებისაგან; პატარა კოსმოსი კი რჩება, სანამ ისიც არ გაიზრდება ახალი ატომების შომატებით (ასეთი მომატება განუწყვეტლივ ხდება) და არ მოისპობა უფრო ახალგაზრდა კოსმოსთან შეტაკებით.

## 7.

### ათომისტური ათონოვოლოგია

**სული და** როგორც მთელი კოსმოსი, ისე მისი ნაწილებიც მექანიკური და ნისტურად არის ახსნილი დემოკრიტეს შიერ. შეეჩერდეთ სხეული აქ იმაზე, თუ რას ასწავლიდა დემოკრიტე ადამიანის მუნების შესახებ.

ადამიანიც ატომებისაგან შედევრა. მასში არ არის არაფრი, გარდა განვენილი ატომებისა. ეს მატერიალისტური კონცეპცია ხელს არ უშლის დემოკრიტეს იცნოს, რომ ის, რასაც ჩენ ადამიანის სხეულს ვეძახით, განიჩრევა იმისაგან, რასაც ჩევულებრივ სულს ეძახიან. დემოკრიტე დარწმუნებულია, პირიქით, რომ სული არსებობს ნამდვილად, როგორც ცალკე არსება (სუბსტანცია), რომ ის სხეულზე უკეთესა. მაგრამ სული არ არის განუფენელი არსება, როგორც ჩევულებრივ ჰიტერობენ. ადამიანის სულიც — ე. ი. გონება, გრძნობა, სურვილი — ატომებისაგან არის შემდგარი. ამიტომ ადამიანის სული განვენილია, ისე როგორც 'განვენილია' მისი სხეული. სხეულისაგან სული მხოლოდ ატომებით განიჩრევა. სულის ატომები იგივეა, რაც ცეცხლის. ცეცხლი კი ყველაზე უფრო მოძრავ სტიქიონად ჰქონდა დემოკრიტეს დასახული. ამიტომ მისი ატომები წარმოდგენილი იყო, როგორც მრგვალი, პატარა და სრიალი ნაწილაკები. ასეთ ნაწილაკებს უფრო თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა, ვიდრე დიდს, კუთხიან და წვეტიან ატომებს, რადგან უკანასკნელების მოძრაობას, გარდა იმისა, რომ მათი ამოძრავება. სიღიღის გამო უფრო ხნელია, ხელს უშლის მათი მოყვანილობა: კუთხები და წვეტები ადვილად ედებიან სხვა ატომებს და ჰყარ

<sup>1)</sup> ერთი მოავარი განსხვავება დემოკრიტეს და ანტესგორს შორის სწორედ ამაში შედგებოდა: ანტესგორი ალარებიდა მსოფლიო განვითარებას. მისი აზრით, მსოფლიო მუდამ წინ მიღის და ის არასოდეს არ დაუბრუნდება იმსა, რაც იყო თაყდაპირებულია. დემოკრიტეს თვალსაზრისით ეს შეცდომა: მსოფლიო არ გითარდება, რადგან მის რა აქვს დასაწყისი. აյ იჩენს თავა ატენისტების ფილიაზურის შექმნატური ხსიათი

გავენ ერთხელ მიღებულ მოძრაობას ან მის შიმართულებას. პატარა და მრგვალ ატომებს ეს დაბრკოლება ნაკლებად ელობება წინ. ამიტომ ისინი უფრო მოძრავი არიან. სულ მცირეოდენი ძალა საქმარისია, რათა ცეცხლის ან სულის ატომები ამოძრავდენ. ამრიგად, სულიც ნივთიერებაა, მაგრამ სხვულისაგან განსხვავებით ის არის ფრიად თხელი და ნაზი ნივთიერება, თვით ჰაერზედ უფრო თხელი და ნაზი. ამიტომ სული მოძრაობაში მოდის თვით უუსუსტესი რევისაგან მის გარშემო.

სულის ატომები განაშილებულია სხეულის ატომებს შორის, და, რაღაც ისინი უფრო მოძრავი არიან, ამიტომ ყოველგვარი ცვლილება გარემოსი, რომელიც ადამიანს ეხება, უპირველეს ყოვლისა იწვევს სულის ატომების მოძრაობას, უკანასკნელი კი შემდეგ სხეულის ტანჯ ატომებს, გადაეცემა. ამრიგად, სული არის მაშუალი ადამიანის სხეულისა და გარეჭვების შორის. სულის საშუალებით ხდება უმთავრესად ადამიანი კოსმი, ური მოძრაობის მონაშილედ.

როგორც ჩანს, ადამიანის სხეულის მიმართ სული დედონით და მოქირიცეს უფრო დამოუკიდებელ ასუბად ჰქონდა წართანაცედროვე მა მოღებილი, ვიდრე ახალი დროის ზოგიერთ მატერიტურიალისტები ალისტებს, მაგალითად, ჰოლბასს, მოლებოჭს ან ბაზერს (რომელთაც მარქსი და ენგელსი არ ეთანხმებოდენ). რა არის სული ამ მატერიალისტებისთვის? სხეულის ფუნქცია და მეტი არაფერი. როგორც ადამიანის სხეულისაგან დამოუკიდებელი ან ცალკე არსება ზემოხსენებულ მატერიალისტებს, სული არ წარმოუდგენიათ. დემოკრიტე კი სხვა შექცულებისა იყო, ის არ იხიარებდა თანამედროვე ბუნებისმეტყველური მატერიალიზმის მზგავსს პითაგორელთა აზრს; რომ სული მხოლოდ ჰარმონია სხეულის; მას სული ცალკე არსებად მიაჩნდა. გართალია, სული ნივთიერებაა დემოკრიტესათვის, მაგრამ ეს ნივთერება განიჩრევა იმ ნივთიერებისაგან, რომლისგანაც შედგება თავი, გული ან ფილტვები. თანამედროვე ბუნებისმეტყველურ მატერიალიზმს კი გარდა თავის, გულის, ფილტვების და სხეულის სხვა ორგანოების ნივთიერებისა, მეტი ნივთიერების არსებობა ადამიანში არ წამას.

**აზროვნება** სული ორგანო სიცოცხლის, გრძნობის, აზროვნებისა ზრდოვნება არის სულის ატომების მოძრაობა. აზროვნების თვისება, მისი ლირსება-ნაკლულევანება დამოკიდებულია ამ მოძრაობის ხასიათზე. როდესაც სულის ატომთა მოძრაობა ნორმალურია, ამას ქვია სალი ან ქვშმარიტი აზროვნება; რჩდესაც სულის ატომების მოძრაობა აჩქარებულია და მისი ტემპერატურა ზომაზე აწეულია — ეს არის სნეული ან შემცდარი აზროვნება. ალბათ, დემოკრიტეს სახეში ჰქონდა ამ შემთხვევებში პსიქოპათოლოგიური ფაქტები: ჰალუცინაციები, ფობიები, idées fixes და სხვა ამგარი მოვლენები, რომლებსაც, გართლაც, თან ახლავს ზოგჯერ ტემპერატურის აწევა.

როგორც ჩანს, დემოკრიტე გვძლევს აქ მხოლოდ აზროვნების გენეზის ასახვას და ისიც, უნდა ითქვას, ბუნდოვანს; ვინაიდან მას არ გამო-

ურკვევია, რას ეწოდება ნორმალური ტემპერატურა. მაგრამ დემოკრიტე არ გვაძლევს აქ აზროვნების კრიტერიუმს ან საზომს: საუცხოვო კი იქნებოდა, რომ აღამიანის აზროვნება ორმომეტრის საშუალებით შევვეფასებია!

გრძნობა, გრძნობაც სულის ატომების მოძრაობა<sup>1)</sup>, რომელსაც გა-

ამიტომ შეხების საშუალებით ჩნდება, ვინაიდან მოძრაობის გადაცემა შე-იძლება მხოლოდ შეხებით. შეხებაა (აქე) ხედა, სმენა, ყონსვა, გეშა<sup>2)</sup>. ხედვა, მაგალითად, აზგარად სწარმოებს: ყოველ სავანს განუწყვოლივ სცილდება პატარა ნაწილაკები, რომლებისაც დემოკრიტე ეძახს „ხატებს“ (εἰδῶλα). რადგან ისინი ემსგავსებიან მთელს საგანს, როგორც ნახატი ემსგავსება ორიგინალს. „ხატის“ მოძრაობა გადაეცემ ჰაერს, სადაც ჩნდება „ხატის“ პირი (კობია), თუ პატარა საქმიანოდ გატელებულია მზის სინათლის მიერ. ჰაეროვანი პირი „ხატისა“, აღწევს თვალებამდის (რის დასამტკიცე-ბლად ის ფაქტი მოჰყავდა დემოკრიტეს, რომ შიგ თვალში მოჩანს, თუ ახლოს დააკირდებით მას, საგნის პატარა სურათი), და შედის შიგ. აი ამაზე ვიტყვით, რომ ჩვენ საგანს გხედავთ. სწორ წარმოლევნას სავანზე ხედვა არ გვაძლევს, ვინაიდან საგანთა ჰაეროვანი პირების მოძრაობას ეგებება ჩვენი თვალებილან გამოსული მოძრაობა (თვალიც ხომ საკრია, და ისიც საკუთარ „ხატებს“ გამოჰყოფს) და სკულის მის სახეს. როგორც თვალების, ისე გრძნობის სხვა ორგანოების საშუალებით მიღებული წარ-მოდევნა არის „ბნელი ცოდნა“. (γνώμη ოკოთი).

დღეს ამ გალუბრკვილო თეორიამ შეიძლება ლიმილიც გამოიწვიოს: მასში ბევრია დაუსაბუთებელი დებულება, რომელიც დემოკრიტეს დაკვი-რების საშუალებით კი არ მიუღია, არამედ თავისი ჰიპოთეზიდან გა-მოიყვანა აპრორულად; მაგრამ ბევრში დემოკრიტე გართალია: თანამე-დროვე ეკოლუციონისტურ ფიქოლოგიასაც (მაგალითად, სპენსერს) შე-ხება მიაჩნია იმ გრძნობად, ომლისაგან განვითარდენ სხვები; თანამე-დროვე მეცნიერებაც იმ აზრისაა, რომ ხედვის შესაფერისი ფიზიოლოგი-ური პროცესის სწარმოებს ეთერის საშუალებით, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს საგნისაგან უკუფენილს მზის სხივებს. მთავარი დამსახურება დემო-კრიტესი ის იყო, რომ მან პირველად სცნო, რომ გრძნობის გაჩენაში მო-ნაწილეობას იღებენ მექანიკური პროცესები, და სცადა დაესაბუთებია ეს აზრი იმ საშუალებით, რომელიც იმდროინდელ ცოდნას გააჩნია.

ადამიანი ცოცხალია, დემოკრიტეს აზრით მან. ედე, სიცოცხლე სანამ მასში არის სული, ე. ი. ის ნაზ ნიერთერება, ორ-მელიც ცეცხლის ატომებისაგან შედგება. ეს სულია, რომ მას სიობოს აძ-

<sup>1)</sup> ე. ი. გრძნობა და აზროვნება ერთნაირი მოვლენებია, რადგან თრივე ატომების მოძრაობაა. თავთ ასეთ ფაქტები კვა: ახასიათებდა არისტოტელი თავისი ტერმინებით დგმოკრიტეს მოძღვრებას (De lantima, 404 ა 30).

<sup>2)</sup> თუ აულავ აიმურავ კავთ აქე ზის ესთი, ამბობს არისტოტელი ატომისტურ შემცულებაზე. DV 55 A 119.

ლეցს. მკვდარი გვამი ციფია, რადგან მასში არ არის სული. ყოველი ფიზიოლოგიური პროცესი (სუნთქვა, საჭმლის მონელება, გულის ცემა) სულის ატომების მოქმედებაა. ამ უკანასკნელმა შეხედულებამ არ უნდა გაგვაკვირვოს. თუთ არისტოტელიც ფიზიოლოგიური იქცების მიზეზაც სთვლიდა სულს, რომელიც, მისი აზრით, სამი ნაწილისაგან შედგება; ამათ გან უძღვაბლესი ნაწილი, რომელსაც არისტოტელი ემახდა „მასაზრდოვ ბელს“ (ას შემთხვევაში, მიზეზია კვებისა და გამჩავლებისამ).

**სიკვდილი** ვინაიდან სულის ატომები პატარა მოცულობისაა და

ვინაიდან ეს ატომები ურთიერთ გადახლართული არ არიან (მათ ხომ წვეტები არ აქვთ), ამიტომ სულის ატომები მოძრაობის დროს ადვილად უნდა სცილდებოდენ იმ ადვილს, სადაც ისინი იმყოფებიან. მაში, რატომ არ გაიფანტებიან ისინი უცბად? იმიტომ რომ მათ აქერებს სხეული, რომლის ატომები ერთი მეორეზე გადახლართული და უფრო მტკიცედ შეკავშირებული არიან: სხეული თითქო ჭურჭელს წარმოადგენს სულის ნივთიერებისათვის. მაგრამ ამ ჭურჭლის კედლებს მრავალი ხერელი აქვს, რადგან სხეულის წვეტიანი და ტლანქი ატომები მჭიდროდ ვერ უდგებიან ერთმანეთს. და აი სწორედ ამ ხერელებში სულის პატარასა და მრგვალ ატომებს ადვილად შეუძლიათ გაძრომა, როგორც, მაგალითად, საცერის ჭუჭრუტანებში ადვილად გადის ფქვილის ნამცეცები. ამიტომ სულის ნივთიერება განუწყვეტლივ, იპარება სხეულისაგან. ამას უნდა მოჰყოლოდა ადამიანის დაცულა სულის ატომებისაგან და მისი სიკვდილი, რომ გასული ატომების ნაცვლად სხეულში განუწყვეტლივ არ შემოდიოდეს სულის ახალი ატომები. საქმე ისაა, რომ გარეგნულ ჰაერშიც არის სულის ან ცეცხლის ატომები გაბნეული. ჰაერის ჩასუნთქვის დროს ადამიანი იღებს ჰაერისაგან სულის ატომებსაც და ამით ინაზღაურებს დაკარგულა ატომებით გამოწეულს. სულის ნივთიერების დანაკლისს. გარდა ამისა, ჩასუნთქვის დროს გარედან მომავალი ჰაერი აჩერებს შიგნიდან გარეუმიმავალ ატომებს. ამიტომ სიცოცხლეც გრძელდება, სანამ გრძელდება სუნთქვა. სწყდება აუ არა სუნთქვა, ადამიანიც კვდება: სხეული იცლება სულის ატომებისაგან, რომლებიც იფანტებიან ჰაერში. ამ თეორიით ძალიან ადვილად იყო შესაძლებელი, რომ მიცალებულ დემოკრიტეს სულის რამდენიმე ატომი პლატონს ჩაქსუნთქა, და ამ ატომებს მონაწილეობა მიეღო „ფაილონის“ დაწერაში, სადაც მტკიცდება სულის უკვდავება, ე. ი. ის, რასაც დემოკრიტე შეუძლებლად აღიარებდა.

აქც, უსათუოდ, ყველა შემჩნევს სალი დაკვირვებისა და ფანტასტიკური ჰიპოთეზების არევ-დარევებს: სუნთქვა, სითბო, სტკოცხლე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან უაი სალი დაკვირვება. დანარჩენი კი დემოკრიტეს გამოგონებაა თავის თეორიის მოთხოვნილების დასაკავკაცილებლად. ანთროპოლოგიაშიც, ისე როგორც კოსმოგონიაში, დემოკრიტე ცდილობს ლოგიკური თანამდებობით გაატაროს თავის მეტაფიზიკის პრინციპები: არის მოლოდ ატომები, ცალიერი სივრცე და მოძრაობა ამ

სივრცეში; ამაზე მეტი არაფერია. მთელი, კოსმოსი ატომების ჯამია; ადა-  
მიანიც იგივეა, რაც — ატომები, რომლებიც აუცილებელმა მოძრაობაშ  
შეაერთა და კვლავ დაშლის.

## 8:

### არომისტური მთიკა

როგორი ზნეობრივი მოძღვრება შეიძლება აშენდეს ატომისტური  
ქეტაფიზიკის საფუძვლზე? ამ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხს თვით  
დემოკრიტეს ეთიკა/გამაძლევს, რომელიც საოცარი ლოგიკური თანდათა-  
ნიბით გამომდინარეობს მის მეტაფიზიკიდან. დემოკრიტეს ეთიკა ორგა-  
ნიული ნაწილია მისი მექანისტური სოფლმხედველობისა, რომელსაც ის  
ისე უდგება, როგორც ფეხები თეძოს ან ხელები გულ-მკერდს<sup>1)</sup>.

**ნათესაობრივობა** მართლაც, დავაკვიდეთ საკითხს; თუ კაცი, ისე რო-  
გორც ყოველი სხვა ასტება, ატომების ჯამის მეტი არა-  
ფრია, მაშინ თვითული ადამიანისთვის მეორე ადამიანი იძღვნებავე ნიშ-  
ნავს, რამდენსაც თიბის ნატეხი. რა ჩეალური დამოკიდებულებაა ამ თვალ-  
საზრისით შესაძლებელი ერთს ადამიანსა და მეორე ადამიანს შორის, გა-  
რდა იმ მექანიკური დამოკიდებულებისა, რომელიც ყოველ საგანთ შორის  
არსებობს: ადამიანს შეუძლია თავისი მოძრაობით მეორე ადამიანი მოძ-  
რაობაში მოიყვანოს დაჯახების საშუალებით, ისე როგორც ყოველ მოძ-  
რავ სხეულს შეუძლია მეორე სხეული ამოძრაოს დაჯახების დროს; და  
ამით თავდება ყველაფერი: ნათესაობა ადამიანთა შორის მოსპობილია ამ  
თვორით. მართლია, ერთი ადამიანის შემაღენელი ატომები ემსგავსება  
მეორე ადამიანის შემაღენელ ატომებს. მაგრამ ეს არის მხოლოდ მსგავსება  
და არა ნათესაობა. ეინაიდან ერთი ადამიანის შემაღენელი ატომები და  
მეორე ადამიანის შემაღენელი ატომები სხვადასხვა ატომებია: როგორც  
მარადეული არსებანი, ეს ატომები ერთიმიერობისაგან არ წარმომდგარინ. ა-  
რამც თუ კველა ადამიანთა შორის, არამედ თვით მშობელსა და შეილს  
შორის ატრაპისტურ თვორით მოსპობილია ნათესაობა. შეილის გაჩინა  
ძოხდა (ასე კოქვათ) იმ ატომის საშუალებით, რომელიც მამის სხეულში  
იყო ერთს დროს. მაგრამ ეს არ აკავშირებს მამას შეილთან, ვინაიდან ყო-  
ველ ნაბიჯზე ატომი, რომელიც წინად ერთ სხეულში იყო, გადის იქიდან  
და მეორე სხეულში შედის: ატომი, რომელიც გუშინ სიმინდის მარცვალში  
იყო, დღეს ადამიანის კუჭში მოხდა; მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ სიმინდია

1) დემოკრიტე, ცელლერს მოთავსებული ყავს ჭინასოკრატიკოსებს შორის, ხოლო „წინასოკრატიკოსებს ის მხოლოდ ფიზიკოსებად“ სთვლის. მაგრამ დემოკრიტე ვერ ეტევა ამ. ისტორიულ-ფილოსოფიურ სკემაზე, რადგან ის ამუშავებს ეთიკის „პრობლემისაც, თუმცა სარგებლობს ამისათვის ფიზიკის მეთოდებით. ჰირცელი Untersuchungen zu Ciceros philosophischen Schriften, I, 158, „სამართლი: ნად აღნიშვნავს, რომ დემოკრიტე „Zeichnet sich... durch den weiteren Umlang aus, den er Ethik in dem Kreis seiner Betrachtung gegeben hat“ ცელლერის საწინააღმდეგოდ ნატორბი (Forschungen, 294) ამაგრებს ლოგიკურ კავშირს ატომისტურ მეტაფიზიკასა და ატომისტურ ეთიკას შორის და აკოს-რბის იმ ფოლადაშრისს, რომელზედაც უფრო აღზურებული დანგე. შტრ. Laenge, Gesch des Materialismus; hrsg V, Elissen, I, 48.

და ადამიანს შორის ამით ნათესაობრივი კავშირი დამყარდა<sup>1</sup> არავინ სწორედ ასეთია დაცოკიდებულება შშობელსა და შეილს შორის დემორდატეს თვალსაზრისით: ერთი მეორისათვის ისინი გარემდებარე ან უცხა არსებანი არიან. ადამიანები ემსგავსებიან ერთმანეთს თავისი შემადგენელი ატომებით, მაგრამ ვინაიდან ეს ატომები სხვადასხვა ატომებია, რომლებიც ერთი მეორისაგან არ წარმომდგარან, ეს მსგავსება მხოლოდ მსგავსება და არა ნათესაობა.

მაგრამ თუ ადამიანთა შორის ნათესაობა არ არის, თუ ყოველი ადამიანი მეორე ადამიანისათვის (თვით შეილი მშობლისათვის) ისეთივე უცხა არსებაა, როგორც, მაგალითად, ხე ქვისათვის ან ქვა რკინისათვის, სიყვარულის შესაძლებლობაც მოსპობილია. რად უნდა შეიყვაროს ადამიანმა, ადამიანი? თვით დედას რად უნდა უყვარდეს შეილი, თუ უკანასკნელი მისთვის უცხო არსებაა? ერთად-ერთი გრძნობა, რომელიც შესაძლებელია აქ, ადამიანთა ურთიერთობას დამოკიდებულებაში, არის ეგოიზმი: ყოველი ადამიანი ზრუნავს თავის თავშე, რომელიც მისოვის უკანასკნელი მიზანია: დანარჩენი კი მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად. თვით შეილიც დედმამისათვის ასეთ საშუალებად უნდა იქცეს. ერთად-ერთ პირიციპად კაცთა ურთიერთობაში უნდა გახდეს ანგარიში: სად არის მოსალოდნელი მეტი გამორჩენა? მაგრამ ამ ანგარიშის ფარგლებიც ძლიერ შეზღუდულია: თუ ადამიანის სიკედილით მისოვის ყველაფერი თავდება (შეილის ბედი მას ხომ არ ეხება), თუ ადამიანის შემადგენელი ატომები დაიფარცებინ, და ის, როგორც პიროვნება, სამუდამოდ გაძერება,—მთელი ინგარიში უნდა აგებული იყოს იმ აზრზე, რომ ეს მოყვე პირადი არსებობა (რომელიც სხვათა შორის სრულიად არ არის ატომიზმით დასაბუთებული: პიროვნებას<sup>2</sup> ატომიზმი ვერ ხსნის) კარგად იქნეს გატარებული. დემოკრიტეს მეტაფიზიკიდან შესაძლებელია მხოლოდ ეგოისტური ზნეობის გამოყვანა<sup>3</sup>).

**ცხოვრების მიზანი** შწორედ ასეთია, მართლაც, დემოკრიტეს ეთიკა. ზოგი აქებს ამ ეთიკას<sup>4</sup>), მაგრამ მოსაწონი ამ ეთიკაში ბევრი არადერრია. ის შეიცავს დარიგებას, თუ რა გზით შეუძლია კაცს უდარდელად იცხოვროს; ეს კი შეკუთხა და არა კარგი ზნეობის დარიგებაა. ამ დარიგებაში არ მოჩანს კოცხალი გული: თავისი ეთიკით დემოკრიტე ანგერით დასწულებულს, მოგვაგრძებს. წურც გაგვიკვირდება ეს,

1) შტრ., მაგალითად, პიროვნების მთლიანობის ახსნის უნაყოფო უდა ლურჯციუს-სთან. De rerum natura, III 259—288. მარქსის ენა რომ ვიბაროთ, ადამიანი არის დემოკრიტეს მექანისტური თვალსაზრისისათვის მხოლოდ ობიექტი. რომ ადამიანი მეტი, ჭიდრე ობიექტი, რომ ის სუბიექტია, ამას დემოკრიტე ვერ სწოდება, და აქედან გამომდინარებს მისი ეთიკის ნაკლებებება.

2) შტრ. Fr. Paulsen, Kant's Verhältnis zur Metaphysik, 7.

3) მაგალითად, გომერცია ასეთი სიტყვებით აასათებს დემოკრიტეს ეთიკას: „Die lautererste Gesinnung, eine durchaus hochsinnige Aussassung des Menschenlebens“—Griech. Denker, 1,298. მეორე დიდი მეცნიერი, ცელენერი, დემოკრიტეს ზნეობრივი სერტეტციებს ეძ.ხის „reine Grundsätze“ I. 1148. ნატორპიც დადებითად აასათებს დემოკრიტეს ეთიკას. Forschungen, 210.

რადგან დემოკრიტე საბერძნეთის საზოგადოებრივ დაცუმის ხაზში ცხოვრობდა.

ცხოვრების მიზანი, დემოკრიტეს შეხედულებით, არის კარგად უკონა-  
(ესეთა) ეს უნდა ვიცოდეთ, რათა მეზანს; მივალწიოთ. რაში მღვმელი არე-  
ობს მერე ეს კარგად ყოფნა? ან როგორ ცხოვრებას ჰქვიან კარგი ცხოვ-  
რება? — „ისეთს, სადაც მეტი სიხარულია და ნაკლები მწეხარება“,  
გვიპასუხებს ერთხელ დემოკრიტე: „კარგად ყოფნა არის სულიერი სიმშვი-  
ლი“, გვიპასუხებს ის მეორეჯერ.

ვთქვათ, რომ „კარგად ყოფნის“ შინაარსი გარკვეულია. იბადება  
ახალი საკითხი: რა საშუალებით შეიძლება ამ კარგად ყოფნის ან სული-  
ერი სიმშვილის მიღწევა? რა უშლის მას სუხლის პასუხი, რომელსაც დემო-  
კრიტე იძლევა ამ კითხვაზე, მისი ეთიკის მთავარ ნაწილს შეადგენს.

ზომიერება: კარგად ყოფნის პირობაა ზომიერება: „მეტის სურ-  
ეილი, მეტს მოთხოვნილებას იწვევს“; „თუ თვითონ შენ  
არ გსურს ბევრი, მაშინ ცოტაც ბევრად მოგზევნება“; „ცოტას სურკილი  
სილარიბესაც იმავე ძალას ანიჭებს, რაც სიმდიდრეს აქვს“; „ბედნიერია ის,  
ვინც ცოტა ქონებით ქმაროფილია; უბედურია ის, ვინც დიდი ქონებითაც  
უქმაროფილოა“; „რადგან სიცოცხლე სუსტი და მოკლეა და ვნაიდან ის.  
მრავალ დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული, უნდა ვისწავლოთ ქონების  
ზომიერი მოხმარება“; „ძუნწი ადამიანი ფუტკარსა გაეს: ორივენი აგრო-  
ვებენ, თითქო მუდამ იცოცხლებენ“; „მეტის დახარჩება აქარგვინებს კაც  
იმასაც, რაც მას აქვს, ისე როგორც ეს აიზოპონის არაქში ძალს შოუ-  
გიდა“; „სულელი კაცი ეძებს იმას, რაც უკვე აღარ აქვს, და ამასობაში  
ჰქარგავს იმას, რაც აქვს“; „ჰქვიანი კაცი ის არის, ვინც არ ღონდება  
იმის დარღით, რაც მას არ აქვს, და მხიარული იმთ, რაც აქვს“. ზო-  
მიერიც აქმაყოფილებს ადამიანს, რომელსაც მეტერი არ სჭირია: „რაც სე-  
ულისათვის საჭიროა, ის ყველასათვის აღვილი საშოვარია. ის კი, რისი  
მიწვდომაც ძნელია, სხეულს კრ არ ესჭირობა, არამედ უგნურს ოცნებას“;  
„რამდენჯერ ადამიანს ეფურო ბრძენია პირუტყვი, რომელმაც იცის ის,  
თუ რა არის მისუთვის საჭირო. ადამიანმა კი ეს არ იცის, როდესაც მას  
რამე სურს“ <sup>1)</sup>.

მაშ, კარგად ყოფნის პირობა სურვილების ზომიერება ყოფილა: უნდა  
ლაგამი ამოვდოთ ჩევნს სურკილებს, უნდა შევზღუდოთ ისინი. ამისათვის  
კი საჭიროა გონიერება, — რომლის გარეშე არც დიდი ქონება, არც სხვა  
უპირატესობა ადამიანს არ დაკავმაყოფილებს <sup>2)</sup>). დიდი ბრძოლა სჭირია  
ადამიანის გონებას მისი სურვილების წინააღმდეგ, რომ უკანასკნელი ზო-  
მიერებას მიაჩვიოს. ამიტომ კარგად ყოფნის მიღწევა ძლიერ ძნელი საქმეა,  
რომელიც დაუღალავ შრომას მოითხოვს: „გულადი კაცი ის კი არ არის,

<sup>1)</sup> Diels, D. Fragmente d. Vorsokratiker, 55 B. 219, 284, 286, 285, 227, 224,  
202, 231, 223.

<sup>2)</sup> Fr. 77.

შინც მტრებს იმორჩილებს, არამედ ის, ვინც საკუთარ სურვილებს იმორჩილებს. ზოგი კაცი, ქალაქების მბრძანებელია და ამავე დროს ქალების შონა-მორჩილი<sup>1</sup>; „ძნელია საკუთარი გულის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მასზე გამარჯვება ვაჟაცაობას ამტკიცებს“; „ვინც კარგს ექებს, მხოლოდ გაჭირებით ჰპოლობს მას; ცუდს კი ადვილად შეეყრება ხოლმე ისიც, ვინც მას არ ექებს“<sup>2</sup>.

აქ ერთს საოცარ შეუსაბამობას უნდა მივაჭიროთ ყუ-შეუსაბამობა რადლება: დემოკრიტე<sup>3</sup> იქიდან დაწყო, რომ ცხოვრების მიზანი არის „კარგად ყოფნა“, „სულიერი სიმშვიდე“ (γαλήνη). მეტი მხი-არულება და ნაკლები მწუხარება. ეხლა კი ირკვევა, რომ ეს „კარგად ყოფნა“ და „სულიერი სიმშვიდე“ ხორციელდება თურმე შორმით, ბრძო-ლით, ე. ი. სულიერი, სიმშვიდის დარღვევით. გამოდის, რომ საშუალება სჭობს თავის მიზანს, თუ სულიერი სიმშვიდე და უდარდელი ცხოვრებაა ადამიანის მიზანი, მაშინ კაცება ის უნდა აირჩიოს, რაც უფრო ადვილია, და არა ის, რაც უფრო ძნელია; და რაკი მტრების დამარცხება და ციხეების აღება უფრო ადვილი საქმე ყოფილა, ვიდრე თავის სურვილების წინააღმდეგ, ბრძოლა, განა თვით სულიერი სიმშვიდის თვალსაზრისითაც ის არ სჯობს, რომ ადამიანმა თავისი სურვილების შეკვეცა მიატოვოს და ეცავოს მათ დაქმაყოფილებას, ე. ი. ეკვეთოს ციხეების, თუ ამ ციხეების აღება მას სურს, დღე და ღამე ჯაფაში გაასწოროს დიდი ქონების შესაძნალ, თუ ეს ქონება მას უყვარს? არა, დიდი პრაქტიკული ჰქუმა, რომელსაც დემოკრიტეს ეთიკაში ხედავენ ამ დარიგებებში არ მოჩანს. ყველაფერი ეს პრაქტიკულ-პრატყელი აზრ-ბია, რომლებიც ვერავის ვერაფერს ასწავლიან. „ეძიო ბედნიერება. თუ იპოვე კარგია: ჩანს, ჰქუმანი კაცი ყოფილხარ. თუ ვერ იპოვე, შენი ბრალია: რევენი ყოფილხარ“ — ია დემოკრიტეს პრაქტიკული სიბრძნე, უბრალო სიტყვებით. რომ ვილაპარაკოთ. როგორ მოიძებნოს ეს ბედნიერება, ე. ი. მთავარი საკითხი დემოკრიტეს ეთიკისა, ბოლოს და ბოლოს გადაუწყვე-ტელი რჩება, რადგან თავის პასუხში დემოკრიტე თანდათანობას მოკლე-ბულ სენტრენციებით გვიმასპინძლდება. თვით ის ჰქუაც, რომელსაც ის გვასწავლის, უდიდესი უსკუობაა; რადგან იგი მოითხოვს, რომ ცოცხალი ადამიანი მევდარს დაგმზგავსოს.

ოჯახი პირადი ბედნიერების ან „კარგად ყოფნის“ თვალსა-ზრისით უდგება დემოკრიტე ოჯახს, საზოგადოებას, სა-ხელმწიფოს. ოჯახი არღვევს ადამიანის სულიერ სიმშვიდეს! აქ ცოლიო, აქ შეილებიო; ყველას თავისი მოთხოვნილება აქს, ყველას დაქმაყოფილება უნდა. ამიტომ დემოკრიტე უარყოფით აფასებს ოჯახს. ბრძენი ოჯახს არ მოეკიდება, დემოკრიტეს შეხედულებით. მართალია, შეილის ყოლა სასია-მოენა: შეილი ართობს კაცს. მაგრამ რადგან მამას შეილთან ისეთივე კავშირი. აქეც, როგორც ქვას რეინასთან, ამიტომ თამამად შეიძლება სა-

<sup>1)</sup> Fr. 214, 236, 108.

კუთარი შეილის ნაცვლად სხვისი შეილის აყვანა... ეს მით უშეტეს, რომ ვინ იცის, საკუთარი შვილი როგორი იქნება: ეგებ ცუდი გამოდგა. საკუთარ შვილს მისი დაბადების შემდეგ ხომ ვერ აირჩივ. სხვის შვილებს შორის კი ყოველთვის შეგიძლია კარგი აირჩიო. „ჩემის აზრით, ამბობს დემოკრიტე, ადამიანმა ხელი უნდა აიღოს შთამომავლობაზე, ვინაიდან შეიღების ყოლაში ხიფათი და უსიამოგნება ბევრია, ბეღნიერი შედეგი კი სამაგიეროდ იშვიათი და ისიც სუსტი“<sup>1)</sup>).

თუ შეილის ყოლა ცუდია და ოუ ყველა დაჭვევიანდა და გამრავლება შეწყდა, კაცობრიობაც ხომ დაიღუპა. მაგრამ დემოკრიტესათვის, როგორც ყოველი მექანისტისათვის, კაცობრიობა არის მხოლოდ ადამიანების ჯამი; ადამიანისათვის კი უმნიშვნელოა, რა მოუკა სხვა ადამიანებს, მაშასადამე, კაცობრიობასაც, ოლონდ მას პირადად ნუ შეეხებიან. დემოკრიტეს. აზრით, ადამიანისათვის ისიც ხომ უმნიშვნელოა ბოლოს და ბოლოს, კვდება ის თუ რჩება.

ასეთი შეხედულების კაცს სქესობრივი დააბლოვების უნდა ეშინონდეს, ქალი კი უნდა სხულდეს, როგორც სულიერი მყუდროების დამზღვევი. მართლაც, დემოკრიტე უარყოფით ახასიათებს სქესთა ურთიერთობას<sup>2)</sup>; რაც შეეხება ქალებს, რამოდენიმეჯვერ მტრულად ახსენებს მათ: „წორიკანობაში და ინტრიგების ქსელის გამაში დედაკაცი სჯობს მამაკაცს“, მკახედ შენიშვნას დემოკრიტე. „ქალმა თავის ენას არ უნდა მისცეს თავისუფლება, — თუ არა ცუდი იქნება“; „ქალის დაჯერება კაცისარავის უკიდურესი სირცვილია“<sup>3)</sup>). ჩანს, არ უყვარდა ქალი დემოკრიტეს, რაკი მხოლოდ ასეთი სიტყვები ემეტებოდა მისთვის.

**აღზრდა** როგორც ოჯახის მამა, ისე აღმზრდელიც სანუგეშონებრივი შეეხება, მისი შედეგები კი სათუო. ამიტომ აღზრდას ხშირად დიდი მწუხარება მოაქვს აღმზრდელისათვის, რომლის იმედები თთეჭის ყოველთვის ცრუვდება<sup>4)</sup>. მაშ, როგორ მოვიქცეთ? მივატოვოთ, ბავშვები აღზრდელად? დემოკრიტე არ ამბობს ამას explicite, მაგრამ რატომ არ შეიძლება ბავშვების მიტოვება, თუ მათ ჩენთან განსაკუთრებული კავშირი არ აქვთ და თუ ისინი სულიერ სიმშვიდეს არღვევნ? უეპელია, რომ ამ შეხედულებებში მოაჩანს ზენობრივად გახრწილი იღოლოვია დაღუპვისაკენ დაქანებული დამპალი საზოგადოებისა.

**სახელმწიფო** აქედან უკვე ჩანს, თუ როგორი პოლიტიკური რწმენა ექნება ამ დაქანცული და სიცოცხლის უნარს მოკლებული საზოგადოების წევრს. დემოკრიტემ მშვენიერად იციას, რომ კარგი პოლიტიკური წესწყობილება ძლიერ საჭაროა<sup>5)</sup>, რომ დემოკრატიული მთავრობა სჯობს ტრანსულს<sup>6)</sup>. მაგრამ თუ მთავრობა ცუდაა, ის ვერასოდეს ვერ

1) DV, 55, B, 276.

2) Fr. 32

3) DV, 55 B, 73, 110, 111.

4) Ib. fr. 275.

5) fr. 251.

6) Fr. 252.

ჭაბედავს მასთან შებრძოლებას: ბრძოლის ძლიერ ეშინია ყველას, ვისაც სიკედილისაკენ უჭირავს პირი. ეშინია მისი დემოკრიტესაც. ის ჰგმობს სამოქალაქო ომს, რომელიც, მისი აზრით, ყოველი პირობის ქვეშ სიავეა: „სამოქალაქო ომი ორივე მონაშილე მხარისათვის უბედურებაა, ვინაიდან გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ერთნაირად აგებს“<sup>1)</sup>. დემოკრიტე ვერ სწვდება იმას, რომ საშუალება ამი კარგია, როგორც გამარჯვებულისათვის, ისე დამარცხებულისათვისაც, რადგან ის სპობს ძველს ჩაკლულოვანებულს და ამცირებს სალს საზოგადოებრივ ურთიერთობას. დემოკრიტე ხედავს სამოქალაქო ომში მხოლოდ უშუალო შედეგებს იმათვის ვინც ამ მოში მონაშილეობას იღებს. უფრო ფართო პერსპექტივა კი დემოკრიტეს აკლია: კაცობრიობის თვალსაზრისი მისთვის არ არსებობს, რადგან უგონიშმი ზღუდავს მის საპერკეპციო არეს. „რა მოაქს უშუალოდ ჩემთვის ამა თუ იმ მოვლენას“, აი როგორი კრიტერიუმით აფასებს დემოკრიტე ყველაფერს. რა თქმა უნდა, ამ უგონისტური კრიტერიუმის მიხედვით მარად სახსოვარი ისტორიული მოვლენები წარსული დროისა, <sup>1</sup> როგორიც არიან სარწმუნოებრივი რეჭიორმაცია<sup>2)</sup> ან საფრანგეთის დიდი რევოლუცია<sup>3)</sup>, უუდიდეს უგნიურობად უნდა ჩაითვალონ.

**კანონიერება** თავისი პანიკიპისა დემოკრიტე პატივისა, სცემს კანონიერებას; რომლის დაცვა ყველასათვის სასარგებლოა, მისი სიტყვით<sup>4)</sup> მოქალაქისაგან ის მოითხოვს მორჩილებას მთავრობის წინაშე. „კანონის, მთავრობის და უფრო ჭკვიანი აღამიანების წინაშე ქედის მოხრა ზრდილობას ამტკიცებს“, ამბობს დემოკრიტე<sup>5)</sup>. უკაფურესი უფლება, რომელსაც დემოკრიტე აძლევს მოქალაქეს არსებული მთავრობის მიმართ, არის უფლება მთავრობის დაცვისა. მაგრამ ნამდვილი დაცვა მთხვერობისა ხომ იგივე გამოიყის, რაც ბრძოლა მთავრობის მოწინააღმდეგ ძალებთან, ბრძოლა, რომელიც ასე აშინებს დემოკრიტეს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობის დაცვა დემოკრიტესათვის უბრალო სიტყვის მასალაა. იმ მოქალაქეს, რომელსაც დემოკრიტე იდეალია ისახავდა, არც ბრძოლა შეუძლია არა-სასურველ მთავრობის წინააღმდეგ, არც ნამდვილი დაცვა სასურველი მთავრობისა<sup>6)</sup>. მას შეუძლია მხოლოდ პლატონიური სურვილი გამოსთქვას ამა თუ იპ პოლიტიკური წესშემოილების შემოღების სასარგებლოდ; ისიც ფრთხილად, მორიცებულად; რომ არავინ გაჯავრდეს, და საძაგელი სამოქალაქო უთანხმოება არ გაჩნდეს. ბოლოს და ბოლოს ყველაზე უკეთესია სულიერი სიმშვიდის. თვალსაზრისით პო-

1) Fr. 249.

2) რომელმაც სინიდისის თავისუფლების იდეა წამოაყენა.

3) რომელმაც დაიწყო პოლიტიკური ემანსიმაციის საქმე.

4) Fr. 248.

5) Fr. 47.

6) ახალგაზრდა რუსი მკვლევარი ანტიკური აზროვნებისა C. Пурье, Атифопт.,

43, სურა: Помыслы Демокрита Философи должен быть бойцом за реформу устарелых законов. დემოკრიტეს ასეთი გაფერა არ იქნება სწორი.

ლიტიკურ ცხოვრებიდან განშორება, და თავის კერძო საქმეებისათვის ყუ-  
რის გდება<sup>1)</sup>. როგორც ვხედავთ, დემოკრიტე მოქალაქეს პოლიტიკურ  
ლეჟად აქცევს.

#### რევოლუცია

ეჭვი არ არის, რომ დემოკრიტეს ეთიკაში ჩაინა თა-

ჩიდილმა. დემოკრიტეს ებური პოლიტიკური მასონობრივი მიზანი და ინდივი-  
დურისმი იყო ის ნიადაგი, სადაც აშენდა შემუღებ კეისარების აბსალუ-  
ტიზმი, რომელმაც მთელი კაცობრიობისაგან მომაკვდავი და ნაკლულოვა-  
ნებებით აღსავს ადამიანის გაღმერთება მოითხოვა.

მართალია, დემოკრიტემ ძალიან კარგად იცის, რომ პოლიტიკური ინ-  
დივიდურნობის სწამლავს საზოგადოებას და ხელს უწყობს ათასგარ ბოროტ-  
მოქმედების გამრავლებას<sup>2)</sup>, რომ სჯობს გაჭირება აიტანო, და კარგი  
წესწყობილება დამყარდეს<sup>3)</sup>. ცველაფერი ეს იცის დემოკრიტემ, რაფან-  
მის ზურგს უკან დარჩა მდიდარი პოლიტიკური გამოკლილება საბერძნე-  
თის ქალაქებისა. მაგრამ იცის მხოლოდ გონებით და არა გულით, რომ  
შესძლოს ამ ცოდნაზე ააგოს თავისი ეთიკა. რა ჰქნას ამ დატანცულმა ადა-  
მიანმა, რომ ის ვერ გრძნობს თავის ძარღვებში სისხლის ჩეფის, რომლის  
გარეშე შეუძლებელი ხდება სურვილების განაღდება? ბოლოსდაბოლოს  
დემოკრიტესაგან აჩება შთაბეჭდილება იმპოტენტისა, რომელსაც ენერგია  
დიდი ხანია გამოლევია და სურვილის უნარიც ძლიერ დასუსტებია. დე-  
მოკრიტეს ეთიკაში ოდნავაც არ მოხანს ის მეამბოხე სული, რომელიც  
იბრძვის თავგანშირულად თავის იდეალის განსიხორციელებლად და სი-  
კვდილისაც არ ეშინია. მისი მიმდევრები (ეპიკურე, ლუკიურიუსი) ძა-  
ლიან მოწადინებული იყვნენ დაემტეკოცებიათ, რომ სიკვდილის შიში  
უგნურობაა, მაგრამ ჩანს, რომ ისინი ამით თვეის თავს ინტეგრებდენ, და  
მათ გაცივებულ გულში სიკვდილის შიში დიდი ხანია დაბურებულა. ვინც  
სიცოცხლით არის ყელამდის საგსე, მას სიკვდილის არ ეშინია. სიკვდილის  
ეშინია შეკვდარ-ცოცხალს და მხოლოდ იმ ზომაზე რა ზომაზედაც ის  
მკვდარია.

დემოკრიტემ იცის, რომ პოლიტიკური ინდივიდურნობის დამლუპვე-  
ლია. მაგრამ ის იმ ზომაზე შეჩევულია სულიერ სიმშევიდეს, რომ ვერ პერდავს  
სარანადო დაკვენა გამოიყენოს ამ ცოდნიდან და პოლიტიკური ბრძოლა  
ურჩიოს მოქალაქეებს. შესაძლებელია, რომ თვითონ დემოკრიტეც ამჩნევდა  
შინაგან წინააღმდეგობას თავის შეხედულებებში, მაგრამ მას აკლდა საჭირო  
გამხედვაობა, ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად.

ატომიზმმა ვერ მოგვლა მისალები ეთიკა. ჩვენ ვეცადეთ დაგვემტეკ-  
ცებია, რომ იგი მას ვერც მოგვცემდა: ატომისტური მეტაფიზიკის საუზ-  
ძეელზე თანდათანობის დაურღვევლად შეიძლება მხოლოდ ეგოისტური და  
ანტისოციალური ზნეობა აშენდეს.

1) Fr. 252.

2) Fr. 254.

3) Fr. 251.

## ათოვიზმის პრიციპი

ათოვიზმი და  
რელიგია

რომდენიმე შენიშვნა კიდევ საჭიროა, რომ უკეთესად წარმოგებელების ატომიზმის შენობა. შემცირარი იქნება ის, ვინც ზემონათქვამიდან დემოქრიტეს ეთიკის შესახებ იმ დასკვნას გამოიტანს, რომ ატომიზმი, მთლიანად ალებული, მთლიან უარყოფითად უნდა იქნეს დაფასებული. ეჭვი არ არის, რომ ამ ოფორიამ დიდი სამსახური გაუშინა კაცობრიობას. ატომიზმშია გაანთავისუფლა კაცობრიობა ცრუ მორწმუნობრივი შიშისაგან ბუნებრივი ძალების წინაშე, რომელიც თან სდევს ანიმიზმს. „ნუ გეშინიათ ბუნების, რადგან ბუნება მკვდარია და მას არ შეუძლია ის თვისებები არ ჰქონდეს, რაც მას იქნეს; ნუ გეშინიათ ბუნების, რადგან ის შეკრულია აუცილებლობის კანონით!“ — აღ რა აზრი იყო ჩართული დემოქრიტეს ფილოსოფიაში. შემდეგ ეს აზრი ატომიზმისა წამოსწიეს წინ ეპიკურემ და ლუკრეციუსმა. უკანასკნელის თვალში ეპიკურე იქცა რელიგიონური შიშისაგან კაცობრიობის მსნელ გმირად, რომელსაც ის თვის პოემაში დითირაბებს „უგალობს“ სამართლიანად.

Humana ante oculos foede cum vita iaceret

In terris, oppressa gravi sub religione,  
Quae caput a coeli regionibus ostendebat,  
Horribili super aspectu mortalibus instans,  
Primum graius homo mortales tollere contra  
Est oculos ausus, primusque obsistere contra.  
Quem nec fama deum, nec fulmina, nec minitanti  
Murmure compressit coelum; sed eo magis acrem  
Virtutem irritet animi, confringere ut arcta  
Naturae primus portarum claustra cupiret..  
Quare religio, pedibus subjecta vicissim  
Obteritur, nos exaequat victoria coelo<sup>1)</sup>.

ათოვიზმი და ცრუმორწმუნობრივი შიში უცდიდესი. მტერია შეთანამდებოւე მეცნების, ისე როგორც თავის მხრით ცოდნაც სპობს. ბუნებისშეთავე ცრუმორწმუნობებს. ამიტომ ბუნების წინაშე შიშისაგან კაცობრიობის/ განთავისუფლებამ ხელი შეუწყო ბუნებრივ მუვლენებზე დამშვიდებული დაკვირვების წარმოებას და მათ შესწავლას. მაგრამ სხვა თვალსაზრისითც, როგორც საშუალება

<sup>1)</sup> „ადამიანის ცხოვრება სამარცხვინოდ იყო გათვლილი და მიწასთან გასწორებული სარტყენოების მეურ, რომელიც ცის სივრცედან საშინელი გამოიტყველებით დაპურებდა ზევიდან მომაცდავებს, როდესაც ერთმა ბერძნება პირველად გაზრდა გასწორების მისთვის (საოწმუნოებისათვის) თვალი და წინააღმდეგობა გაეწიო. ის ვერ შეაშინა ვერც ღმიერთვნება თქმულები, ვერც ელგამ, ვერც ცამ თვისი ქუთილით. პირიქით, ყველა ამნი მასში უფრო გააიღიქრა სურვილი აერღვის ბუნების დაკვეტ ლი კარგი... ამრიგად, საოწმუნოება თავის მხრივ დაძლეული, უხებ-ქები იქნა განარტებული, ჩვენ კი ასეთა, გამარჯვებამ ცასთან გავკათანასწორა“ Lucrētius, De rerum natura, 1,63—81. შეად. აგრეთვე III, 14; VI, 49.

ლება ბუნების შესწავლისათვის, ატომიზმი შესანიშნავ მოძღვრებად გამოდგა, უულიდესი ნაბიჯები წინ თანამედროვე კაცობრიობის მეცნიერებისა, ნაბიჯები, რომლებიც დაკავშირებულია გალილეის, დეკარტის, ჰიუიგნისის (Hui-genis), ლავუაზიეს, დალტონის, მენდელევის სახელებთან, ატომისტური პრინციპების ნიადაგზე იქნენ გადადგმული. მართალია, თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ. ატომის ტელს წარმოდგენაში მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა: უარყო ატომების განსხვავება ფორმაში<sup>1)</sup> და ამით შეამცირა ატომთა შესძლებელ ჯგუფების რაოდენობა, რადგან: რიცხვს შესაფერი ადგილი დაუთმო ბუნების ახსნაში, სადაც თვითონ დემოკრიტემ ვერ მოახერხა რიცხვის შეტანა; უკუადო დემოკრიტეს აქსიომა, რომლის მიღებაში ის ბრძანდ გაძვევა პარმენიდეს, თითქო მოძრაობა შესძლებელია მხოლოდ ცალიერ სივრცეში; უარყო ის დებულებაც, ვითომ მხოლოდ ამსოდებური არარაობა ჰქმდის საგანთა მრავალობას<sup>2)</sup>). დღეს კი ის მხად არის ატომის ცნება შესცვალოს უფრო მარტივი ცნებით, ელექტრონით<sup>3)</sup>. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ატომიზმი, როგორც ბუნების გამოკვლევის მეთოდი სრულად უვარებისი იყო. მოლოს და ბოლოს თვით ისინიც, ვინც მატერიალური ატომის ცნებას არა-მატერიალური ენერგიის ცნებით სცვლიან, დემოკრიტეს ფიზიკის პრინციპების ნიადაგზე ჩებიან: მათაც აუცილებლობის კანონი აქვთ მიღებული; მათაც შეუძლებლად მიაჩინათ ენერგიის ჯამის ზრდა ან შემცირება მსოფლიოში; ისინიც უარყოთენ არსებულის არარაობად ქცევას და არარაობისაგან არსებულის ვაჩინას; ისინიც აღიარებენ, რომ კონკრეტული მრავალფროვენება საგანთა არის ერთი და იმავე არსის მოვლენა. ხდება მხოლოდ ატომის ცნების ანალიზი და განზოგადოების ახალ საფეხურზე / ასელა. ის კი, ჩაც წინა საფეხურზე იყო მიღწეული ატომის ცნების საშუალებით, მიღებულია საკაცობრიო ცოდნის სალაროში, როგორც სამარტინოს განძუბლობით არარაობას. განა მენდელევის აღმოჩენა ენერგეტიკის თვალსაზრისისათვის თავის მნიშვნელობას ჰყაოდას? — არა. განა აღიზარინის სალებავი სხვანაირად დამზადდება. ენერგეტიკის თეორიით, ვიღრე მზადდებოდა ატომის რად დამზადდება. ენერგეტიკის თეორიით, ვიღრე მზადდებოდა ატომის

<sup>1)</sup> უკვე თეოფრასტო უსაყვედურებლა დემოკრიტეს, რომ მის ატომებს უსწორებობა მასტრორო ფორმა აქვთ. შედრ. Zeller, I, 856.

<sup>2)</sup> პარმენიდე და დემოკრიტე ცეკვებლები, ოპიუსაც ჰერქობდები, რომ საგანთა მრავალობა ჰყულისმნაბა აბსოლუტურ არარაობას: საგანთა მრავალობა ჰყულისმნაბა მხოლოდ შედარებითს არარაობას. ცერმან სადრი შეიცავს პრა საზოგადოდ არსის უარყოფას; ლოდ შედარებითს არარაობას. ცერმან სადრი უარყოფას. სე არის არარაობა არა არსებობის მიმართ, არა-არამედ სხვა კერძო საგანთა უარყოფას. სე არის არარაობა არა არსებობის მიმართ, არა-მედ ქვის, ცხოვლის, ბალის მიმართ. კერძო უარყოფას მნიღლოდ სხვაგარად არსებულა; მედ ქვის, ცხოვლის, ბალის მიმართ. ამიტომ საგანთა სხვაგარად არარაობა. ამიტომ საგანთა სხვაგარად არსებულის უარყოფა კი არ არის ჯანმრთელური არარაობას. ა1 და ა2 ორივე არის ა შორის საზღვარიც არ გულისმნაბა აბსოლუტურ არარაობას. ა1 და ა2 იროვე არის ა და ა3 იროვე არის ა2, ე. ი. მრავალი არის ამიტომ კი არა, რომ ა1 არ არის ა. (არსი). ა1 არ არის ა2, ე. ი. მრავალი არის ამიტომ კი არა, რომ ა1 არ არის ა. დარებითისაგან ან არსებობის უარყოფას სხვაგარად არსებულის უარყოფისაგან. რაც შეეგდა პარმენიდეს, მისი აზრით, შევარებითი არარაობა შესაძლებელია მხოლოდ აბსოლუტური არარაობის პირობით.

<sup>3)</sup> შედრ. Poincaré, Wissenschaftstheorie Hypothese, 316.

ტური ქიმიის აღმოჩენის წყალობით? — არა. განა გოგირდის სიმეჯვის ფორმულა  $H_2SO_4$ , ატომისტური ქიმიის ნიშნებით დაწერილი, ნამდვილზე ურთიერთობის გამომხატველი არ იქნება? — კი იქნება. ოლონდ ის, რაც ატომისტიყის ტერმინებით იყო გამოთქმული, ენერგეტიკის ენაზე ითარ-გმნება<sup>1)</sup>. ჟველა ამის დეტალური განმარტება ფილოსოფიურად განათლებულ ბუნებისმეტყველის საქმეა და არა ფილოსოფიის ისტორიკოსია. ამიტომ შეეწყვიტოთ აქ ამაზე ლაპარაკი და დაუბრუნდეთ ისევ დემო-კრიტეს შეტაფიზიკას.

რა იყო ამ მეტაფიზიკის უპირატესობა? შეიძლება, ატომი არ არის ის, რომ დემოკრიტემ მიაგნო ატომებში ნამდვილად რეალობა არსებულ ელემენტებს? ზოგი დღესც ფიქრობს, რომ დემოკრიტეს ატომი ნამდვილი არსებაა. ეს არ არის მართალი. დემოკრიტეს წვერიანი, მრგვალი, სამკუთხედი, ამოლრმავებული, წაგრძელებული ატომები მხოლოდ ფიქციაა, როგორც ეს უკვე პასკალსაც კარგად ეს-მოდა<sup>2)</sup>.

მაში, რა არის ატომიზმის დამსახურება? ის, რომ ატომიზმის უპირატესობა მას სურდა განესაზღვრა მეცნიერული კვლევა-ძიების გზა და ამათ შესაძლებელი გაეხდა შეთანხმებული მუშაობა სხვადასხვა მეცნიერული ტარგებისა და სხვადასხვა მეცნიერთა შორის. დემოკრიტემ ხელი შეუწყო მეცნიერების მთლიანობის იდეის განვითარებას. მან მეცნიერება საზოგადო, საყოველთაო საქმედ აქცია. მეცნიერება არ არის იქ, სადაც: ა) თითოეული მკვლევარი თავის პრობლემას აყენებს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სხვა მეცნიერთა პრობლემებთან, ბ) ჩველეეს ამ პრობლემას ისეთი საშუალებით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სხვების საშუალებებთან, და გ) აღწევს ისეთს შედეგებს, რომელის შესწორება, ერთის მხრით, არავის მხრით, არავინ ისარგებლებს. მეცნიერება, არ არის იქ, სადაც მის ასპარეზზე მომუშავენი არ არიან გაერთიანებული. არც მიზნით, არც საშუალებებით. კანტი ასეთს მდგომარეობას ეძახოდა. ერთს ადგილზე უთავებოლო, ტექნიკას („ein blosse Herumtappen“<sup>3)</sup>), ატომიზმი გადაელობა წინ ასეთს უთავებოლობას: მან სცადა მტკიცედ განქსა: ზღვრა მეცნიერული კვლევა-ძიების მიზანი.

მეცნიერების მიზანია მრავალფეროვან საგნებში, რომლებსაც ჩვენ გრძნობების საშუალებით შევიცნობთ, ერთი და იგრივე აღმოჩინის — ას-დემოკრიტეს ფილოსოფიის დედა-აზრი. მეცნიერული კვლევა საგნისა და მთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს კვლევა:

1) შდრ. ენგლსთან მზგავი მსჯელობა ფლოგისტონის პიპოტეზის შესახებ. Диалект. прир., 92.

2) Il faut dire en gros: cela se fait par figure et mouvement, car cela est vrai. Mais de dire quelles et composer la machine, cela est ridicule. Pensées, II, 17.

3) Kant, Kritik d. reinen Vernunft, Vorrede zur zweiten Auflage, ed. Kührbach, S. 52.

მიგვიყვანს იმ დებულებებთან, რომლებამდევ ჭიდის მეორე, მესამე, მეოთხე, მეათასე საგნის გამოკვლევა, სულ ერთიშვილი, მცენარეა ეს საგანი, თუ ცხოველი, მთაა თუ მდინარე, ოჯახია თუ სახელმწიფო. თანამედროვე ფილოსოფიური ლიტერატურაში ხარობენ ტერმინს „აზროვნების ეკონომია“<sup>1)</sup>). დემოკრიტეს მოძღვრება აზროვნების ეკონომის პრინციპს შეიცავს, რადგან ის მოითხოვს, რომ მრავალფეროვანი ერთფეროვნად იქნეს წარმოდგენილი.

უკანასკნელი აზრი მთლად დემოკრიტეს აღმოჩნდა არ იყო: თალესიც: იცნობდა მას. დემოკრიტემ ოლონდ განავითარა ის და აღნიშნა, რომ „ერთი და იგივე“ არის არა მხოლოდ შემადგენელი მასალა საგნების, არა მედ ამ მასალის დალაგების პრინციპიც (შეერთება — დაშლა). ამით განდევნილ იქნა სასწაულის ცენტრა მეცნიერების სფეროდან; სასწაულის ცნებას მეცნიერებამ არ უნდა მიმართოს, მოითხოვს ატომიზმის.

უკანასკნელ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებას დემოკრიტემ მისცა მეტაფიზიკური დებულების სახე: არარაობისაგან არსებული არ ჩნდება და არსებული არარაობად არ იქცევა. და აი სწორედ აქ მოხდა თავსამტკრევი ლოგიკური saltus mortalis ატომიზმისა..

მეცნიერებას არ იქნა უფლება მიმართოს სასწაულის ცნებას; მან უნდა იხელმძღვანელოს მიზნების მიზნები უცილებლობის. ცენტრი — ყველაფერი ეს სწორია: მეცნიერების დანიშნულება საქმიოდ ასაბუთებს ამ ნორმებს. მეტი საბუთი უკანასკნელთ არ სჭირიათ: მეცნიერება პირობითი, ადამიანისებური საქმეა, და ადამიანს შეუძლია მისცეს მას ის სახე, რომელიც მისთვის, ადამიანისათვის, საჭიროა, ისე როგორც იქცევა ის ჩაუჩინს ან ნამგალის გამოჭედაში; და რაკი საჭიროა ადამიანისათვის ისეთი რის ან სეპარაციის ბრძოლას, მეცნიერებაც მიზნებისრიგობის იდეაზე უნდა იქნეს იგებული. ვინც ამაზე შეტანის იტყვის, ის თავის მიზნის საზღვრებს სცილდება. დემოკრიტეს შეცდომაც ამაშია: ის იმაზე შეტანა ამბობს, რაც საჭიროა.

ატომიზმის  
აპორია

მეტს ამბობს დემოკრიტე, როდესაც თავის ჰიპო-  
თეტიურ ცნებას ნიმდვილად არსებულ საგნად აქცევს:  
ატომი არსებობს, ფიქრობს ის. მეტს ამბობს დემო-  
კრიტე, როდესაც ამტკიცებს, რომ ის, რაც იყო წინ მომწერტში, უდრის.  
სრულიად იმას, რაც არის შემდეგს მომწერტში, ან აბსოლუტურად ახალი,  
შეუძლებელია და განვითარებაც მოჩვენებაა. ატომების რხევა ეხება ოვალს,  
რჩდება წითელი ფერის გრძნობა, — აი უკვე უბრალო მაგალითი, რო-  
და მეტიც დემოკრიტეს მეტაფიზიკისათვის დაუძლეველი ფაქტია. წითელი  
მელიც დემოკრიტეს მეტაფიზიკისათვის დაუძლეველი ფაქტია. წითელი  
ფერის გრძნობა ხომ ისეთი რამ არის, რაც არ ემზგავსება ატომების მო-  
ვერის გრძნობა ხომ ისეთი რამ არის, მოძრაობისაგან გაჩნდს, ის გაჩნილა-  
ძრაობას. თუ ეს გრძნობა ატომების მოძრაობისაგან გაჩნდს, ის გაჩნილა-  
ძრაობას. რაშიც ის უწინ არ იყო, ე. ი. არსებული წარმოდგარა

1) H. Rickert, System der Philosophie, erst. Teil, Tübingen, 1924 S. 211.

არარაობისაგან ან დარღვეულად მექანიკური მიზეზომრიცხაბის პრინციპის, რომელზედაც ემყარება მთელი ატომისტიკა.

როგორ გამოდის ამ დაბრკოლებიდან დემოკრიტე? ის გაბეჭულად უარჲყოფს წითელი ფერის არსებობას: ფერი, გემო და სხვა ასეთები ნამ-დეილად არ არსებობს, გვეუბნება დემოკრიტე<sup>1)</sup>. მაგრამ ვინ დაუჯერებს მას? რომ ფერი არსებობს, ამაში ყოველი ჩვენთაგან ისეა დარწმუნებული; როგორც საკუთარი თავის არსებობაში. ჩვენ გვარწას ფერის არსებობა, არა ნაკლებად, ვიდრე მოძრაობისა და მრავალობის არსებობა. წითელი, გემრიელი, სურნელოვანი ვაშლი, რომელიც ხელში გვიჭირავს, ისეთი ფაქტია, რომ მისი არსებობის უარყოფა პსიქოლოგიურად შეუძლებელია! მაშასადამე, შეუძლებელია მისი ფერის, გემოს და სუნის არსებობის უარ-ყოვაც. დემოკრიტე კი მათ არსებობას უარყოფს. რა გამოდის? გამოდის ის, რომ თვითონ დემოკრიტე შემდგარა იმ გზაზე, რომელსაც ის ჰკიცხავდა ელეა-ტიზმი: თეორიამ უნდა ახსნას საგანი და არა უარპყოს მისი არსებობა.

მაგრამ ნუ გაგვაკვროვებს ეს დემოკრიტესაგან, ვინაიდან დღესაც, 24 საუკუნის შემდეგ, სრული სინათლე ამ საკითხში არ არის. დღესაც ყველა ვერ სწორება იმ აზრს, რომ არსებობის უკანასკნელი კრიტერიუმი არის გრძნობა, რომლის ჩვენების სისტემაში მოსაცვნად ჩვენ ვსაჩვებ-ლობთ მნიშვნელობის მქონე ცნებებით. მაგრამ ის, რასაც მნიშვნელობა, აქეს, არ უნდა უსათუოდ არსებობდეს. დემოკრიტე ეს არ იცოდა. ამიტომ, მან მნიშვნელობის ნიაღაზე წარმომდგრარი ჰიპოთეტური ატომი ნამდვი-ლად არსებულ საგანად აღიარა და ამით კარგი ჰიპოთეზა უვარების მეტა-ფიზიკად აქცია. საჭირო იყო მოხსნა დემოკრიტეს თეორიისაგან ზედმეტი პოსტულატებისა. მაგრამ თავისი ნამდვილი სახითაც ეს თეორია ჩვენთვის აზროვნების ქლიერების ნიმუშად ჩაეხდა.

<sup>1)</sup> დემოკრიტეს მაკალითშე მტკიცდება ამრიგად, რომ მექანისტურა მატერიალისტი იქულებული ხდება სუბიექტივისტური იდეალიზმით გაათავოს.

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

**ლუპარაციუსი „საგანთა პუნებისთვის“ (ზიგნი 1; ლექსი 420-629)**

ბუნება თავისთავად ორი პრინციპისაგან შედგება: ეს პრინციპებია სხეულები და ცალიერი-სივრცე, სადაც სხეულები მოთავსებული არიან და სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ. რომ სხეული არის თავის-თავად, ამას ამოწმებს საზოგადო გრძნობა (communis sensus): რომ-ამ უკანასკნელის ჩეენება სარწმუნო არ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, რომ გონიერის საშუალებით წერ მოგვპოვებია მტკიცე დებულებები საგანთა კვლევის დროს. რაც შეეხება ადგილს. ან სივრცეს (რომელსაც ჩერ ცალიერს ეუწოდებთ), რომ ის არ ყოფილიყო, მაშინ საგნებსაც არ შეეძლოთ საღმე მოთავსებული ყოფილიყნენ, და აგრეთვე შეუძლებელი იქნებოდა მათვეის სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა.

ეს მე შენ გიჩენე უკვე ზემოთ. არ არის არაფერი ისეთი, რომლის შესახებ შეიძლებოდა გეთქვა, რომ ის არც სხეულია და არც ცალიერი სივრცე და თითქო საგანთა მესამე პრინციპს წარმოადგნდეს. ეინაიდან ყველაფერი, რაც არის, აუცილებლად უნდა (როდესაც ის არის) ან დიდი ან პატარა იყოს თავისი მოცულობით. რაც უნდა მსუბუქი და მცირე არ უნდა იყოს, იგი, თუ კი შეიძლება მისი შეეხება, ის ეკუთნის სხეულთა რიცხვს და ემორჩილება უკანასკნელის კანონებს. თუ კი მისი შეეხება არ შეიძლება, მაშინ ის ვერც ერთს საგანს ვერ დაუშლის გაიაროს მაშინ: მაშასადამე, ის იქნება დაცლილი იგი სივრცე, რომელსაც ჩერ სიცალიერეს ვუწოდებთ.

გარდა ამისა, ის, რაც თავისთავად არის, ან უნდა იყოს მომქმედი, ან უნდა სხვების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდეს თვითონ, ან ის უნდა იყოს ადგილი, სადაც საგნებს შეუძლიათ ყოფნა და მოქმედება. მაგრამ სხვებზე მოქმედება და სხვების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არ შეუძლია არა-ვითარ საგანს, თუ ის არ არის სხეული, და, შემდეგ, არც ადგილის მიცემა შეუძლია რასმე, თუ ის არ არის ცარიელი და დაცლილი. მაშასადამე, გარდა ცალიერის სივრცისა და სხეულებისა არ შეიძლება იყოს არავითარი თავისთავად არსებული მესამე პრინციპი. საგნებისა, რომელიც არც ჩერი გრძნობებით შეიცნობა ოდესმე და არც გონების საშუალებით შეინიშნება..

ყველაფერი, რასაც აქვს სახელი (client), ან ამ ორი პრინციპის საკუთარი თვისებაა, ან მათი შემთხვევაა. საკუთარი თვისება (coniunctum) არის ის, რაც არასოდეს არ შეიძლება მოცილებული იქნეს საგნისაგნ და მოშორდეს მას, გარეშე ამ საგნის მოსპობისა. ისეთი საკუთარი თვისებაა. კლიენტისათვის სიმძიმე, ცეცხლისათვის სიმძურვალე, წყლისათვის სითხე,

ყველა სხეულებისთვის — შესახებლობა, ცალიერი სიგრცისათვის კი — შეუხებლობა. ამისაგან განსხვავებით, მონბარისა და თავისუფლებას, სიმდიდრესადა სილარიბეს, ომსა და მშვიდობას და ბევრს კიდევ სხვას, რომლის მომატება და დაკლება ბუნებას უცვლელად ტოვებს, ყველა ამას შემთხვევას (eventum) ვეძახით, როგორც ეს ჯერ არს.

დრო თავისთავად (განყენებულად) არ არსებობს, არამედ თვით საგნებისაგან გამომდინარეობს იმის შეგნება, თუ რა მოხდა წარსულში, რა არის აწყუში და, ბოლოს, რა იქნება მომავალში. არავის არ შეუძლია იგრძნოს საგანთა მოძრაობისაგან და მათი ტკბილი მყუდროებისაგან განყენებული ღრო. ამრიგად, როდესაც ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მშვინიერი ელენე იყო მოტაცებული ან რომ ტრიოანელთა ტომები ომში დამარცხდნ, ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ფაქტები იმით კი არ გვაიძულებენ ჩვენ ვალიაროთ მათი არსებობა, რომ ისინი თავისთავად არსებობენ ამჟამად, ვინაიდან აღმიანთა ის თაობა, რომლის ღროსაც მოხდა ეს ფაქტები, სამუდამოდ წაილო წარსულში. ამრიგადვე ყველა იმის შესახებაც, რაც მომავალში მოხდება, შეიძლება ითქვას, რომ ისიც იქნება საგნებისა და ადგილის შემთხვევა. დაბოლოს, რომ არ ყოფილიყო საგანთა არავითარი ნივთიერება და არც ადგილი ან სივრცე, სადაც ხდება ყოველი მოვლენა, მაშინ სიყვარულის ცეცხლი, რომელიც მშვინიერი ელენეს გარეგნულობამ წაუკიდა ალექსანდრე ფრიგიელის გულს, არსად არ გამოიწვევდა დაუზოგველი ომის სახელოვან ბრძოლებს. არასოდეს აგრეთვე ტრიოანელთაგან მაღულად ბერძნების მიერ გაკეთებული ცხენი არ წაუკიდებდა ცეცხლს პერგამოსს. შენ შეგიძლია დაინახო, რომ ზემოაღნიშნული მოვლენები სრულიადაც არ არსებობენ იმგვარად, რა გვარადაც თავისთავად არის სხეული, და არც იმნაირად არსებობენ, რანირალაც არსებობს ცარიელი სივრცე. ასე რომ შენ შეგიძლია იმათ სრული უფლებათ უწოდო სხეულისა და იმ ადგილის შემთხვევა, სადაც ყველა მოვლენები ხდება.

შემდეგ, სხეულები არიან ნაწილობრივ საგანთა საწყისები (primordia rerum), ნაწილობრივ კი თვით ამ საწყისებისაგან შემდგარი საგნები. არავითარ ძალას არ შეუძლია იმათი შეკუმშვა, რაც საგანთა ელემენტია: ასეთია უკანასკერლის სიმაგრე, რომ მას ვერაფერი ვერ ერევა.

ერთის შეხედვით ძნელი დასაჯერებელია, რომ საგნებში მოიპოვებოდეს ისეთი რომ, რასაც აბსოლუტური სიმაგრე (solidum corpus) აქვს; გადის ხომ სახლების კედლებში ციდან ჩამოვარდნილი ელვა, ისე როგორც გადიან ამ კედლებში ხმაურობა და ბევრები; ჩეინა თეთრებება ცეცხლში; კლდე სკლება, როდესაც ის ხურდება; ცეცხლით შერყეული სიმაგრე ოქროსი იქარგება; ცეცხლით დაძლეული სპილენძი ღნება ყინულსავით; ვერცხლში გადის სითბო და სიცივე, როგორც ამას ვგრძნობთ ორთავეს, როდესაც ხელით გვიჭირავს ხოლმე აზარფუშები, სადაც ჩასხმულია სასმელი. ამრიგად, ჩვენ გვეჩვენება, რომ საგანთა შორის არაფერი არ უნდა იყოს აბსოლუტურად მაგარი.

მაგრამ, ვინაიდან ჰეშმარიტი მსჯელობა (vera ratio) და საგანთა ბუნება ამას მოითხოვდენ, ზენც მიიღებ დებულებას (რომელსაც მოკლედ ვეხები), რომ არსებობენ აბსოლუტურად მაგარი და მარადიული სხეულები, რომელთა შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არიან საგანთა ოცსლები (semina), ან საწყისები და რომ ამაოგან შედგება და შექმნილია ყველაფერი.

უშინარეს ყოვლისა, ვინაიდან სხევადასხვანაირია ბუნება ორივე პრინციპისა (ე. ი., სხეულისა და იმ ადგილისა (locum), სადაც ხდება ყველაფერი) ამიტომ აუცილებელია, რომ თითოეული მათგანი არსებობდეს თავისთავად ან ერთმანეთთან შეურევლად. ვინაიდან ის, სადაც ადგილი (spatium) დაუკავებელია და რასაც სიცარიიელს (inane) ვუწოდებთ, არ არის სხეული; იმას კი, სადაც ადგილი დაკავებულია სხეულით, არ შეიძლება არავითარი გზით ეწოდოს დაუკავებელი სიცარიიერე. ამრიგად არსებობენ პირველადი მაგარი სხეულები, რომლებშიც არ არის სიცალიერე.

რამდენადაც წარმომდგარს სხეულებში არის სიცალიერე, აუცილებელია, რომ ამ სიცალიერის გარშემო იყოს მოთავსებული მაგარი ნივთიერება. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ რომელსამე საგანში არის სიცალიერე, თუ არ მივიღეთ დებულება, რომ ამ სიცალიერის გარშემო მოთავსებულია რაღაც მაგარი, რაც ამ სიცალიერეს გარშემო აკრავს. ეს მაგარი არ შეიძლება იყოს რაიმე სხვა, თუ არა ნივთიერების ნაწილაკების გროვა, რომელსაც შეუძლია საგანში არსებული სიცალიერე განსაზღვროს. მაშასადამე, არსებობს ნივთიერება, რომელიც მაგარი სხეულია და რომელსაც შეუძლია იყოს იმ დროს, როდესაც ყველაფერი სხვა იშლება.

გარდა ამისა, რომ სიცალიერე არ ყოფილიყო, ყოველი საგანი იქნებოდა მაგარი; წინააღმდეგ ამისა, რომ ის მაგარი ნაწილაკები ნივთიერებისა არ ყოფილიყონ, რომლებიც აქსებდნ მათ მიერ დაჭრილს ადგილს, მაშინ მთელი სივრცე ცალიერი იქნებოდა. ცხადია, ამრიგად, რომ სხეული და სიცალიერე განიჩევან ერთმიერობისაგან, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში არც სრულიად სავსე იქნებოდა და არც სრულიად ცალიერი: მაშასადამე, არსებობენ პირველადი სხეულები, რომლებსაც შეუძლიათ ცალიერი სივრცე განასხვაონ საგნებისაგან.

ეს პირველადი სხეულები არ შეიძლება დაშლილ იქნენ არც გარედან მიღებულ დაკავრისაგან და არც შინაგანი მიზეზით. არც სხვა რაიმე მიზეზს შეუძლია მათი დაზიანება (რაც ჩვენ ცოტათი ზემოთ აღნიშნეთ), ვინაიდან არავითარ საგანს, თუ მასში სიცალიერე არ არის, არ შეუძლია არც შეკუმშულ იქნეს, არც გატეხილ იქნეს, არც რარად იქნეს გაჭრილი, არც სინესტე, სიცივე ან სიცხე მიიღოს. ე. ი. განიცადოს ის, როს გამო ისპობა სწორედ ყველაფერი, და რაც უფრო მეტია რომელსამე საგანში სიცალიერე, მით უფრო აღვილად ზიანდება ეს საგანი ზემოაღნიშნული მიზეზების გავლენით. მაშასადამე, რაյი პირველადი სხეულები, მაგარი და სიცალიერეს მოკლებული არიან, როგორც ეს ზემოთ ვთქვით, აუცილებელია, რომ ინინი მარადიული იყვნენ.

გარდა ამისა, რომ ნივთიერება მარადიული არ ყოფილიყო, ყველა-  
საგნები აქამდე არარაობად იქნებოდენ ქცეულნი, და ყოველი საგანი, რო-  
მელსაც ჩვენ ამჟამად ვხედავთ, არარაობიდან იქნებოდა წარმომდგარი.  
მაგრამ, ვინაიდან ზევით უკვე ავლიშნე, რომ არ შეიძლება რაიმე არა-  
რაობისაგან გაჩნდეს და ის, რაც გაჩენილია, არ შეიძლება არარაობად  
იქცეს, აუცილებლად უნდა არსებობდნენ უკვდავი სხეულის მქონე საწყი-  
სები, რომლებზედაც დაიშლება ბოლმე სიკვდილის დროს ყოველი საგანი,  
რათა ახლად გასაჩენელ საგნებს მიაწოდოს ნივთიერება. მაშასადამე, პირ-  
ველი საწყისები თავის სიმარტივის გამო მაგარი არიან, და ასე რომ არ  
ყოფილიყო, მათ არ შეეძლოთ მარად ყოფილიყვნენ. და უსაზღვრო ეამიდან.  
საგნები წარმოეშვათ.

დაბოლოს, ბუნებას რომ არავითარი საზღვარი არ დაედგა საგანთა  
განაწილებისათვის, ნივთიერების ნაწილაკები იმდენად დაქუცმაცებული  
იქნებოდენ მანამდის გავლილი უსაზღვრო დროის განმავლობაში ნაწარმო-  
ები დანწილებისაგან; რომ არც ერთ საგანს, რომელიც მათგან იქნებოდა  
დროის განსაზღვრულ მომენტში წარმომდგარი, არ შეეძლო ოდესმე სიმ-  
წიფისათვის მიეღწია: ვინაიდან ჩვენ ვხედავთ, რომ უფრო ჩქარა ხდება  
ყოველი საგნის დაშლა, ვიდრე პირუჟი მისი აღდგენა. ამის გამო, რომ არ-  
სებულიყო რაიმე, რასაც ამ უამამდის წარსული დრო უსაზღვრო დღეების  
განმავლობაში ანაწილებდა და შლიდა, არ შეიძლებოდა ის აწი ოდესმე წარ-  
მომდგარიყო. ვინაიდან კი ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი საგანი კვლავ ჩხდება  
და რომ ამასთან ერთად საგნებისათვის განსაზღვრულია დრო, რომლის  
განმავლობაში მათ შეუძლიათ სიმწიფეს მიაღწიონ, — ამიტომ ცხადია, რომ  
სინამდვილეში არსებობს გარკვეული საზღვარი საგანთა განაწილებისათვის.

ამას ემატება ის, რომ ყოველი საგანი, თუმცა ის შედგება ნივთიერე-  
ბის ძალიან მაგარ ნაწილაკებისაგან, შეიძლება რაიმე ძალის გავლენით,  
რაც უნდა მაგარი იყოს ის, რბილად იქცეს და დაეშეგავსოს წყალს, ჰაერს,  
მიწას, ცეცხლს: ეს იმიტომ შეიძლება, რომ საგნებს ურევია სიცალიერე.  
წინააღმდეგ ამისა, რომ საგანთა საწყისები ბიბილი ყოფილიყვნენ, შეუძლე-  
ბელი იქნებოდა იმის გაგება, თუ როგორ წარმოდგებოდა აქედან მაგარი  
კვა და რკინა: მთელი ბუნება სრულიად მოკლებული იქნებოდა მტკიცე  
საფუძველს. მაშასადამე, არსებობენ მაგარი ნაწილაკები, რომელთა სიმა-  
გრე დამოკიდებულია სიმარტივისაგან. რაც უფრო მეტად არიან ისინი  
შეგმიდროვებული, მით უფრო მაგარია და მით უფრო მეტს წინააღმდე-  
ბობას აჩენს ის საგანი, რომელიც მათგან არის შემდგარი.

ბოლოს, ვინაიდან საზოგადოდ არსებობს საზღვარი საგანთა ზრდისა-  
თვის და მათი სიცოცხლისათვის და ვინაიდან დაკანონებულია ისიც,  
თუ რომელ საგანს რა შეუძლია და რა არ შეუძლია ბუნების კავშირის  
ძალით, — ამიტომ ყველაფერი როდი იცვლება უსაზღვროდ. პირიქით, სა-  
განთა გვარები იმდენად უცვლელი რჩებიან, რომ ერთი და იმავე ჯიშის  
ფრინველებს ტანხე ერთნაირი ნიშნები აქვთ: ცხადია, რომ მათ უნდა  
ჰქონდეთ აგრეთვე ერთნაირი ნივთიერების ნაწილაკები. რომ საგანთა



(წ. III, ლ. 1-425)

ჰოი, ბერძენთა ტომის დამამშევნებელო, რომელმაც პირველმა შესძელ  
ამოდენა სიბნელისაგან ესოდენ ნათელი შუქი გამოგერტყოცნა და დაგემ-  
ტკიცებია, რომ ცხოვრება სიხარულია! შენი მიმდევარი ვარ და აწ უკვე  
მტკიცე ნაბიჯთა ვადგამ შენს მიერ გაკვლეულსა გზასა .ზედა: არა იმიტომ  
თითქო შწადეს შენ შეგეჯიბრო, არამედ იმიტომ, რომ მსურს მიგბაძო  
სიყვარულით შენ. განა შეიძლება, რომ მერცხალი გედს გაეჯიბროს, ან  
განა შესაძლებელია, რომ სუსტ ფეხსანმა თიკანმა ძლიერსა ცხენსა გაუსწროს?  
მამა და გამომგონებელი შენ ხარ. შენ გვაწვდი ჩვენ დარიგებათა, მამისა  
მზგავსად, და, როგორც ფუტკარნი გულმოდგინედ სინჯავენ ყოველსავე  
აყვავებულთა მინდორთა ზედა, ჩვენც ასრე, ჰოი სახელგანთქმულო, ხარბად  
ვეწაფით შენს ნაწერთა შორის ყოველთა იმ ოქროს სიტყვათა, რომელიც  
მარადიული სიცოცხლის ლირსნი არიან და იქნებიან.

რა უაშაც შენი მოძღვრება ცხად ჟყოფს, რომ საგანთა ბუნება წარმომა-  
დგარია ღვთაებრივი განგების გარეშე, შიში ქრება, ქვეყნისა ბჭენი ისპო-  
ბიან, და მე ქედავ, თუ როგორ ჩნდებიან სიყრუში საგნნი, წარმომილება  
ლმერთთა სახე და მათი მშეიდობიანი საცხოვრებელი, რომელსაც არც  
ქარიშხალი აწუხებს, არც წვიმიანი ლრუბელნი ასველებს, არც მწვავე  
სიცივით შეკუმშული ფიფქი თეთრი თოვლისა ეცემიან და რომელსაც  
ზევიდან უღრუბლო ეთერი დაჰყურებს და ფართოდ გაბნეული შუქით  
უღიმის.

ბუნება აწვდის ღმერთებს ცველაფერს და არაფერი მათ არასოდეს.  
არ აწუხებთ. ახერონიც მათ არასოდეს არ ემუქრება და დედამიწაც არ  
უშლის მათ ხელს უცქირონ ყოველსავე, რაც მათ ქვევით ხდება სივრ-  
ცეში. როდესაც მე ვუფიქრდები ყოველსა ამას, მე მიყრობს რალაც ღოთა-  
ებრივი გრძნობა შენს მიმართ, — გრძნობა სიხარულისა და მოწიფებისაგან  
ნარევი: იმდენად ცხადად მოჩანს ბუნება; რომელიც ყოველ მხრივ ასე კარ-  
გად გაქს გაშუქებული...

ვინაიდან მე ზევით გადმოვცი; თუ როგორია საგანთა საწყისები  
და ამ უკანასკნელთა სხვადასხვა სახეები, როგორ დაჰქროლავენ ეს საწყი-  
სები ერთმანეთთან დაჯახების გამო და როგორ არის შესაძლებელი მათგან  
ცველა საგნების გზენა, ხელა ამის მზგავსად, მე ვფიქრობ, ჩემს ლექსებში  
უნდა განხილულ იქნეს გონებისა (animus) და სულის (anima). ბუნება და  
უნდა სრულიად განიდევნოს ის შიში ახერონის წინაშე, რომელიც ადა-  
მიანის ცხოვრებას ძირშივე სწამლავს, ყველაფერს სიკვდილის შავს ფე-  
რებში მოსავს და არავითარს წმინდა სიმოვნებას არ გვიტოვებს.

შეგხდებით ხშირად ადამიანებს, რომელბიც გაიძახიან, რომ მათ არ  
ესაჭიროებათ ჩენი ფილოსოფია, რომ მათ ოვითონ იციან, რომ სულის,  
არის სისხლია და სიკვდილის ჯურლმულზე უფრო საშიშარება ავადმყოფობა  
და ნაძრახი სიცოცხლე.

მაშინაც კი, როდესაც ადამიანები, საზიზლარ ბოროტმოქმედებაში შენილებულნი, სამშობლოდან გაძევებულნი, თავის ახლობელთა ხილვისაგან შორს გატყორცნილნი, უზომო შწუხარებით არიან შეპყრობილნი, ხომ განაგრძობენ ისინი ცხოვრებას და, სადაც არ იყენენ ეს საწყალნი, ხომ დღესასწაულობენ მიცვალებულთა დღეს, ჰელავნენ შავს ბატქენს, ღვთაებრივ აჩრდილებს მსხვერპლებს სწირავენ და გაჭირვება უფრო მეტად აღვივებს მათში სარწმუნობრივ გრძნობას. თუ ეპვი გაქვს ადამიანის შესახებ უნდა დააკვირდე მას მაშინ, როდესაც ის გაჭირვებაში იმყოფება, ვინაიდან გასაჭირში შეიცნობა უკეთესად, როგორია ადამიანი. სწორედ გაჭირვების დროს აღმოხდება ხოლმე ადამიანს გულის სილრმიდან წრფელი ხმა, ნიღაბი ჰქონება და სინამდვილე რჩება. ცხოვრების ამ იარების მნიშვნელოვან ნაწილს ასაზრდოებს სიკედილის შიში.

დაბოლოს, სიკედილის. შიშს არა უმნიშვნელო რდგილი ეკუთვნის ცხოვრების ასეთ იარების მიზეზთა შორის, როგორც სიძუნწე და სახელი-საღმი გრძმა სიყვარულია, რომელთა გავლენით საწყალი ადამიანები კინონის ფარგლებს არღვევენ ხოლმე; ზოგჯერ ბოროტმოქმედებათა მონაწილებად და შემსრულებლებადაც კი იცევებან და დღე-ღამე შრომიდნებალაზე მეტს. ადამიანებს ერენებათ, რომ ცუდი სახელი საზოგადოებაში, ზიზლი და მწვავე სილარიბე სასიამოქნო და მყუდრო ცხოვრებასთან შეუთავსებელია და თითქო სიკედილის წინამძლოლია. და ვინაიდან ყალბი შიშით შეპყრობილ ადამიანებს სურთ შორს იყენენ ამ უბუღურებისაგან, ისინი ამაგრებენ საკუთარ მდგომარეობას თანამოქალაქეთა სისხლით, მკვლელობებს მკვლელობებზე აზეირთებენ და დახარბებულად ადიდებენ თავიანთ სიმდიდრეს, სიხარულით არიან შეპყრობილნი ძმის დასაფლავების დროს და მწუხარებით იქცებიან ნათესავთა ლაპინის დროს.

სიკედილის იმავე შიშის გამო ღრღნის გულს ხშირად შური: ის გავლენით სარგებლობსო, ამას დიდი პატივისცემით უცემერიანო, მე კი სიბნელესა და სიბიძურეში ვვორაობო, — ასე ჩივის შეურიანი ადამიანი. ბევრი ადამიანი იღუპება ძეგლებისა და სახელის შექნის სურვილის გამო. ხშირად სიკედილის შიში ადამიანებს იპყრობს ისეთი ძლიერი სიძულვილით სიკოცხლისადმი და ქვეყნის ცეკვისადმი, რომ ისინი სევდიან გუნდაზე თვითონ იკლავენ თავს: მათ გამოიყარათ ის გარემოება, რომ სიკედილის შიშია სწორედ ყოველი მწუხარების წყარო, ის არის რომ უმანკოებს აწვალებს, მეგობრულ კავშირს სპობს და სათნოების საფუძველს სრულიად არყენეს. მართლაც ადამიანები ხშირად ახერონის შიშით დალატობენ სამშობლოს და საყვარელ ნათესავებს. როგორც ბავშვები კანკალებენ სიბნელეში ცყველაფრის შიშით, ისე ჩვენც დღის სინათლეში გვეშინია ასეთი რამესი, რაც იმაზე მეტად როდია საშიშარი, რისაც ბავშვებს ეშინიათ სიბნელეში ფანტაზიის გამო. საჭიროა, რომ ეს შიში და სიბნელე გაფანტონ არა მზის სწორებმა და დღის ნათელმა ისრებმა, არამედ ბუნების გონიერმა, შესწავლამ.

უპირველეს ყოვლისა მე გამბობ, რომ გონება (animus), რომელსაც ჩვენ ხშირად ჰქუას (mens) ვეძახით და რომელშიც მოთავსებულია ცხოვრების განმსჯელი და მართველი ძალა, არის ადამიანის ნაწილი სწორედ იმგვარად, როგორც ხელი, ფეხი და თვალები არიან მთელი ცხოველის ნაწილები. ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, რომ გონების შეგნება (sensum animi) არ არის ტანის განსაზღვრულ ნაწილში მოთავსებული, რომ ის არის ტანის რაღაც სასიცოცხლო წესი, რომელსაც ბერძნები ეძახიან „ჰარმონიას“ და რომელიც მიზეზია იმისა, რომ ჩვენ ვცოცხლობთ შეგნებიანად (cum sensu) მიუხედავად იმისა, რომ გონება ტანის არც ერთს ნაწილში არ იმყოფება; როგორც ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე სხეულის ჯანმრთელობაზე და ეს ჯანმრთელობა კი არ არის ჯანმრთელი სხეულის არც ერთს ნაწილში მოთავსებული, სწორედ ამგვარად ზემოხსენებული მეცნიერებისულის ცნობერებას არ ათავსებენ ტანის არც ერთს ნაწილში. ამ შეხედულებაში, მე ვფიქრობ, ეს მეცნიერები ძალიან ცდებიან.

ხშირად გარეგნული შესამჩნევი ნაწილი ჩვენი ტანისა სხეულია, იმ დროს, როდესაც შიგნიდან ჩვენ კმაყოფილი ვართ. ხშირად კი წინააღმდეგ ამისა ხდება ისე, რომ სულით გაუბედურებული მთელი თავისი სხეულით ხარობს. ეს ასე ხდება იმავე კანონის ძალით, რომელის გამო თავი არ არის ტკივილით შეხებული, როდესაც ფეხი ტკივილს განიცდის.

გარდა ამისა, როდესაც ტანის ასოები ტკიბილი ძილით არიან შეპყრობილი დამძიმებული სხეული უგრძობლად ქექს, არის ჩვენში ტანისაგან განსხვავებული რაღაც, რომელიც ამ დროს განიცდის შრავალგარ მღლვარებას და გრძნობს სიხარულის ფანცქალსაც და გულის ამაო ზრუნვებსაც.

რათა შენ შესძლო იმის შეცნობა, რომ ტანის ასოებში სულიც (anima) არის და ჰარმონიას როდი უპირია ეს ტანი, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ხშირად ჩვენი ტანის ასოებში რჩება სიცოცხლე მაშინაც კი, როდესაც ტანის დიდი ნაწილი დაკარგულია. წინააღმდეგ ამისა სიცოცხლე გარბის მაშინათვე ძარღვებიდან და სტოვებს ქლებს, თუ კი სითბოს სულ ცოტაოდენი რაოდენობა გაიფანტა და პირიდან გავიდა მცირეოდენი ჰაერი. აქედან შენ შეგიძლია შეიცნო, რომ სხეულის ყველა ნაწილებს თანასწორი მნიშვნელობა არ აქვთ და არც ერთნაირად აუცილებელი არიან ისინი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, არამედ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ სხეულის ასოების სიცოცხლისათვის ქარისა და თბილი ორთქლის თესლებს. მაშასადამე, ტანში არის სითბო(calor) და მაცოცხლებელი ქარი (ventus vitalis), რომელიც სტოვებს ჩვენს ასოებს, როდესაც ეს უკანასნელი კვდებიან.

ვინაიდან უკვე განმარტებულია, რომ გონებისა და სულის არსება (natura) არის ადამიანის სხეულის ნაწილი, დაუბრუნე „ჰარმონიას“ სიტყვა ბერძნებს, რომელთაც ის გაღმოულიათ მუსიკალური ჰელიკონიდან ან სხვა საიდანე და შეუფერებლად გაღმოუტანით სულხე: ჰელნდეთ ბერძნებს ეს. სიტყვა, შენ კი დანარჩენს ჩემს ნათქვამს დააკვირდი.

მე ვაშბობ, რომ გონება (animum) და სული (anima) დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ერთსა და იმავე არსებას ჰქმნიან (conficere), მაგრამ განსჯა (consilium), რომელსაც ჩეენ ვეძახით გონებას (animus) და ჭეუს (mens), არის თითქო მთავარი და ის მართავს მთელს სხეულს. ის მოთავსებულია ტანის შუა ნაწილში—გულში. აქედან გამოდის ხომ შიში და ამ ადგილთან არის დაკავშირებული სიხარულიც: მაშასადამე, აქ არის გონება და ჭეუს მოთავსებული. სხვა ნაწილი სულისა, გაბნეული მთელს ტანში, ემორჩილება გონებას და მისი ბრძანების თანახმად მოდის მოძრაობაში. რაც შეეხება გონებას, მხოლოდ ის არის თავისით გონიერი და თავისით ხარობს, მაშინაც კი, როდესაც არაფერი არ ამოძრავებს სულსა და სხეულს. და როგორც შესაძლებელია, რომ მხოლოდ თავი ან თვალი გვეტკინს და არა მთელი სხეული, სწორედ ამგვარად ზოგჯერ გონება განიცდის მწუხარებას ან სიხარულს, სულის დანარჩენი ნაწილები კი, რომელიც ჩეენი ტანის ასოებში არიან გაბნეული, არაფერს არ განიცდიან ამ დროს. მაგრამ როდესაც გონება ძალიან დიდი შიშით არის შეპყრობილი, მაშინ ჩეენ ვამჩნევთ, რომ მთელი სულიც, რომელიც სხეულის ასოებშია გაფანტული, მოდის მოძრაობაში, მთელს ტანს ოფლი და სიმკრთალე ედება: ენა ბორძივობს, ხმა სუსტდება, თვალები ბნელდებიან, ყურებში ხმაურობა ისმის, მუხლები იკეცებიან, და ბოლოს, ჩეენ ვხდავთ, კაცი ხშირად კვეღება ასეთი შიშისაგან. აქედან ყველას შეუძლია ადვილად შეიცნოს, რომ სული (anima) დაკავშირებულია გონებასთან (animus): გონების ძალით ამოძრავებული სული ანარცხებს სხეულს.

იგივე საბუთი გვასწავლის, რომ სულისა და გონების ბუნება (natura) ნივთიერია. განა ცხადი არ არის, რომ სულისა და გონების ბუნება ნივთიერია, არავი მათ შეუძლიანთ ტანის ასოები ამოძრაონ, გამარალვიძონ ტანი ძილისაგან, შესცეალონ პირისახე და მთელი ადამიანი მართონ და ატრიალონ: ყველაფერი ეს ხომ შეუძლებელია შეხების გარეშე, შეხება კი ხომ შეუძლებელია ნივთიერობის გარეშე.

გარდა ამისა, შენ ხედავ, რომ გონება მოქმედობს ტანთან ერთად და შასთან ერთად იღებს შთაბეჭდილებებს, როდესაც საშინელი ისარი შედის ტანში და ძელებსა და ნერვებს აზიანებს, მაგრამ მთლად არ ჰქლავს კაცს. მაშინ ამას მოსდევს სისუსტე, ტკბილი სურვილი მიწაზე დაკემისა და ბოლოს გაურკვეველი მისწრაფება კვლავ ზეზე წამოღვრმისა—მისწრაფება, რომელიც უჩნდება მიწაზე უკვე დაცემულ კაცს. მაშასადამე, ცხადია, რომ გონების ბუნება ნივთიერია, ვინაიდან ის ზიანდება ნივთიერი ისრის გარტყმისაგან.

ეხლა მე ვეცდები მოგცე შენ იმის განმარტება, თუ როგორი ნივთიერების არის გონება და რისგან შედგება ის. უბირველეს ყოვლისა გეტუვი, რომ გონების ნივთიერება არის ძალიან ნაში და ის ძალიან პატარა ნივთიერი ნაწილაკებისაგან არის შემდგარი. რათა შენ შესძლო იმის შეცნობა, რომ ეს ასეა, მიაქციე ყურადღება შემდევ გარემოებას. არაფერი არ კეთდება ისეთი სისწრაფით, რა სისწრაფითაც გონება განიაზრებს ან წამოი-

წყებს ხოლმე რასმე. ამრიგად, უჩქარესად მოძრაობს, ვიდრე სხვა' საგანი, რომლის ბუნება ნათლად მოჩანს თვალების წინაშე. და რაკი ამდღნად მოძრავია გონება, ის უნდა შემდგარიყო მრგვალი და ძალიან პატარა ნაწილაკებისაგან, რათა უკანასკნელი, სულ მცირეოდენი ბიძგისაგან მოდიოდნენ მოძრაობაში. წყალიც იმიტომ არის ადვილად ასამოძრავებელი და სულ მცირეოდენი მიზეზის გამო მდინარეობაში მოდის, რადგან ის შედგება მრგვალი და პატარა ნაწილაკებისაგან. წინააღმდეგ ამისა, თაფლს უფრო მტკიცე ბუნება აქვს, სითხე მისი უფრო ზანტია, მისი მოძრაობა უფრო ნელია, და მისი ნივთიერების ნაწილები უფრო შეკრული არიან ერთმანეთთან: უდავოა, რომ ეს ასევა იმიტომ, რომ თაფლი არ არის შემდგარი ისეთივე მსუბუქი, ნაზი და მრგვალი ნივთიერ ნაწილაკებისაგან, როგორც წყალი.

მსუბუქსა და ნელს სიოს შეუძლია ყაყაჩოს მარცვლები ისე აამძრაოს, რომ დიდი გროვა სრულიად გაანიავოს, მაგრამ მას არ შეუძლია გაფანტოს ქვების. ან ისრების გროვა. მაშასადამე, რაც უფრო მცირე და მსუბუქია ნივთიერი ნაწილაკები, მით უფრო მოძრავი არიან ისინი. წინააღმდეგ ამისა, რაც უფრო მძიმე და ტლანქი არიან ისინი; მით უფრო ურყევი არიან. მაშასადამე, რაკი ალმოჩნილია, რომ გონების ბუნება მეტის მეტად მოძრავია, აუცილებელია, რომ ის პატარა, მსუბუქი და მრგვალი ნივთიერი ნაწილაკებისაგან იყოს შემდგარი. ამის ცოდნა ბევრს რამეში სასარგებლო და გამოსადეგარი იქნება შენთვის, ჩემო კეთილო.

ეს გარემოება ცხად ჰყოფს აგრეთვე იმას, თუ რა ნაზი ქსოვილისაგან შედგება და რაოდნენ მცირე ადგილს დაიკურდა ის, რომ შეკუმშულიყო. ამიტომ, როდესაც ადამიანს ეწვევა სიკედილის უდარდო მოსვენება და გონება და სული მას განშორდებიან, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ მას დააკლდა არაე სხეულის მოცულობაში ან წონაში: სიკედილი ყველაფერს სტოკებს გარდა მაცოცხლებელი შეგრებისა (sensum-vitalem) და თბილო ორთქლისა (calidum vaporem). მაშასადამე; ცხადია, რომ სული შემდგარია ძალიან მცირე ნივთიერი ნაწილაკებისაგან, რომებიც გაფანტული არიან ძარღვებში, კუნთებში და ნერვებში და ქსოვილს შეადგენენ. ამრიგად, როდესაც მთელი სული გადის სხეულიდან, გარეგნული მოცულობა ტანისა ხელშეუხებელი რჩება და მისი წონაც არ მცირდება. ამის, მზგაցსია, როდესაც ლეინოს ეკარგება სურნელება, ან როდესაც ბალზამის საამური სუნი ჰაერში იფანტება, ან კიდევ, როდესაც რომელსამე სითხეს გებო ეცლება, ამასობაში კი თვალით არ ემჩნევა, რომ რომელიმე ამ ნივთიერებათაგან დამცირდა ან რომ მას წონა მოაკლდა: რა თქმა უნდა, იმიტომ ხდება ეს ასე, რომ ამ ნივთიერებათა გემო და სუნი ძალიან პატარა ნაწილაკებით არის გამოშვეული. ეს გარემოებაც ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს; რომ გონებისა და სულის ბუნება ძალიან პატარა ნაწილაკებისაგან არის შემდგარი, ვინაიდან მათი განშორება ტანის წონას არათერს აქლებს. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სული მარტივი ბუნება აქვს. მომაკვდაებებს ალმოხდებათ ხოლმე წელი სიო. (aura) სითბოსთან შერე-

ული; სითბოს (vapori) მიკუვება თან ჰაერი (aer), რადგან არ არის ისეთი სითბო, რომელშიც არ იყოს ჰაერი გარეული: ვინაიდან სითბოს თხელი ბუნება აქვს, არ შეიძლება რომ მასში მოთავსებული არ იყოს ჰაერის მრავალი ნაწილაკი. ამგვარად, ნათელია, რომ გონიერის ბუნება სამაგია.

მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საქმაო გრძნობის (შეგნების, sensum) წარმოსაშობად და ვერც წარმოიღინება, რომ რომელსამე მათგანს შეუძლია გამოიწყოს გრძნობის შემცველი მოძრაობა (sensiferos motus), რომელიც ჭიუასთან არის დაკავშირებული: მაშასადამე, აუცილებელია, რომ მათ მიემატოს რაღაც მეოთხე ელემენტი: ამ უკანასკნელს არ აქვს საზოგადო სახელი. არაფერია მასზე უფრო მოძრავი და უფრო ნაზი, და არც უფრო პატარა და მსუბუქი ნაწილაკებისაგან შემდგარი. ის აძლევს უპირველესად სხეულის ასოებს გრძნობის შემცველ მოძრაობას; უპირველესად, ისევ ამოძრავდება ხოლმე, რადგან პატარა ნაწილაკებისაგან არის შედგენილი. მისგან კი მოძრაობას მიიღებს სითბო, სიო, ჰაერი და ყველაფერი სხეა: მაშინ სისხლიც მოძრაობს ძარღვებში, მთელი შიგნეულობაც მგრძნობიარედ იქცევა და, ბოლოს, მოძრაობა გადაეცემა ძვლებსა და ტვინს, და ჩნდება ან სიამოვნება, ან ამის საწინააღმდეგო განცდა.

ამ მეოთხე ელემენტში ტყივილს და ცხარე უსიამოვნებას არ შეუძლია, შეიკრენ ისე, რომ ყველაფერი არ აირიოს იმ ზომამდე, როდესაც სიკოცხლეს გამოეცლება აღგილი და სულის ნაწილაკები გადიან გარეთ სხეულის ყველა ხერხლებიდან. მაგრამ მღვლარებანი მომეტებულ შემთხვევაში თავდებიან სხეულის ზედაპირზე; ამის გამო გვაქვს ჩვენ სწორედ შესაძლებლობა სიკოცხლე შევინარჩუნოთ.

მე მსურდა ამებსნა, რა კანონის ძალით არიან ეს ოთხი ელემენტი ერთმანეთთან შერეული და როგორ არსებობენ ისინი, მაგრამ უნებურად მაღებინებს ხელს ამ განზრახვაზე ჩვენი დედაენის სიმწირე. მიუხედავად ამისა, მაინც ვეცდები, რამდენადაც კი შევსლებ, ზოგადად შევხმა ამ საკითხს. ნივთიერი ნაწილაკები ამ ოთხი ელემენტისა ისე მოძრაობენ ერთ-მანეთში, რომ არ შეიძლება არც ერთი ელემენტის განცალკევება და რაიმე მანძილით ერთისაგან მეორის გამოყოფა: ოთხივნი არსებობენ როგორც ერთი სხეულის რამოდენიმე ძალა. ისე როგორც ყოველი ცხოველის ხორცს აქვს სუნი, სითბო და გემო, მაგრამ ყველა ამ ოვისებათაგან ერთი სხეული წარმოდგება, სწორედ ამგვარად სითბო, ჰაერი, უხილავი სიო და ის მოძრავი ძალა, რომელიც თავისით აძლევს მოძრაობას პირველს სამს და რომლისაგან იღებს დასაწყისს ტანის ასოების გრძნობა, — ოთხივე ესენი ერთად შერეული ჰქმიან ერთს არსებას. უკანასკნელი (მეოთხე) ელემენტი ღრმად არის დამალული ჩვენი ტანის შიგნით, ის ყველაზე ქვევით მდებარეობს (superbest) და მასზე უფრო შიგნით (intra). ჩვენს ტანში არაფერია. ის არის მთელი სულის სული (anima animae). როგორც გონებისა და სულის ძალა, განვითარება ჩვენი სხეულის ასოებში და მთელს ტანში, უხილავია, ვინაიდან ის ძალიან პატარა ნივთიერი ნაწილაკებისაგან არის შექმნილი, — სწორედ ამგვარად უხილავია ის მეოთხე უსახელო ელემენტი,

რადგან ის შედგენილია ძალიან პატარა ნივთიერი ნაწილაკებისაგან; ის არის მთელი სულის სული და მთელი ტანის მმართველი. ამგვარივე საბუთით აუცილებელია, რომ სიო, ჰაერი და სითბო იმყოფებოდენ ჩვენს არსებაში ერთმანეთთან შერეულად და ერთი იყოს მეორის ზევით (emineat) ან მეორის ქვეშ (subsit), მაგრამ ისე, რომ ყველა ამათგან მაინც რაღაც ერთი მთელი იყოს წარმომდგარი და არ იყოს ცალკე სითბო, ცალკე სიო, ცალკე ჰაერი, რათა მათი ურთიერთისაგან გათიშვით არ მოისპოს შეგნება (გრძნობა).

სითბო არის ის ელემენტი, სულში, რომელიც მომეტებულად მოქმედობს ბრაზის დროს, როდესაც კაცი ანთებულია და; განრისხებული, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს. ციფა სიო კი არის შიშის თანამგზავრი, რომელსაც შეაქვს ტანში ქრუანტელი და რომელიც აცახცახებს ასოებს, აგრეთვე მშვიდობიანი ჰაერი არის ის ელემენტი, რომელიც მოქმედობს, როდესაც გული არის დაწყნარებული და პირისახე ნათელი. იმ ქმნილებულში, რომელთაც მრისხანე გული აქვთ და რომელთა ჭეუა აღვილად აინთება ბრაზით, სჭარბობს სითბო. ასეთებია პირველ რიგში ლომები, რომელნიც ისე ღრიალებენ ხოლმე, რომ ლამის გულმქერდი ჩაილეჭონ, და რომელთაც არ შეუძლიანთ ბრაზის ტალღა გულში ჩაიკლან. უფრო მეტი სიოა ირემთა ციფს არსებაში და მათ მოცახცახე ასოებული. და ეს სიო არის ამ ცახცახის მიზეზიც. ხარების ჯიში კი მშვიდი ჰაერით ცხოვრობს უფრო, და არასოდეს მათ ბრაზის ცეცხლი არ ედება, არ აბრამავებს თავისი ბოლით და არ იწვევს ბურუსიან აჩრდილებს; არც ციფი შიშის ისრები ემუქრება ამ ჯიშს, რომელსაც შუა აღგილი უჭირავს ირმებსა და ბრაზიან ლომებს შორის.

ასეთივეა აღამიანთა მოდგმაც: რომ სწავლამ ისინი თანასწორად აღზრდილად აქციოს, მაინც სწავლას არ შეუძლია წაშალოს ის პირველი ოვისებები, რომლებიც თვითოულ ადამიანზე ალბერტილია ბუნების მიერ.

არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქო შეიძლებოდეს, ბოროტება ძირფესებიანად იქნეს აღამიანილან ალმოფხვრილი, რათა ერთი არ იყოს უფრო აღვილად განწყობილი ბრაზისაკენ, მეორე მშიშარობისაკენ, მესამე კი მეტის სიმშეიდისაკენ, ვიდრე ეს საჭიროა. აუცილებელია, რომ ჩვენ გარჩევა შევიტანოთ ადამიანთა სხვადასხვა ხასიათებში და ამ უკანასკენლთაგან დამოკიდებულს ზენეჩეულებებში. ეხლა მე არ შემიძლია ამათ ფარული მიზეზების გამოძიება და იმ აღნივობათათვის<sup>1)</sup> სახელების მოპოვება, რომელთაგანაც დამოკიდებულია ხასიათების ეს სხვადასხვაობა. ოლონდ ვფიქრობ, რომ ამ საქმეში შეიძლება ვთქვათ ის, რომ ცირკაა ბუნების მიერ ალბერტილი ისეთი კვალი, რომლის განდევნა მეცნიერებას არ შეეძლოს, რათა არაფერს არ გვიშლიდეს ხელს ღმერთებისათვის ლირის ცხოვრება ვატაროთ.

ამრიგად, ტანს უჭირავს სული, რომელიც თავის მხრივ არის ტანის მფარველი და მხსნელი. ორივე შეკრულია ერთმანეთთან საერთო ფესვებით,

<sup>1)</sup> ე. ი. ატომებისათვის (ცენ. მთარგმ.).

და მათი ურთიერთი გათიშვა არ შეიძლება უსიკედოლოთ. როგორც საკენევლის ნამცეცებისათვის არ შეიძლება სუნის წართმევა მათ მოუსპობლად, სწორედ ამგვარად არ შეიძლება გონება და სული გამოეთიშონ მთელ ტანს ისე, რომ მთელი ადამიანი არ დაიღუპოს. მათ თავითვე მათი ნივთიერი ნაწილჯები გადახლართულია და ისინიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან და ერთი და იგივე ბედი აქვთ. ერთი მეორის დაუხმარებლად და ერთმანეთისაგან მოწყვეტილად არ მოჩანს ტანისა და სულის ძალა. მათი საერთო და ურთიერთ ზორის დაკავშირებულ მოძრაობათაგან ჩნდება ანთებული ჩვენს შიგნით შეგნება (sensus).

შემდეგ, მარტოდ მარტო ტან არასოდეს არ იბადება, არც იზრდება და არც სიკედილის შემდეგ განაგრძობს არსებობას. წყალი რომ გაუშვებს ხოლმე ორთქლს, რომელიც მასში მოცემულია, მაგრამ ამით ის არ ისპობა თვეთონ, არამედ რჩება უვნებელი, — აი ამ მოვლენისაგან განსხვავებით, გამბობა, ტანის ასოები ვერ იტანენ სულის გაცლას მათვან, არამედ ურთიერთისაგან განთიშულნი ისინი იღუპებიან, მტკრად იქცევიან. ჩასახვის მომენტიდან ტანი და სული ერვევიან სიკოცხლის მოძრაობებს ერთმანეთთან კავშირში — ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი დედის წიაღში იმყოფებიან. ასე რომ, მათი ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია მოხდეს ისე, რომ ამას სიკედილი არ მოჰყებს. ამრიგად, ჩვენ ვხდავთ: რადგან სიკოცხლის საფუძველია ტანისა და სულის კავშირი, მათი არსებობაც ერთმანეთთან დაკავშირებულია.

გარდა ამისა, თუ ვინმე უარყოფს, რომ ტანს შეუძლია შეგნება (sentire) და, ფიქრობს, რომ მხოლოდ სული, გაბნეული მთელს ტანში, არის იმ მოძრაობის მატარებელი, რომელთაც შეგნებას ვუწოდებთ, — ცხადია, რომ ის თვალსაჩინო კეშარიტებას ეწინააღმდეგება. რა არის ის, რომლის საშუალებით ვინმეს შეუძლია ოდესმე დაამტკიცოს, რომ ტანი რომლის საშუალებით ვინმეს შეუძლია თვით სინამდვილეში? შეიგნებს, თუ არა ის, რაც მოგვცა და გვასწავლა თვით სინამდვილეში? შეიგნებს, კი გვიჩვენებს, რომ სულისაგან დაცალიერებული ტან სრულიად მოკლებულია შეგნებას. ის არ ჰყარგავს იმას, რაც მარად მის საფულიად მოკლებულია შეგნებას (proprium) წარმოადგენს, როგორც ჰყარგავს. ის ბევრს ტარ თვისებას (proprium) წარმოადგენს, როგორც ჰყარგავს. ის ბევრს ასმე, როდესაც იღუპება სამუდამოდ.

შემდეგ, იმის თქმა, ღითქოს თვალებს არ შეეძლოთ რაიმე დაინახონ, არამედ ისინი; გალებულ კარებსავით, გონებას აძლევენ დანახვის საშუალებას, უცნობობაა, ვინაიდან ამის მთქმელთა წინააღმდეგ ღალადებს ღრმინობა: გრძნობა იზიდავს ხომ და აგროვებს სახეებს ორგანოში. ხშირად ჩვენს ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ ბრწყინავი საგნები იმიტომ, რომ ჩვენს ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ ბრწყინავი საგნები იმიტომ, რომ ჩვენი განედას უშლიან ხელს მათი სხივები. კარების მიმართ კა ეს არ ხდება, ვინახედას უკეთესად უნდა ხედავდეს მაშინ, როდესაც თვალები ამობაშინ გონება უკეთესად უნდა ხედავდეს მაშინ, როდესაც თვალები ამობაშინ გონება უკეთესად უნდა ხედავდეს მაშინ, როგორც კარების ჩარჩოები მას ამ შემთხვევაში არ დააბრეო ლებენ.

არ დაუჯერო ამ საკითხში იმას, რაც წამოაყენა დემოკრიტეს წმიდა მოძღვრებამ, თითქო ტანის თვითეული ნაწილაკი სულის თვითეულ ნაწილაკთან იყოს შეერთებული და ამგვარად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულა ჩეენი ასოები. იმ დროს, როდესაც სულის ნაწილაკთა მასსა ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ტანისა და ხორცის ნაწილაკებისა, პირველთა რიცხვი უფრო მცირება და ისინი თხლად არიან გაბნეული ტანის ასოებში. ჩეენ მხოლოდ ეს შეგვიძლია ვიზუიქროთ: რამდენიც არის ჩეენს ტანში გაბნეულა ნივთიერი ნაწილაკი, რომელთაც შეუძლიანთ შეგნების მოძრაობის (*sensiferos motus*) გამოწვევა, იმდენი ინტერვალით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული სულის ატომები. მართლაც, ჩეენ არ ვიგნებთ არც მტვრის მიკროს ჩეენს ტანზე, არც იმას, თუ როგორ ეკვრება ჩეენს კანზე კირის ფხენილი ან ლამის ნისლი. ჩეენ არ ვგრძნობთ არც ობობის ნაზს ძაფებს, რომლებსაც ვედებით სრარულის დროს, არც იმავე მწერის ძველს კ:ნს, რომელიც გვეცემა თავზე, არც ფრინველთა და ზოგიერთ მცენარეთა ბურტყლს, რომელიც ნელა ეცემა ქვევით, რადგან ძალიან მსუბუქია. ჩეენ არ ვგრძნობთ აგრეთვე ზოგიერთი ცხოველის ცოცვას და არც ფეხების ცალკე ნაბიჯებს, რომლებსაც ადგამენ ჩეენს ტანზე კოლოები და სხვა მათი შეგაესი ცხოველები. საჭიროა, რომ ჯერ ჩეენს ასოებში გაბნეული მრავალი ნივთიერი ნაწილაკები იყანენ მოძრაობაში მოყვანილი, სანამ სულის ატომები, რომლებიც ასეთი ინტერვალებით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული, შეძლებენ შეგრძნებას, ერთად შეგრძნებას, შეერთებას და კვლავ ერთმანეთისაგან განშორებას.

გონება უფრო მეტად არის ჩეენი სიცოცხლის დამცველი და უფრო მეტად ჰფლობს ის სიცოცხლეს, ვიზრე სული. სულის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია დარჩეს ტანში დროს სულ მცირეოდენ განმავლობაშიც კა, თუ გონება და ჭურა ტანს გაეცალენ. სული მისდევს უკან გონებას, სტოვებს გაცივებულ ასოებს სიკედილის ყინვაში და იფანტება ჰაერში.

მაგრამ ის, ვისაც შერჩენილი აქვს ჭურა და გონება, ცოცხალი რჩება ხოლმე, ნაკუშ-ნაკუშებადაც რომ იყვეს ქცეული და ყველა ასოები რომ ქონდეს გარშემოჭრილი. ტანი, რომელსაც შემოაჭრეს გარშემი ასოები და რომელსაც მოაკლდა სულის სათანადო ნაწილები, მაინც ცოცხლობს და განაგრძობს სუნთქვას. თუ მთელ სულს არა, სულის დიდ ნაწილს მაინც მოკლებული იდამიანი არ კვდება და რჩება, ისე როგორც ხედვის ცოცხალი უნარი) როდესაც თვალი გარშემო ქრილობებით არის დაფარული) არ იყარგება, თუ თვალის გუგა არ არის დაზიანებული: სანამ თვალის ბურთს სულ მთლად არ დააზიანებენ, არამედ გარშემო მიაყენებენ ქრილობას, გუგას კი დასტოვებენ უვნებლად, ხედვის უნარი რჩება. მაგრამ თუ სულ მცირეოდენი საშუალო ნაწილი თვალისა დაზიანდა, თვალის დანარჩენი ნაწილები უვნებელიც რომ დარჩენენ, მაშინათვე ხედვის უნარი იყარგება და სიბნელე მყარდება. ასეთი კავშირით არიან შეკრული გონება და სული მუდამ.

ეხლა კი მე შევეცდები შენი ცხოვრების ღირსი ლექსით გადმოგცა  
შეხედულებები, რომელთა აღმოჩენას დიდი ხანი დასჭირდა და რომელიც  
მე შევითვისე სასიამოვნო შრომით: გადმოგცე იმისათვის, რათა შენ შეი-  
ცნო, რომ ცხრველების გონება და სული იბადებიან და კვდებიან. შენ  
უნდა თვითეულის სახელის ქვეშ ორივე იგულისხმო და, როდესაც მე სირ-  
კვის მიზეზის გამო ვიტყვი, რომ სული მოკვდავია, შენ იფიქრე, რომ იქ  
გონებაც ნაგულისხმევია, ვინაიდან ორივენი (გონება და სული) ისე არიან  
დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ერთს არსებას წარმოადგენენ.

ს ა რ ჩ ვ 3 0

წინასიტყვაობა . . . . .	83: 3
1. ილეატიზმი და ატომიზმი . . . . .	5
2. დემოკრატიული პიროვნება . . . . .	7
ლევკიპეძეს საკათხი 7. დემოკრატეს ახალგაზრდობა 8. დემოკრატეს მოგზაურობა 9. აღმოსავლეთი და მეცინიერება 10. მეცინიერების განვითარების პირობა 10. დემოკრატე და პიპლოკრატი 11. დემოკრატეს თხზულებები 11.	
3. სიცალივრმ . . . . .	12
ატომიზმის მიზანი 12. ბუნება ნაშვილად არსებობს 12. სიცალივრე როგორც ბუნების პირობა 13. ატომიზმი და ექცევისა 14 . . . . .	
4. ნივთიერების პრობლემა . . . . .	16:
იონიური ფიზიკა 16. ანაქსიმენი 17. ანაქსაგორი 18. დემოკრატეს გზა 19	
5. ატომების თვისებები. . . . .	20
განუყოფელობა 20. საესეობა 21. შეცვალობა 21. მარადიულობა 21. აბსტრაქტობა 22. ატომების ურთიერთი განსხვავება 22. ატომები, როგორც საგნების „ძირები“ 23. ელემენტები 24. ფისიებათა კლასიფიკაცია 25. ატომიზმის მეთოდოლოგია 25. ატომების მოძრაობის მიზეზი 26. მოძრაობის დაცულობა 26. უძართებულო საყუდფური ატომიზმის წინააღმდეგ 27.	
6. ატომებსტური კოსმოგონია . . . . .	29
მსოფლიო და კოსმოსი 29. პრეკოსმიური, მოძრაობა 29. კოსმოსის ჩასახვა 30: კოსმოსის დანგრევა. 31. კოსმოსის დაშლის მიზეზი 32.	
7. ატომისტური ანთოლოგობია . . . . .	33
სული და სხეული 33. დემოკრატე და თანამედროვე მექანისტური მატერიალისტები 34. აზროვნება 34. გრძნობა 35. საცოცლე 35. სიკვდილი 36.	
8. ატომისტური ეთიკა. . . . .	37
ნათესაობრივობა 37. ცხოვრების მიზანი 38. ზომიერება 39. შეუსაბამობა 40. ოჯახი 40. აღზრდა 41. სახელმწიფო 41. კანონიერება 42. რევოლუცია 43:	
9. ატომისტური ერითიკა. . . . .	44:
ატომიზმი და რელიგია 44. ატომიზმი და თანამედროვე ბუნებისმეტყვალება 44. დემოკრატეს ატომი არ არის რეალობა 46. ატომიზმის უპირატესობა 46. ატომიზმის აპორია . . . . .	
დამატება „ლუპრეციუსის „საგანთა ბუნებისათვას“. . . . .	47
	49

## შეცდომების გასწორება

რევერსი	სტრიქონი	დაბეჭდილება:	უნდა იყოს:
8	35	vord. 35	vor (d.) 35
19	28	ქვეყნაში	ქვეყნებში.
19	2	ქვეყნებშიც	ქვეყნაშიც
18	42	Anfänge	Anfänge,
25	9	ძირი	нóмф
26	6	მაგლითად	მაგალითად
33	40	რა	არ
35	33	საშუალებით	საშუალებებით.
37	39	Betachtung—	Betrachtung
37	43	V,	U,
38	41	einc	eine
42	41	Помысли	По мысли
45	42	Wissenschaft und	Wissenschaft und
47	40	Tubingen	Tübingen
51	2	მოითხოვენ	მოითხოვდენ

1

e 197

1259/3

299V

